მაგრამ ამ გარემოებამ ტარასს ხელი ვერ ააღებინა განზრახვებში. მან მზარეულის მოწვევად ყოფნის დროს შეადგინა სურათების პატარა კოლექცია და, მისი ბიოგრაფის ჩაღის გადმოცემით, მეგობრის ბაღში აწუხობდა ხოლმე სამხატვრო გამოფენის მსგავსს. აქ, დაბურულ ადგილას, ცნობისმოყვარე ადამიანებისაგან მომორიგებ, ტარასი შესანიშნავ წუთებს ატარებდა; ჩამოკიდებდა ხეებზე „სამხატვრო გალერეას“, ჩაჯდებოდა ბალახებში და სუნთქვაწერული ტკბილად თავისი საგანძურით. უფრო დიდი დღესასწაული გაუთენდებოდა ხოლმე შევჩენკოს, როდესაც სუფთა ფურცელს ჩაივადებდა ხელში. იგი მაშინვე შეეცდებოდა სურათის გადმოხატვას. ასე ცდილობდა ტარასი ხელოვნების სიბრძნის ნაწილობას.

მრავალი ტანჯვა და გვემა გადაიტანა პატარა ტარასმა მხოლოდ იმისათვის, რომ უყვარდა ხელოვნება და სურდა თვითონაც ხელოვანი გამოსულიყო. ცნობითი ფაქტია, რომ როდესაც მისი ბატონი ენგელსარდტი ტარასს წააწყდებოდა ან სურათის მაცქერალს ანდა ხატვის პროცესში, დასჯიდა ხოლმე. ასე მაგალითად; ერთხელ ვიღონოთ ყოფნის დროს, ბატონი და ჭალბატონი თავადაწნაურთა საკრებულში ბალმასკარადზე გაემართნენ. ტარასმა გამოიყენა შემთხვევითი მინიჭებული თავისუფლება. ანთო სანთელი, ამოარჩია თავისი კოლექციიდან სურათი — კახაი პლატოვი ხის ცხენზე, — და დაიწყო მისი გადმოხატვა. მან გადახატა პლატოვის ირგვლივ თავმოყრილი კახაიები და პლატოვს მიადგა, როდესაც გაიღო კარი და შემოვიდნენ ენგელსარდტი და მისი მუდგულსურათს, რა თქმა უნდა, დამთავრება აღარ ეყრა. სირხისასთან აცანცებულმა ენგელსარდტმა ადარ იოდა რა ექნა. მან იქვე გასცა განკარგულება, რომ მეტელე სიდორკას საჯინობაში კარგა მაგად ეეგემებია“ როგვები ტარასისათვის.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, მაინც ვითარდებოდა და ძლიერდებოდა შევჩენკოს მხატვრული ნიჭი. იგი ერთხანს ვიღონოზე სწავლობდა ცნობილ ლიტვულ მხატვართან იან რუსტიმთან, რომლის ბინა და სახელსწრებით ენგელსარდტის სახლის პირდაპირ მდებარეობდა. მრავალ წლის შემდეგ შევჩენკო სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით იგონებდა „მოსხუცი რუსტემის“ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს.

1830 წელს შევჩენკო ეტაპით გაისტუმრეს მისი ბატონის ახალი სადგომისაკენ — ჰეტერბურგისაკენ. ეს მძიმე გადასვლა სამინელ ყინვით წამთარს მოხდა და ორ თვეს გაგრძელდა.

ტარასს ცუდი ფესსაემელი ჰქონდა, გზაში ერთი სულ შემოცდა. ფხებში რომ არ მოყნიოდა, გზის პირს მიჯდებოდა ხოლმე და დარჩენილ ერთ ჩექმას როგ რიგობით იცვამდა ხან ერთ ფეხზე და ხან მეორეზე. მაგრამ ჯარისკაცებს მალე მოზნებულად ასეთი ხშირი „დასვენება“ და მათ ტარასს აუკრძალეს გზაზე შეჩერება.

ჰეტერბურგში ენგელსარდტმა კარგად მოიფიტრა, თუ რა გზით შეიძლებოდა შევჩენკოს მხატვრული ნიჭის უკეთ გამოყენება. მან შევჩენკო სპეციალური კონტრაქტით მიიღრა ფერწერის საქმეთა ოსტატს შირიავეს, რომელმაც მალე შეინიშნა, რომ მისი ახალი მოწაფე თავისი ნიჭით სხვა მოწაფეებისაგან



ა. ე. უსკოვას პორტრეტი

გამორჩეოდა, და ტარას სერიოზულ და დამოუკიდებელ სამოქმედო შესრულება დააკისრა¹.

პეტერბურგში ნიჭიერი ახალგაზრდის ბედით გამოჩენილი მხატვრები კ. ბრიულოვი და ა. ვენეციანოვი დაინტერესდნენ. მათ გადასწყვიტეს ტარას შვერენკოს ტყვეობიდან გამოხსნა და ამ მიზნით ლატარეაში გაითამაშეს ვ. უსკოვსკის პორტრეტი, რომელიც ბრიულოვის მიერ იყო შესრულებული. შვერენკო ბრიულოვის თანხით (2500 მან.) გამოისყიდეს კიდევ იგი. ეს მოხდა 1838 წლის 22 აპრილს. ამ დღიდან შვერენკოს ცხოვრება ახალი გზით წარიმართა.

1838 წელს შვერენკო იწყებს სამხატვრო აკადემიაში სიარულს. შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში შესვლამდე ტარას შვერენკოს შემოქმედებაში შეიმჩნეოდა მხატვარი-პროფესიონალის ელემენტები. ასეთია, მაგალითად მისი ნაწარმოები „ასალაგზრდა ქალის პორტრეტი“ (1830 წ., ფანქარი). ამ სურათში ავტორი კარგად ფლობს სინათლისა და ჩრდილის შესამებისა და განლაგების ოსტატობას. იგივე აკადემიური კვალიფიციურობა და გადაწყვეტა შევვიძლია

¹ შვერენკო მონაწილეობდა სენატის შენობის მოხატვაში, პეტერბურგის დიდი თეატრის (ახლა იმ მოთავსებულაა ლენინგრადის კონსერვატორია) რესტავრაციაში. შვერენკოს მიერ შექმნილი და შესრულებული იყო ორნამენტები და არხატები, რომლებიც ამაშენებლის მკურებელთა დარბაზის პლედონი, შირაივეთან ერთად მან მოხატა ფიცი, ავანსახლები, სადარბაზო კიბეები და სხვ.

დავინახოთ შვერენკოს ამავე პერიოდის სხვა ისეთ ნაწარმოებზე, როგორცაა „ქალის თავი“ (1834 წ., აკადემიური კომპოზიცია „ლუკრეციუსის სიკვდილი“ (1835 წ.).


ეს სურათები ნაილად ლაპარაკობენ თვითგანივითარების იმ დიდ სკოლაზე, რომელიც გაიარა შვერენკომ. აკადემიაში შესვლამდე შვერენკოს შემოქმედებაში ჩვენ ვამჩნევთ იმ ნიშანთვისებას, რომლის გაღრმავებამაც განუკუთვნა შემდგომში შვერენკოს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რუსული რეალისტური ხელოვნების შექმნის საქმეში. წმინდა აკადემიური ხასიათის ნაწარმოებების გვერდით, შვერენკო იმავე პერიოდში ინსტიტუტრად, სტიქეურად ქმნის რეალისტური ხასიათის სურათებს.

თუ კადავლებით თვალს აკვარელ-მინიატურას „ენგელპარდტის პორტრეტი“ (1833 წ.) და შევადარებთ მას „ქალის თავს“, დავწმუნდებით, რომ მათ შორის დიდი სხვაობაა. ენგელპარდტი ამ მინიატურაში ფსიქოლოგიურად არის გახსნილი. მუსუსაგე, გამსჭვალავი, წვრილი თვალეები, ნერვული, დაძაბული სახე გვეხმარება ამოვიცნოთ მასში მეტატონე — ბურბონი. ასევე რეალისტურია „კ. ბრიულოვის პორტრეტი“ (1835 წ., ფანქარი), რომელშიაც მახვილად არის გადმოცემული ნებისყოფიანი და ამავე დროს ფაქიზი არისტოკრატული სახე მხატვრისა. დამახასიათებელია, რომ შვერენკო ამ სურათში ტექნიკურად, შტრიხის თვალსაზრისით, სცილდება აკადემიური ხაზის დენადობასა და რბილ გადასვლას და იყენებს უფრო მკვეთრ, მოკვეთილ შტრიხებს, თუ შეიძლება ითქვას, „უწყსრიგო“ შტრიხებს.

ბრიულოვის როლი შვერენკოს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. შვერენკო ბრიულოვის მიერ შესრულებულ პორტრეტებში ხედავდა გაბეძულ რეალისტურ საწყისს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ბრიულოვიან შვერენკო სწავლობდა და ეცნობოდა არა მხოლოდ ხელოვნებას, არამედ პომეროსისა და გოეთეს, პუშკინის, შილერის და სხვათა შემოქმედებასაც. ბრიულოვს იგი ხშირად დაჰყავდა ერმიტაჟში და მომავალ მხატვარს აცნობდა და აყვარებდა მსოფლიო გამოჩენილი მხატვრების — რუბენსის, ველასკესის, ვან-დეიკის, ტენიერისა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

იმ დროს აკადემია „მაღალი“ ხელოვნების პრინციპებს იცავდა, თავისი მოწაფეები უმეტესად საუკუნეთა სიღრმეში გადაწყვედა და მათგან სტატურ, იდეალურიზმულ სახეთა შექმნას მოითხოვდა. შვერენკოს სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ აკადემიაში ყოფნის დროსვე ცხოვრების რეალისტური გაზარებით ინტერესდებოდა. ამიტომაც არის, რომ შვერენკო თავის სცემს ბრიულოვის შემოქმედებას და ამავე დროს დანტრესტებულა და გატაცებულია ალექსანდრე ივანოვის სურათებით, სილვესტრ შჩედრინის რეალისტური პიუზაჟებით.

აკადემიაში ყოფნისას შვერენკოს რამდენჯერმე აჯილდოვებენ მედლით წარმატებისათვის. იგი ხშირად იღებს ბრიულოვის სურათების ასლებს და წერს მათ ყიდაზე. ასეთია, მაგალითად, მისი „ავტოპორტრეტი“, შესრულებული 1840 წ. ამ სურათიდან შემოგვეცქერის ყმაწვილი, აღგზნებული თვალეებით, მაღალი შუბლითა და გადავარცხნილი თმებით. ამ პორტრეტში შეიმჩნევა შინაგანი ნაწყაროს გამოსახვის ის სისახვე და დამაბულიობა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ბრიულოვს. ბრიულოვისავე სტილში არის დაწერილი კვიკუატოვას პორტრეტიც. მხატვარმა კარგად დაიჭირა და ასახა



სიღბილ და სინაზე ახალგაზრდა ქალის ფერმერთალი სახი-
სა, მისი მოკრძალებულობა და სიფაქიზე.

შეგენქოს ძლიერ უყვარდა და ეხერხებოდა კიდევ მოშვე-
ლი სხეულის ხატვა. შესანიშნავად ახრჩხეს ცოცხალი სხეუ-
ლის გადმოცემა. ამ მხრივ მისი „ოდალისკა“ (1840 წ.,
აკვარელი, ოქრო) შედეგებს შეიძლება მივუკუთვნოს. ხელოვ-
ნებამოძონდებში ფიქრობენ კიდევ, რომ ამ სურათში შეგენ-
ქომ თავის მასწავლებელს გასწერო.

„ოდალისკაში“, სადაც ზურგშეკეცილი მწოლიარე მოშვე-
ლი ქალი არის განსახიერებელი, მხატვარი კლასიკური სუ-
ლისკვეთების შესახებმისად ფორმის სრულყოფის მისდევს, მაგ-
რამ ქალის სხეული რეალისტურად არის დაწერილი და ცო-
ცხალი სხეულის განცდას გვიქმნის. აკადემისტური ანტიბუ-
ტეტით შემკული „ჩაინებული ბიჭი“ ასევე აღწევს მხატვრულ
ცოცხალი სხეულის შთაბეჭდილებას. ამ ნაწარმოებებში შეიმ-
ჩნვეა ბრულოვის სკოლა. „კარლოს დიდი“ თავისი მოწაფეე-
ბისაგან განსაკუთრებით მოთხოვდა, რომ მათ სანატურო
კლასში კარგად შეეთვისებინათ ცოცხალი სხეულის გადმოცემა.

ორმოციანი წლები მხატვარ შეგენქოსათვის ისევე, რო-
გორც პოეტისათვის, ნაყოფიერი პერიოდიცაა. ამ დროს იგი
ქმნის მთელ რაოდენ შესანიშნავ სურათებს. ყურადღებას იპყრობს
შეგენქოს სურათი „კატერინა“ (1842 წ.), რომელიც პოეტის
ამავე სახელწოდების ცნობილი პოემის ერთგვარ ავტოლოსტ-
რაციას წარმოადგენს. ავტორის გადმოცემით, სურათი ასახავს
კატერინას იმ დროს, როდესაც იგი თავის სატრფოსთან დამ-
შვიდობების შემდეგ სოფელში ბრუნდება. სოფლის შემოსას-
ვლელოში ზის მიხეცი, კოვხს თლის და კატერინას შეკურბებს
ნაღვლიანი თვალდებით; კატერინა კი, საბრალო, ძლივს იკავებს
თვალზე შე მომდგომ ცრემლებს და წინსაფარს ოდნავ მაღლა
იწვეს, რადგანაც „უკვე ...ცოტა ემჩნვეა“. ცხენზე შემჯდარი
ჯარისკაცი უკანა პლანზეა, მას ყვითი მისდევს ლეკვი.

ნახატი ერთგვარად ბრულოვისკენია, აკადემისტურია.
კატერინას სახე ჩაფიქრებულია, ნაღვლიანი, გაფითრებული,
მაგრამ ყველა ამას პირობითობის განსაზღვრულობა აქვს.
მისი ტანსაცმელი გულდასმით და გამოკვეთილად არის და-
წერილი, რაც ესოდენ დამახასიათებელია აკადემიზმისათვის.
სურათში სინათლისა და ჩრდილის საზღვრები ტრადიციუ-
ლი, აკადემიური კანონების მიხედვით არის შესრულებული.
ავტორი კატერინას მიმიკასა და გარეგნობაში რამდენადმე
იდეალური სილამაზის შექმნისაკენ მიიღობს.

მაგრამ ამავე დროს სურათში ჩანს ის შინაგანი ძალა, რო-
მელიც მძლავრ პოეტისკაცს აცხადებს აკადემიური ხელოვნების
გაყინვის წინააღმდეგ.

უპირველეს ყოვლისა, შეგენქოს გაბედულებასა და სითა-
მამეს უნდა მიეწიროს მის მიერ სურათის წინა პლანზე ორ-
სული ქალის გამოყვანა. როგორც ცნობილია, აკადემისტური
კომპოზიციის ცენტრში, თუნდაც ისე მორიდებულად, როგორც
ეს ამ სურათშია გაკეთებული, ქალის ამგვარად დახატვა მიუ-
ღებელი იყო. შეგენქოს თავისუფლების მოყვარული სული
ყოველთვის მწვავედ განიცდიდა „დედა პოკრიტკას“ ტრაგე-
დიას. მას, როგორც პოეტს, მრავალჯერ აქვს ასახული თავის
შესანიშნავ ლექსებსა და პოემებში და ამჯერადაც ცდილობს
მხატვრულ ტილოზე ამ ტრაგედიის ჩვენებას. შეგენქოს ჯერ-
ჯერობით ზეთით წერის დროს არ შეუძლია დაამსხვრიოს
აკადემისტური ფორმები, სამაგიეროდ, ამ აკადემიზმს არღვევს
სიუჟეტის შერჩევის სითამამით. ყურადღებაია სურათის წინა
და უკანა პლანს შორის სხვაობაც. თუ წინა პლანი აკადემიუ-
რობის დაღს ატარებს, სამაგიეროდ უკანა პლანი იმ მამო-


ლებული იუმორით არის შესრულებული, რომელიც ასე
დამახასიათებელი იყო შეგენქოსათვის. წინა პლანი აკადე-
მიურად „სახუმოა“; პარადულია, ხოლო უკანა — ყოფითი,
ცინიკური, თუ შეიძლება ითქვას, მისი ტონუსი უფრო „და-
ქვეითებულია“.


შეგენქოს რეალიზმზე საუბარი თამამად შეიძლება მისი
ნახატის „მხატვარ გ. ი. შტერენბერგის“ (1839-40 წ., ფან-
ქარი) მიხედვით. სურათში ასახულია შეგენქოს აკადემიურ
ამხანაგი, თავით ბალიზზე, ხელოვნებამოცოდნობაში ამ სუ-
რათს ფსიქოლოგიური გამოხატვის მხრივ და სიმართლის,
შტერინის გასაოცარი აქტიურობის ძარბის რეპინის სურათის —
მიძინარე ნორდმანის გვერდით იხსენიებენ.

აქვე შეიძლება გავისხნოთ მხატვრის ავტოპორტრეტი
(1842 წ., ზეთი), რომელიც ერთგვარად ტრადიციულ რო-
მანტიკულ ყაიდაზეა შესრულებული, მაგრამ ამასთან ყურად-
ღებას იპყრობს გამოსახვის სიმამფრითა და სინათლისა და
ჩრდილის კონტრასტული შეხამებით, რაც ესოდენ დამახა-
სიათებელი გახდება შემდგომში შეგენქოს შემოქმედებისა-
თვის.

შეგენქოს მხატვრობაში ჩვენ ვხვდებით კლასიკურ თემას,
მაგრამ უნდა ითქვას, რომ მას მხატვარი ერთგვარად აუბრა-
ლოებს, აძლევს რეალისტურ, ხანდახან ჟანრულ ვლერას. მისი
„ნარცისი“ მოულოდნელად იღებს ხორციელ ფორმას, ხოლო
მის ზურგს უკან თავგამოყოფილ ძაღლს კი ერთგვარი დისო-
ნანსი შეაქვს მითის სალონურ — აკადემისტურ არსში. ასევე
კლასიკურ სტილშია შესრულებული „ლიოგანი“, მაგრამ ამ
შემთხვევაშიაც მისი ატლტურტი ტანი და ჭკვიანი, გულკვეთი-
ლი, მაგრამ ამავე დროს ემშაკური გამოხედვა, რომელშიაც
ჩანს ცოცხალი ბუნების სიყვარულიცა და ინტერესიც, ერთგვა-

მ. ს. შვიკაინის პორტრეტი





ხუნდობით დასჯა

რად არღვევს აკადემიზმს. დიოგენემ უფრო მეტად გლეხი-ფილოსოფოსი ჩანს. ტრადიციული დიოგენისეული ანტირაცი-ასეთი რეალისტური გადაწყვეტის დროს თითქმის დამამძიმებელადაც გვეჩვენება.

1845 წლის 22 მარტს ტარას შვეჩენკოს მიანიჭეს „თავი-სუფალი მხატვრის“ წოდება.

რეალისტური ტენდენციების დამკვიდრებასა და გამტკიცებას შვეჩენკოს შემოქმედებაში ხელს უწყობს მისი მუშაობა წიგნის ილუსტრაციებზე. შვეჩენკოს პოეტური შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა შინაარსიანი, მდიდარი სიუჟეტებით, სოციალურ ძალთა შეპირისპირებით, მოქმედების დრამატიზმით, კონტრასტებითა და სხვ. ამიტომაც შვეჩენკოს იზიდავს მისივე ნაწარმოებების ილუსტრირების საქმე. მისი ხასიათებით გამოდის ბუშკინის „პოლტავა“, კოტილარევსკის „ნატალკა-პოლტავა“, გოგოლის „ტარას ბუღა“ და სხვ.

შვეჩენკოს ორმოციანი წლების შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პორტრეტები, რომლებიც შესრულების მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან. ასეთებია სოკოლოვსკის პორტრეტი (1842 წ.), ავტოპორტრეტი (1845 წ.), კატერი-ნიჩების ოჯახის წევრთა, (1846 წ.), მივესკაიასა (1843 წ.) და გორლენკოს (1845-1847 წ.) საუცხოოდ შესრულებული პორტრეტები. ეს პორტრეტები გვიხილავენ რეალისტური შესრულებით, ხასიათთა გამოკვეთილობითა და უბრალობით. შვეჩენკოს სურათის ობიექტში აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი მისი შინაგანი ცხოვრებითა და სულიერი სამყაროთი.

შემდგომი ეტაპი შვეჩენკო-მხატვრის შემოქმედებაში არის მისი ოფორტების სერია „თავაღწარმტაცი უკრაინა“.

ოფორტებში შვეჩენკოს უნდოდა გრაფიკული სახეებით მიე-ტანა ხალხმდე ისტორიული სიმართლე, მისი დიდი მხატვრული, მისი შესანიშნავი ჩვენანი და ჩვეულებანი, მშობლი-ური მხარის სიმშვენიერე. მას სურდა ამ გზითაც აემტლებინა ხალხის სული, სიამაყე, ნებისყოფა და საკუთარი ღირსების შეგნება.

როგორც ცნობილია, ამ თემაზე იგი სამი წიგნის გამოცე-მას ფიქრობდა. ამიტომაც შვეჩენკო სწავლობს ოფორტის ტექ-ნიკას რემბრანდტის ოფორტებზე. „თავაღწარმტაცი უკრაინის“ სერიიდან შვეჩენკომ მხოლოდ ერთი ტომის გამოცემა შესძლო. ყურადღებას იპყრობს თემების შერევა და გააზრება. საინტერ-ესოა „გლეხთა სამართალი“ (1844 წ.). ავტორს გლეხთა სამართალი შეპირისპირებული აქვს მემამულურ, თვითმპყრო-ბელურ უპატიოსნო სამართალთან. გლეხთა მიმიკა და პოზ-უბრალი და სერიოზულია. ყოველი მონაწილის ხასიათი ინ-დივიდუალურად გამოკვეთილია. ჩანს, ისინი დამწუხრებულნი და ჩაფიქრებულნი არიან პანის ახალი უსამართლო მოთხოვ-ნით. ხელისუფლების გაიძვევა წარმომადგენელი ავტორის გამოყვანილი ჰყავს სურათის მარჯვენა მხარეს.

ისტორიულ სენაში „სარუქები ჩივირინგში 1649 წელს“ (1844 წ.) მხატვარმა ორიგინალურად გადაწყვიტა თემა. სურათში ასახულია მოსკოვის, პოლონეთისა და თურქე-თის ელჩები, რომლებიც ელიან ბოგდან ხმელნიცკის მიღებას. თავისი მისიის წარმატებაში დამშვიდებული და დაჯერებუ-ლია რუსეთის ელჩი, ხოლო დანარჩენ ორს კი რაღაც აწუხებს.

„თავაღწარმტაცი უკრაინაში“ არის ორი ოფორტი „კიევიში“ (1844 წ.) და „ვიდუბეკის მონასტერი“, რომლის შესრუ-ლება რემბრანდტისეულად შეიძლება მივიჩნიოთ. მხატვრე-ლობის თვალსაზრისით, ტონის სიღრმითა და დეტალების გამომკვეთი ხასიათდება ოფორტი „კიევიში“. თვალს იტაცებს უკიდველად დნეპრის ნაპირზე ტოტებუბადარბინილი ასწლო-ვანი ხეები და თითქოს მათი სიდიდის საზგასასხმელად, და-მიანთა პატარ-პატარა ფიგურები მიმოფანტულან. წინა პლან-ზე ხის ტოტები და დნეპრის ნაპირი წამოწეული. იგი ავტორს დეტალურად და სიყვარულით დაუმუშავებია, ამიტომაც რბილი ტონალობითა და პერსპექტივის სიღრმით გამოირჩევა. ამ ნაწარმოებში ტარას შვეჩენკომ გასაოცარ სრულყოფას მიაღწია.

მშობლიური ბუნების პოეტურ ასახვას ვაპოლობთ ოფორტში „ვიდუბეკის მონასტერი“. მხატვარი ზურგს აქცევს პეიზაჟს აკადემიურ გაგებას და ახერხებს ბუნების თავისებურ გადმოცემას.

ყურადღებას იპყრობს სინათლის განლაგება ორივე ოფორ-ტში. იგი მათში მხოლოდ ფერადივან ელერას კი არ გვაძ-ლევს, ფორმას კი არ გამოკვეთს, წარიტაცებს მნახველს სურა-თის ღრმა ლაბირინთებში, იზიდავს და ითრებს მას სურათის კუნძულებისაკენ. სინათლე აძლევს საშუალებას მნახველს შეინშნოს ფორმის რეალური გამომხასხველობა, რომელიც ამ სინათლის გარეშე რიგითი, არავსეტურტი მოვლენა იქნებოდა. სწორედ სინათლის ამ შესანიშნავი გაგების გამო უწოდეს შვე-ჩენკოს „რუსი რემბრანტი“.

სინათლეს დიდი ადგილი უკავია შვეჩენკოს შე-მოქმედებაში. იგი მოწოდებულია რიგითი, ჩვეულებრივი, ყოფითი მოვლენებიდან ამოსწიოს საჭირო დეტალი ან მთლიანად მოვლენა და ადამაღლოს იგი მხატვრულ ელერა-დობამდე. შვეჩენკო დიდი ისტატობით ახერხებდა სინათლის

დამშავებებს ოფორტზე. მნახველს თვალში ეცემა თითქმის არასწორი, სრულიად სხვადასხვა მიმართულების ურთიერთ-გადამკვეთი შტრახები, რომელნიც ხშირია ბნელი ადგილების-სათვის, ხოლო თხელი, თითქმის წერტილისოდენა, იქ, სადაც სინათლეა საჭირო.

უკრაინაში მოგზაურობის შედეგად შეგჩენკო ქმნის ოფორტების სერიას. იგი მშობლიური უკრაინის სიდატაკისა და ტანჯვის მიღმა ხალხთა ძალასაც ხედავს. ამავე მეტყველებს გლეხის მონაშენებელი რომელნიც, რომელნიც დიდი მხატვრული ისტატივითა და სიუსტით არის გადმოსცემული გინიერება და მტკიცე ნებისყოფა.

კვიმე შეგჩენკო უახლოვდება „კირილე-მეთოდეს ძმობის“ წევრებს და მალე ამ ორგანიზაციის რევოლუციური ფრთის ხელმძღვანელიც ხდება. ჟანდარმერია აღმოაჩენს ამ სასოვა-დობას, აპატიმრებს მის წევრებს, მათ შორის, ტარას შეგჩენკოსაც, რომელსაც როგორც ხელისუფლების ყველაზე საშობ მტერს, მკაცრად სჯიან. მას ასახლებენ შირეულ ორსკში, მეფეთავის ხელით აწერს განაჩენს — აცქარალოს წერა და ხატვაო.

გადასახლებაში შეგჩენკოს მეტად მიჰყვამდგომარობაში უხდება ცხოვრება. ერთგვარ ხსნად ევლინება არალის ზღვის გამოსაკვლევად შედგენილი ექსპედიცია. დიდი პროტექციით შეგჩენკო ახერხებს ამ ექსპედიციაში მოხვედრას. ექსპედიციის ხელმძღვანელი ბუტაკოვი ავალებს მას გააკეთოს ჩანახატები. მხატვარი შვებით ამოსუნთქავს. ექსპედიციის დამთავრების შემდეგ, იგი ისევ თვითმპყრობელობის კლანჭებში ექცევა.

შეგჩენკოს ეს სულიერი მდგომარობა მის ავტობიოგრაფიკშიც აისახა, რომლებიც ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. სურათიდან შემოგვეკერის გამხდარი, გატანჯული კაცი. იგი ცხოვრებას ფიზიკურად გაუტეხია, მაგრამ მის თვალებში მაინც გამოსჭვივის უტეხი ნებისყოფა და დაუშორილებელი სული. მეორე სურათზე შეგჩენკო ჯარისკაცის ფორმაშია. ჯარისკაცის მრგვალი ქუდის ქვეშ მაღალი „სკოტრატისეული“ შუბლი და თვალთა დაღლილი გამოსხედა შეიმჩნევა.

გადასახლების პერიოდის შემოქმედებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ნამუშევრების სამი ციკლი — პეიზაჟები, ყაზახთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები და სურათების ცნობილი სერია „უძღლები შვილი“.

ტარას შეგჩენკო — თავისუფლებისა და ძმობის მოძიერალი პოეტი ყაზახი ხალხის ცხოვრებაში ისეთსავე უმედურებას ხედავს, როგორსაც უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში. მგრძობობაზე მხატვარი სეპიით ნახატებში ამაღლებულად მოგვითხრობს ყაზახ ხალხის უსიხარულო ცხოვრების ამბებს.

როგორც დიდბუნეოვან ადამიანს, შეგჩენკოს ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მათ ასახავს იგი თავის სურათებში. „მათხოვარ ყაზახ ბავშვებში“ (1853 წ.). სასო-წარკვეთილი სახის პატარებს საბრალოდ გაუწვდილი ხელი მოწყალებისათვის. შეგჩენკო გასაოცარი პლასტიკურობით გვიხატავს სახლებს, სკლებს, შემოცვეთილ ტანსაცმელს. ბავშვებს უკან აგტორის ფიგურა მოჩანს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის შეგჩენკოს შემოქმედებაში. იგი ხშირად ხატავს თავის თავს გლეხებთან ერთად და ამით ხაზს უსვამს თავის სიახლოვან დამარტულ, დაბეჩავეულ ხალხთან.

შეგჩენკო ხატავს მათხოვარ ბიჭუნას, რომელიც დუმულთან მიუხედავად განაბულა, ხატავს ბიჭუნებს, — ერთი მათგანი მიწაზე ზის ხელებგაწვდილი, ხოლო მეორე, უმცროსი,

მოთმინებით, გულუბრყვილოდ ელოდება პურის ნატერს... ფანჯარიდან კი მუტი მოჩანს გამოშვებული.

შეგჩენკო ყაზახი ხალხის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში ღრმად იხედებოდა, რამდენადაც ამის საშუალებას პირობები აძლევდა. ხედავდა, რომ ამ შრომით წელგატეხილ ხალხში თავისუფლებისმოყვარული სული ბობოქრობს. შეგჩენკო ასახავს ამ ხალხის შრომასა და ყოფას. ასეთებია მისი სურათი „ყირგიზი ქალი კატია“ (1856-1857 წ. წ.), ღრმა რეალისტური ყოფითი სცენა „ყირგიზი ქალი საცეხთან“ (1856 წ.) და სხვ.

ამავე პერიოდშია შექმნილი ი. ა. უსუკოვისა და ა. ე. უსკოვის (1853-1857) პორტრეტები. ამ უკანასკნელზე ერთ დროს პლატონურად იყო შეყვარებული შეგჩენკო. ეს სურათი გვიხიბლავს თავისი ფერწერული სიმშვენიერით. ფონიდან გამოიყოფა ნაღვლიანი, განათებული სახე. ერთგვარად დანარდილული სახის ქვედა ნაწილი შესანიშნავად აქცენტირებულია მკვეთრად გამჭქებული თეთრი საყელით. მისვლი,



ქიბეში

ოდნავ გადატეხილი წარბები იტაცებენ მნახველის თვალს, აცოცხლებენ სურათს და მის ხორციელ შეგრძნებას იძლევიან. თითების დამშავებავ აძლიერებს ასეთ შთაბეჭდილებას. საერთოდ, სურათის ლირიკული და რეალისტური ელერადობა აქვს.

განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს აკვარელი შესრულებული პეიზაჟები. ეს სურათები საუკეთესონი არიან მათ შორის, რაც მხატვარს შეუქმნია ამ ჟანრის საერთოდ. არც ერთ მათგანში არ ჭარბობს ეთნოგრაფიზმი. ყოველ მათგანში ავტორი ხედავს ბუნების თავისებურ სილამაზეს, შინაგან აზრსა და განსაკუთრებულობას. მკაცრი და პირქუშია „კარაბუტკის ფორტი“ (1848 წ.), პოეტური ფიქრი და განწყობილება ჩანს პეიზაჟში „მთვარიანი ღამე კოს არალისა“



მათხოვარი ყაზახი ბავშვები

(1848-1849 წ. წ.), ხოლო „კუნთუ ნიკოლოზის მითიანი ნაბირი“ (1848-1849 წ. წ.), „ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრე ხივინის გზიდან“ და მრავალი მითიანი აკვარელი ფერწერის სრულყოფილ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს რუსული და უკრაინული ხელოვნების ისტორიაში. ამ პეიზაჟებს ახასიათებთ გამჭვირვალება და კოლორიტის პარინია, ოსტატური კომპოზიცია, ბუნების მოვლენათა პოეტური აღქმა.

ამ პერიოდის პეიზაჟში შეგვჩვენო არ დალატობს თავის ტრადიციას — მას შეაქვს პეიზაჟში არქიტექტურული დეტორია, ადამიანთა ან ცხოველთა ფიგურები. ავტორი ამ გზით აღწევს ადგილობრივი ლანდშაფტის კოლორიტის გაძლიერებას და მას შინაინსიანს ხდის. შეგვჩვენო ახერხებს, მუსიკალური თემის მსგავსად, აკვარლის დომინირებულ გამაზე აგებას — მელნისფერ-წითელი, მონაცრისფრო-მოლურით ან სხვა ტონის საფუძვლად აღებს და მათ ვარირებას. მის აკვარელში არ შეიმჩნევა ფერთა სიტრულე. ბუნების მოვლენები და საგნები ავტორს ღრმა არტისტობით აქვს გადმოცემული.

ბაიკუშების — მათხოვართა თემას, განკითხულთა თემას მიყვარით ჩვენ შეგვჩვენოს განსაკუთრებით სანტრესო ნამუშევრებთან — სუიტასთან „უძღები შვილი“. ეს არის სიტბა ცხოვრებისაგან გარიყულ, დეკლასირებულ ელემენტზე. ეს არის ამბავი იმ ადამიანებისა, რომელთა ცხოვრების საშუალო დასასრული მოქმე გახდა შეგვჩვენო გადასახლებაში.

თუ თავის ბაიკუშებში შეგვჩვენო გამსჭვალულია უხედრო, დაჩარგული მათხოვრებისადმი სიბრალულის გრძობით, ახალ გმობთან მიმავალ შეგვჩვენოს სხვა გზით უნდადა: იმ სასოგადოების მხლებლის პოზიციებიდან, რომელიც ქმნის „უძღები შვილებს“, ადამიანებს, რომლებმაც უნდა გადაიტანონ ყოველგვარი ტანჯვა-წამება და, რომლებიც საბოლოოდ ცხოვრების მიძიმე გზაზე ეცემიან, ადამიანურ ღირსებას კარ-

გავენ. შეგვჩვენო ამოცანად დაისახა ბურჟუაზიული საზოგადოების მხლებლის გზით სოციალური კონფლიქტის ასახვა.

დიდმა მხატვარმა-პროპაგანდისტმა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას კიდევ მრავალი რამ შესძინა გადასახლების დროს და თავისი სოციალური შეხედულებებით დაუახლოვდა ჩერნიშევსკის. ამიტომაც მისი პროპაგანდისტული ჩანაფიქრი „უძღები შვილიში“ უფრო მახვილია, ვიდრე ათი წლის წინათ გააზრებულ „თვალწარმატე უკრაინაში“. ის, რაც შეგვჩვენოს სტანჯავდა გადასახლებაში, აისახა სეპიით ნახატთა სერიაში „უძღები შვილი“. ამ სერისის სათაური მან რემბრანდტის გავლენით მოძებნა. შეგვჩვენოს ჩაფიქრებულ ქაინდა 12 ნახატი, დღესდღეობით ცნობილია: ბანქოს თამაში, ლოთი, სამიტი-ნოში, სასაფლაოზე და სხვ. თავის დღიურში შეგვჩვენო მათ მოიხსენიებს, როგორც დამთავრებულ ნახატებს, მაგრამ ოფორტად დამუშავება მას არ დაუშთავრებია, თავდაპირველად მხატვარს სურათების სერია, ფედოტოვის ნაწარმოებების მსგავსად, სატირად უნდა ექცია, მაგრამ ცხოვრებამ და პოლიციურმა სინანდილემ ხელოვანს არ მისცა საშუალება განხორციელებინა ჩანაფიქრი. ეს სერია ავტორმა დაიწყო ვაჭართა გახრწნის თემის დამუშავებით, მაგრამ მალე გადაქცია გადასახლებული ჯარისკაცის სხინელი ცხოვრების ისტორიად. ავტორმა ამ ადამიანის სხვადასხვა ეტაპი ავვისახა. დაგვიხატა იგი გზაში, ამხანაგებთან ერთად ბორკილგაყრილი, ხუნდებით, შპიცრუტუნებით დასჯილი... დაგვიხატა ციხეში, ფეხებზე ბორკილადდებული და ამხანაგთან გადაჯაჭვული, ჩაფიქრებული თავის მიძიმე ცხოვრებაზე.

სერია „უძღები შვილზე“ შეგვჩვენოს შემოქმედებაში თემატიკურად ყველაზე ძლიერია, მასში აისახა გაუბედურებელი, შეგინებული ადამიანის მწარე ხვედრი. მხატვარმა შესძლო ცალკეული სურათებით შექმნა ერთიანი სახე ცხოვრებისაგან დაწიხული უბრალო ადამიანისა, შესძლო გამოეხატა უღანაშულო ადამიანების პროტესტი არსებელი წესწყობილების წინააღმდეგ. თავისუფალი, ტლასტიური მეტყველება, კომპოზიციის დინამიურობა და ბუნებრივობა, მთავარი გმობის გამოყოფა და წინა პლანზე წამოწევა, ყოფითი დეტალების კონკრეტულობა და გამოკვეთილობა ახასიათებს შეგვჩვენოს ამ დროის შესანიშნავი ციკლის სურათებს.

არის ამ სერიაში ერთი დეტალი: ორი ნაწარმოების („ეტაპზე“ და „ხუნდებით დასჯაში“. 1856-1857 წ. წ.) კომპოზიციაში ავტორს თავისი თავიც ჰყავს გამოსახული. სურათში „ეტაპზე“ იგი უძღები შვილთან ერთადერთი ჯაჭვით არის შემორკული, ხოლო მეორე ნახატში მისი სილუეტი ჩანს, — იგი აკვრებს ტანსაცმელს. ავტორმა ამ ხერხით მნახველს აგრძობინა თავისი გულის ზრახვები და განწყობილებანი, თავისი დამოკიდებულება უძღები შვილისადმი. შეგვჩვენოს სურდა დრამატული სარკასში წარმოედგინა „უძღები შვილის“ ცხოვრების ცალკეული სურათები. სტილიც ამ ესთეტიური განსაზღვრით მხატვარმა ხაზი გასვსა ნაწარმოების მამოილებლურსა და დღეაქტიურს სახით.

1857 წლის ივლისში ნოვოპეტროვსკში მიიღეს ცნობა შეგვჩვენოს განთავისუფლების შესახებ. როგორც იქნა, პოეტს ეღობა თავისუფლება.

შეგვჩვენოს მებრძოლი სული, ჯერ კიდევ „თვალწარმატე უკრაინაში“ შექმნის დროიდან მოკიდებული, თანდათანობით შეტიკივება და მალდებდა როგორც პოეზიაში, ასევე სახვით ხელოვნებაში. მაგრამ პოეზიაში იგი უფრო ადვილად ახერხებს თავისი იდეების ნათლად გამოხატვას. შეგვჩვენო გენიალური პოეტი იყო. მის პოეტურ გზას აშუქებდნენ რევოლუციურ-



დემოკრატიული იდეები და რუსი კლასიკოსების მალაღმბატ-
რული ნაწარმოებები. იმ პერიოდის პოეზიასა და ხელოვნებაში იყო შუქურა, რომლის დახმარებითაც შეეძლო გზა გაეკვლია ტარს შვეიცრეოს.

სულ სხვა იყო ამ მხრივ შვეიცრეოსდროინდელი სახვითი ხელოვნება. იმდროინდელი ლიტერატურის რუსი და უცხოელი კლასიკოსების საღარი მოღვაწე მამონდელი უკრაინის სახვით ხელოვნებაში თითქმის არაგინ იყო. მართალია სამხატვრო აკადემიამ აღზარდა შვეიცრეო-მხატვარი, მაგრამ ამავე დროს იგი ცდილობდა მასში განემტკიცებინა სალონური, თავადაზნაურული ხელოვნებისაკენ მიდრეკილება. მართალია, აკადემიის წრეში უკვე შეიმჩნეოდა რღვევა, დიფერენციაცია (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრიულოვის ნაყოფიერი მოღვაწეობა და გავლენა შვეიცრეოზე), მაგრამ ეს მაინც არ იყო ისე მკვეთრად ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი, რომ ჭკონიდა დომინირებული გავლენა მხატვარ შვეიცრეოს ჩამოყალიბებაზე.

გადასმულიდან პეტერბურგს დაბრუნებული შვეიცრეო ისევ გრავიურამ, ოფორტმა გაიტაცა. მისი აზრით, ფერწერისაგან განსხვავებით გრავიურა შეიძლება გამოავლდეს და ამავე დროს შეინარჩუნოს ავტორის ტექნიკის მიმზიდველობა, თავდაპირველი სახე. გრავიურა უფრო ადვილად ვრცელდება ხალხში, იგი უფრო დემოკრატიულია და ამიტომაც მხატვარი ისევ მისკენ მიისწრაფვის.

პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ, შვეიცრეო ეწაფება გრავიურას, ოფორტს და გასაოცარ შედეგებსაც აღწევს. აღსანიშნავია, რომ იმ დროის გამოჩენილ გრავიორებს თ. ი. იორდანს და ნ. ი. უტკინს არ შეუძლიათ ოფორტში მისთვის დახმარების აღმოჩენა, რადგან ისინი გრავიურაში მუშაობენ (ნემსით, სატრისით). შვეიცრეო ისევ ეწაფება მაცოცხლებელ წყაროს — დიდი რემბრანდტის შემოქმედებას.

შვეიცრეოს გრავიორული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია: შვიდი ავტოპორტრეტი, პორტრეტები, კომპოზიციები პუშკინის „ბოშებისა“, შექსპირის „მეფე ლირის“ მიხედვით, ანრული ჩანახატები, ოფორტები რემბრანდტის, მურილიოს, ბრიულოვისა და სხვათა ნაწარმოებების მიხედვით.

სასვეთო უდავოა თ. ი. ბრუნის, თ. ი. ტოლსტოის (1860 წ.) და პ. კ. კლოდტის (1861 წ.) პორტრეტული ოფორტების მსოფლიო მნიშვნელობა. ისინი გამოირჩევიან შესრულების წარმატებით, არტისტობით, სინათლისა და ჩრდილის შესანიშნავი შესამართებით, გაბედული შტრიხებით.

50-იან წლებში უფრო ისვენება შვეიცრეო-პორტრეტისტის ოსტატობა. ამ მხრივ შესანიშნავ ნიმუშად შეიძლება ჩაითვა-

ლოს მ. ს. შვეპკინის (1858 წ.) საყოველთაოდ ცნობილი პორტრეტი. იგი რუსული და უკრაინული პორტრეტული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. ამავე წელს არის შვეპკინის ზანგი ტრავიკოსის არა ოლდრიჯის ცნობილი პორტრეტი.

შვეიცრეოს ამ პერიოდის შემოქმედებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი გრავიურა, რომელიც 1859 წლით თარიღდება. მასში ნათლად აისახა ქალთა უბედურებაზე მგოდებულის, ახალი სოციალური ურთიერთობის მამხილებელი მხატვრობის დემოკრატიული ტენდენციები. გრავიურა ასახავს ნახევარე შიშველ მძინარე, გაუბედურებულ ქალს. ყველას მოლაქევე და ყველას ნივთად ქვეული ბოლოს მარტო დარჩა სახლში და ჩაიძინა მძიმე მილით. მხოლოდ ამ დროს არის იგი „თავისი თავის ბატონი“. ასევე უწოდა ავტორმა სურათს.

სამხატვრო აკადემია იძულებულია აღიაროს შვეიცრეოს მზარდი ავტორიტეტი, მისი ოსტატობა, და 1860 წელს შვეიცრეოს აკადემიკოსის წოდებას ანიჭებს.

მაგრამ ეს მაინც არ ცვლის მის მძიმე მდგომარეობას. სიცოცხლის უკანასკნელი წელი ავადმყოფმა შვეიცრეომ ზნელ და ნესტიან ოთახში გაატარა. ოთახი ორად იყო ანტრესოლით გაყოფილი. ეძინა ზემოთ, სადაც ფანჯარა იატაკის ვასწვრივ იყო, მუშაობდა ქვევით. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შვეიცრეოს ხელიდან არ გაუვდია კალამი და არც თავისი იდეებისათვის უღალატნია.

თუ გაავითვალისწინებთ შვეიცრეოს ცხოვრების მთელ ტრადიციას, მისი მხატვრული შემოქმედება უდავლად უნდა იქნას მიჩნეული. თუ გადავავლებთ თავს შვეიცრეოს მრავალფეროვან ნაყოფიერ შემოქმედებას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ამ მრავალი წლის არაადამიანური ტანჯვისა, შვეიცრეომ მაინც არ დაითრგუნა, არ გატყდა რეჟოლუციური სული; მეფის ხელისუფლების ბინძურმა თათებმა მაინც ვერ წარყვეს დიდი ადამიანის რწმენა, შეხედულებანი, მისწრაფებები. მისმა რეჟოლუციურმა სულმა ბოლომდე შეინარჩუნა სილიადე და სისპეტაკე, და საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. ამიტომაც სასვეთო სანართლიანად შეიძლება სიამაყით გაიხსენოთ შვეიცრეოს სიტყვები: „ამ ყოველმა აღუწერელმა უბედურებამ, ყოველი სახის დამცირებამ და შურაყენებამ ჩაიარეს, თითქოს არ შემეხებინა... არც ერთი თვისება ჩემს შინაგან სამყაროში არ შეცვლილა“.

სამტოთა ხალხები და პროგრესული კაცობრიობა დღეს, მისი გარდაცვალების მეასე წელს, სიყვარულით იგონებენ ტარს შვეიცრეოს, როგორც არა მხოლოდ გენიალურ პოეტსა და შესანიშნავ მოქალაქეს, არამედ როგორც დიდ მხატვარს.

როცა თეატრი ახლავს კითხვულობს თანამედროვეობის ამსახველ პიესას

ეთერ გუგუშვილი

(მხ. მრველიშვილის „ზვავი“ გ. ერისთავის სახელობის
გორის სახელმწიფო თეატრში)



იხილ მრველიშვილის „ზვავი“, შესაძლოა, არც ის ვრცელი, მაგრამ საკმაოდ მღვანელო სცენური ისტორია აქვს. ქართული თეატრის სცენაზე ამ პიესის გამოჩენას ურიეთრისაწინააღმდეგე განწყობილებით შეხვდნენ. სასოტო რეცეზივებითან ერთად მკაცრი კრიტიკული შეფასებაც დაიმსახურა „ზვავმა“. იყვნენ ისეთები, რომელნიც მიხილ მრველიშვილის პიესას გიჟებს „ფუსუსს“ ადარებდნენ, სხვები სრულიად საპირისპირო მოსაზრებას გამოისთქვამდნენ, — წყნდნენ, რომ ეს არის უდიდო, ანტიმხატვრული ნაწარმოები.

დღეს ჩვენს მიზანს სრულიადც არ წარმოადგენს ამ ურიეთრისაპირისპირო მოსაზრებების ანალიზი და შეფასება. თუმც არც ისე ძნელია დამტკიცება იმისა, რომ ერთნიც და მეორენიც უკიდურესობაში ვარდებოდნენ და ამით თავისთავად გამოირცხავდნენ ერთმანეთს.

ჩვენი მიზანია გავარკვეოთ, რაზე და ვიზეა დაწერილი ეს პიესა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის.

მხ. მრველიშვილის პიესა დაწერილია ადამიანებზე, მათ საქმებზე, მათ უთანხმოებაზე და დავაზე, ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, თავიანთი მოვალეობისადმი, სახელმწიფოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობაზე და სხვ. პიესაში ნაჩვენებია ცხოვრებაზე სხვადასხვაგვარი შეხედულების ადაინალები, მათი მიზნები, მათი ზრახვები. რა უკითხ, რომ ეს ფილოსოფიური კონცეფცია ავტორის მიერ ყოველთვის და ყველდროში აბოვამდე არ არის მიყვანილი. დავ, ეს კონცეფცია ზოგჯერ წმინდა გონებაჭერებტოს ხასიათს ატარებდაც, ყოველდღეს ეს მაინც ვერ არყვებ პიესის მყარ, მტკიცე საფუძვლს, ვერაფერს აწებებს მის აშკარა, კარგად გაგებულ ტენდენციურობას, პიესის დინამიკურ დაძაბულობასა და კონფლიქტის სიმწკრივეს.

„ზვავი“ უბრალო საბჭოთა ადამიანები მოქმედებენ. მათ არაფერი აქვთ ურველო, ზებუნებრივი. არავითარ გადატრიალებას არ ახდენენ და არც ბრტყელ-ბრტყელ ფრანუზებს წარმოსთქვამენ ცხოვრების დანიშნულების შესახებ. და მაინც, მიუხედავად ამისა, მხ. მრველიშვილის პიესა შორს არის ყოველდღიურობისაგან, ჩვეულებრივი ყოფითობისაგან. მასში ნათლად იგრძნობა მღვანელო სული, დიდი ვნება, პიესაში გამოყვანილი არიან ძლიერი ხასიათები, ასახულია მძაფრი ძილი.

დღეს, როდესაც საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დღის წესრიგში დააყენა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები, როდესაც პლენუმის გადაწყვეტილებებში ნათლად აისახა როდესაც მუერნობის ყოველი მუშაის წინაშე მდგარი ამოცანა მიწაშიმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მკვეთრი ამალდებისა, — მ. მრველიშვილის პიესას და მასთან ერთად გორის თეატრის სპექტაკლს როგორღაც უფრო

მეტი აქტუალობა, უფრო მეტი საზოგადოებრივი ელვადობა, უფრო მეტი საბრძოლო იერი მიეწება.

ჩვენ ამ სპექტაკლის ნახვა ერთგვარად ურველო ვითარებაში მოგვხდა. გორულებმა თბილისში ჩამოიტანეს თავისი სპექტაკლი და ამას არ შეეძლო გარკვეული სინდლებები არ შეექმნა თეატრისათვის.

გორის თეატრის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ სპექტაკლი „ზვავი“ იმსახურებს დედაქალაქის მაყურებელთა სამსჯავროზე გატანას; ასე ფიქრობდნენ გორის თეატრში და არც შემედარან, — სპექტაკლმა ჩააფიქრა, ათვალა ჩვენი მაყურებელი. იგი კიდევ უფრო ღრმად დაუფიქრდა იმ აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის საჭირობოტო საკითხებს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ჩვენი ერთის წუთითაც არ გვიფიქრია რაიმე შეღავათუ გორელთა სპექტაკლის შეფასებისა. თეატრი მ. მრველიშვილის პიესაზე მუშაობას სრული სერიოზულობით მოეციდა და ჩვენც ამავე საზომით გვიანად მივუდგეთ სპექტაკლ „ზვავის“ შეფასებას.

ყოველ თეატრს აქვს უფლება ამა თუ იმ პიესის დამოუკიდებელი, საკუთარი ტრატეტივისა. ეს უფლება განსაზღვრულა თვით კორექტული თეატრის შემოხვევით, მისი მხატვრული ხასით, მისი პროფილით. ამ შემოხვევაში თეატრი წარმოადგენს ღრმად ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ მხატვრულ ორგანიზმს, რომელსაც შემოქმედების საკუთარი სახეიფიური კანონები, თავისი მხატვრული მეთოდი აქვს.

თეატრი პასიური არ უნდა დარჩეს ყოველი ცალკეული პიესის მიმართ. მან უტყვევლად უნდა გაზომოს საკუთარი დამოკიდებულება არა მარტო პიესისადმი, არმედ პიესაში ასახული მოვლენებისა და ფაქტებისადმი. ხდება ხოლმე, — თეატრი დრამატურგის „კორექტირებას“ ახდენს, „საკუთარი თვალთ“ კითხულობს პიესას, გამოიყოფს და ხაზს უსვამს პიესაში იმას, რაც მას, როგორც ინდივიდუალურ მხატვარს, უფრო მნიშვნელოვანად და საყურადღებოდ ესახება.

ჩვენ ლაპარაკი გვაქვს მხატვრის უფლებაზე. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს თეატრალურ პრაქტიკაში, მაგრამ საკმარის არის, ეს თუ ის თეატრი როგორ იყენებს ამ უფლებას, — ნაწარმოების იდეის საზიანოდ, თუ პირიქით, — მის სასარგებლოდ.

მოვიფიქროთ ფართოდ ცნობილი ფაქტი ლ. ტოლსტოის „აღდგომის“ დადგმისა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე. სამხატვრო თეატრი ერთის წუთითაც არ ფიქრობდა ტოლსტოის საპირისპირო გზით ევლო. სპექტაკლის შემქმნელმა ტოლსტოისაგან აიღეს მხოლოდ ის, რაც მისთვის ახლობელი და მნიშვნელოვანი იყო. თეატრმა უკუაგდო ტოლსტოისეული „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ ქადაგება, მისი სუესური შეხედულებანი. „აღდგომის“ პრობლემა იმიტომ კი არ გაიტაცა თეატრი, რომ ზოტბა აღველინათ ნეშლიუდვის თვითვეებისათვის, სრულიადვე არა! თეატრის მიზანი იყო მაყურებლისთვის ეჩვენებინა კაცთუშას ადამიანური სიწმინდე, მისი სულიერი ამაღლება, მისი მონალური გამარჯვება. შეიყვალა ამით რაიმე ტოლსტოის ნაწარმოებში არსებული? ცხადია, არა. პირიქით, თანადროულობის მანიკიერი მხარეების ამ მკაცრი და ობიექტური მხილვების წყალობით ტოლსტოის მაყურებლის წინაშე წარსდა მთელი თავისი სიდიადითა და სიძლიერით.

ჩვენ ფართოდ ცნობილსა და დიდ მაგალითს მივმართეთ. რაღა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა ანალიზის ძიება

ჩვენს მიერ მოყვანილ შაგალითსა და გორის თეატრის წარმოდგენას შორის. ჩვენ აქ საერთო პრინციპზე, შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ მხოლოდ.

და აი, „ზვავი“ გორის თეატრის სცენაზე! მიხ. მრველიშვილის პიესა ისევე, როგორც ყოველი დრამატურგიული ქმნილება, დამოუკიდებელ რეჟისორულ ინტერპრეტაციას მოითხოვს, და აქ ჩვენ არ შეგვიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნოთ რეჟისორ ლილი იოსელიანის მიერ პიესის სწორი გააზრება, მისი მართებული იდეური პოზიცია.

ლილი იოსელიანმა პიესაზე მუშაობა დაიწყო იმით, რომ სწორად გაანაწილა აქცენტები სპექტაკლში. დრამატურგის ჩანაფიქრის ყველა შესაძლო ვარიანტიდან (ეს ვარიანტები, სხვათა შორის, გამოყენებულ იქნა სხვა თეატრებში) ლილი იოსელიანმა არჩევანი შეაჩერა იმაზე, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე ახლოს იდგა ნაწარმოების იდეურ გააზრებასთან. ამით რეჟისორმა მთლიანად მოხსნა ბრალდება „ზვავს“, როგორც ისეთ პიესას, რომელშიაც თითქმის ცხოვრების უარყოფით მხარეებზეა გადატანილი აქცენტი. თეატრი არ გააყვავა უაზროფიის ხაზგასმის გზას. სპექტაკლში წინა პლანზე ძველთან და დრომოჭმულთან ბრძოლა კი არ არის ნაჩვენები, არამედ ხაზგასმულია ახალი ადამიანისათვის ბრძოლის იდეა, ახლისა და პირობურების გამარჯვების იდეა. აი რატომ მოხდა, რომ თინიშვილი კი არ მოგვევლინა სპექტაკლის მთავარ გმირად, არამედ ლელა (მსახ. რ. ცაბაძე). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცაბაძის ლელა საუკეთესო სახეა სპექტაკლში. მსახიობი თამაშობს დიდი ტემპერამენტით, შინაგანი დინამიკით, თამაშობს მეტად ამაღლებულად. ცაბაძის ლელაში ქალური კდემაც იგრძნობა, შეუპოვრობაც და ვეჟაკცური შემართებაც. მის წყაროა ხმაში, მიმოხერხაში, ერთის შეხედვით მოუხეშავ, ნამდვილად კი არაჩვეულებრივ პლასტიკაში ნათლად შეიგრძნობა მთის ლაღი ასული, რომელსაც მტკიცე ნებისყოფა და დიდი სულიერი ძალა აქვს. მსახიობს არსად დაღატობის სიმართლის გრძობა. ამასთან ერთად მის შესრულებაში იგრძნობა თავისებური სადღესასწაულო განწყობილება, მივლი მისი მოქმედება რომანტიკული ამაღლებულობის გამოშხატვლია. რ. ცაბაძეს ერთნაირი უშუალოებით მოაქვს მაყურებელამდე თავისი გიორის ლირიკული სუნთქვაც და სასოვადობრივი საქმისათვის თავდადების სურვილიც. სპექტაკლის ფინალურ ეპიზოდებში კი რ. ცაბაძის თამაში ქმნილობად დრამატულ ძვრადობამდე მარღვება. ლელასა და გვეას დიალოგი, როდესაც ისინი მთებში შეხვდებიან ერთმანეთს, უდიდეს შინაგან დაძაბულობაზე აგებული. ამ სცენას საოცარი დინამიზმი და ქმედითობა ახასიათებს.

მარტო რეჟისორის დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ მან ლელა აქცია სპექტაკლის მთავარ გმირად. ლელა მარტო როლია სპექტაკლში. მის მხარდამხარ სხვებიც იბრძვიან ახლის დასამკვიდრებლად. ეს მთელი კოლექტივია საბჭოთა ადამიანებისა, რომელთა ხელში დიდი ძალაა. სწორედ ამის ჩვენებაა სპექტაკლის სერიოზული წარმატება. ეს არის პრინციპული მნიშვნელობის წარმატება, რომელსაც უშუალოდ ამოკადრებულმა აქვს ნაწარმოების იდეურ ძვრადობასთან, მის პოლიტიკურ რეზონანსთან.

აქ უკვე საკმაოდობდ უნდა შევჩერდეთ. იოსელიანის ნაშრომის ერთ უაღრესად სერიოზულ თავისებურებაზე. ამ სპექტაკლში რეჟისორისთვის არ არსებობს დიდი და პატარა როლები. ყველა როლი ერთნაირად მნიშვნელოვანია მისთვის, განსაკუთრებით, პიესის ის პერსონაჟები, რომლებიც



რეჟისორი ლილი იოსელიანი

პატიოსანი საბჭოთა ადამიანების ერთ მთლიან კოლექტივს წარმოადგენენ. აქ უნდა მივხსენიოთ კამეკო ზუზუცა, რომელსაც ახალგაზრდული გატაცებითა და იუმორის ჩინებულ გრძობით თამაშობს მსახიობი ი. ოზმბეაშვილი, მარიცაც (მსახ. ლ. არსიშვილი), დუდუნაც (მსახ. ი. სალუკაშვილი), სიცოცხლით სავსე პაუწყაც (მსახ. გ. ბასიაშვილი) და კომეც (მსახ. მ. ბლუაშვილი). აქვე გვინდა გამოვყოთ გორის თეატრის ორი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი, რომლებმაც სულ ახლახანს დაამთავრეს ს. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. ესენი არაა გ. წითათიშვილი და ს. გოგიჩაიშვილი. ეს ახალგაზრდები რეჟისორმა გამოიყვანა მუყვესების ეპიზოდურ როლებში. როგორი ცეცხლი, რაღვნი უშუალოდ მათ თამაშში! რა ნათლად იგრძნობა მათი შემოქმედებითი აქტიურობა, მათი არსებითი პოტენციალი! გვენდა ვუსურვოთ მათ, რომ მაყურებელმა მალე იხილოს ისინი უფრო მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო როლებში.

მაგრამ როდესაც ჩვენ „ზვავში“ გამოყვანილი საბჭოთა ადამიანების კოლექტივზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია გულისტკივლით არ შევნიშნოთ, რომ აქ ერთი უსტიკ ადგილი მაინც არის სპექტაკლისა. გორელთა წარმოდგენაში ისევე, როგორც მიხ. მრველიშვილის პიესაში, სრული ხმით ვერ ამეტყველდა ამირანის მსატერული იერსახე. მართალია, ამირანის შემსრულებელი მსახიობის თამაშში არაფერია საჩოთირო და აუგად სასუნეუელი. პირიქით, რეჟისორმა და მსახიობმა სცადეს მაქსიმალურად გაავადამიანებინათ ამირანი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს. მსახიობი ი. დათუნაშვილი უბრალო და ბუნებრივია ამირანის

როლი. იგი თამაშობს რილად, არ ცდილობს თავისი გმირის მჭადგებლობის როლი გამოეყვას, არ დგება ჭკუის დამირიგებლის პოზაში. მაგრამ ამირანში მინც არ იგრძნობა შინაგანი ძალა, ენერჯია, თავისი საქმის სიყვარული და მოვანების ღრმა შეგნება. ამ თვისებების წყალობით კი ამირანს ელუას თანაბარი გმირი გასდებია სპექტაკლში და რადგან ეს ასე არ მოხდა, მიგვანინა, რომ ეს მომენტი ისეთი სერიოზული ნაკლია სპექტაკლისა, რომელიც გარკვეულ დაღს ასვას ამ საერთოდ კარგ სცენურ ქმნილებას.

ზევით ჩვენ პიესის ნათლად გამოსატლ ტენდენციურობაზე გვეჩინდა ლაბარაკი. აქ უნდა დავიხსოვო, რომ რეჟისორი (მსგავსად პიესის ავტორისა) ამ ტენდენციურობას ავლენს არა უარყოფითად და დადებითად გმირების შიშველი დაპირისპირებით, არამედ პიესის პერსონაჟთა რთული სულიერი განცდების ჩვენების გზით, ამ ადამიანთა მოქმედების ლოგიკის ამომწურავი ამოსხმის გზით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა გვეა უთურგაულის იერსახის სცენური განვითარება. ყველა თავისი შეცდომის, დაწვეულობისა და ხელის მოცარვის მიუხედავად გვეჩინა მანც არ არის უარყოფითი პერსონაჟი, რომელსაც სამეცნიერო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოეყვას. მის ბუნებაში ისეთი თვისებებიც არის, რომელთა წყალობით გვეას შეუძლია კარგ ადამიანად იქცეს. მაგრამ ეს შესაძლებლობა, სამწუხაროდ, რეალობად არ იქცა, — თუმცე ამაზე ქვევით...

გვეას როლის მსახიობი თ. ქუთათელაძე ასრულებს. ლილი იოსელიანი დღ და მასხურებად უნდა ჩაეთვალოს, რომ მან სრულიად ახალგაზრდა, სცენის გამოუცდელი თანამშრომელთან მუშაობით ასეთი ჩინებული შედეგი მიიღო.

სპექტაკლში გვეას თვალსაზრის ადგილი უკავია არა მარტო იმ აზრით, რომ ეს სახე ორგანულად ერწყმის პიესის სიუჟეტს, არამედ წინააღ აქტიურული, სამშობლებლო თვალსაზრისითაც. თ. ქუთათელაძე ნამდვილად ცხოვრობს გვეას სახეში, მსახიობს გვეას სურვილები ამოძრავებს, მისი ინტერესები ამოქმედებს, იგი სასუკა თავისი გმირის ურთიერთ საპირისპირო განცდებითა და მისწრაფებებით. გვეა — ქუთათელაძე სულ მუდამ დღვას, ბოთქობს, არ შეუძლია დაშვებობა, მაგრამ მისი ენერჯია იქით არ არის მიმართული, საითაც პარტია მოუწოდებს. გვეა შეედა, საბოლოოდ დაკარგა ორიენტაციის უნარი, გაება და გაეხლართა საკუთარ შეცდომებში, ყველამდე ჩაეფლდა და გამოსავალს ვეღარ პოულობს მდგომარეობიდან. მაგრამ სპექტაკლისა და პიესის დრამატიზმი მარტო იმაში კი არ არის, რომ გვეა ზევაში იღუპება თავისივე სისულების წყალობით (ამ მომენტზე ჩვენ ქვევით გავამახვილებთ ყურადღებას). არამედ იმაშიც, რომ „მამულია ძალამ“ დაიგინა. მეტისმეტად გვიან მოვიდა ეს დანაშაუბა ლელას სახით. გარშემო მყოფმა ადამიანებმა ვერ შესძლეს მოახლოებული კატასტროფის თავიდან აცილება. დროულად ვერ ალაგმეს გვეას გონებაში ჩასახული გაუმართლებელი ეგებები, ვერ აიძულეს ეს ზედმეტად თავმოყვარე ჭაბუკი, ქემშარტების ნათელ გზას დასდგომოდ.

პიესის სტრუქტურის შორის ჩვენ გარკვეული ვგრძნობთ ყოველივე ამას, თუმცე დრამატურგი არ ცდილობს პირველ პლანზე წამოსწიოს ეს პრობლემა. და თუმცე არც სპექტაკლშია განსაკუთრებით საზუსტული ეს მომენტი, რეჟისორი არ აკეთებს აქცენტს ამა საკითხზე, მაინც, მიუხედავად ამისა, მყუერბლის თავში ძალაუნებურად იხადება ეს აზრი. სწორედ ამასივეა ჩამარხული პიესის ერთ-ერთი მამორავებელი კონ-

ფლიქტი, რომელსაც არ შეუძლია არ ააფორიანოს მყუერმულის გინება. ამ თვალსაზრისით, პიესის კულმინაციურ ეპიზოდში — ზევაში გვეას დაღუპვა როგორღაც მიკერებულ მომენტად, პრეტენციუზად გვეჩვენება. ეს სიმბოლიკა, რომელიც თვით ავტორის ჩანაფიქრიდან მომდინარეობს, ორმაგ სასიასოა ტანერის, — თავისი არსით იგი ერთსა და იმავე დროს დრამატულიცა და გონებაჭერეთაც. ხანდახან ისიც კი გვეჩინა, რომ დრამატურგმა თავის ადრევე შექმნილ რამაჟურის ანაკვალა გვეას გამოსწორების შესაძლებლობა.

მაგრამ მხატვრის მი მიერვე შექმნილი განიხილეთ სდებენ მსჯავრს. და ზევაის ჩამოწოლის ეპიზოდშიც, როგორც პიესისა და სპექტაკლის კულმინაციური მომენტი, როგორც გარკვეული გამოსატლება პიესისა მიმდინარე ამის დრამატულობისა, ამავე დროს საზს უსვამს კარიერისტებისა და ბიზნესის სინდიის მქონე ადამიანთა დაღუპვის გადღუვალობას.

მაგრამ მეტისმეტად უთანაბრო ხომ არ არის საშუალება და რეჟულტატი? ამ თვალსაზრისით, იქნებ, მართალიც იყო სერჯო ზუკარიაძე, როდესაც თინიბეგის როლიში თამაშისას თავისი გმირი მაღალი სოციალური უღრარდობის დონემდე აკყავდა. მსახიობი თითქოს ეძებდა ზევაის ჩამოწოლის უზარმაზარი თემის გამართლებას. იგი ეძებდა დრამატურგის ჩანაფიქრის რაღაც აღდეკატურს. და თუმცე როლის ამგვარი გააზრება თითქმის მთლიანად ჩრდილავდა დადებით პერსონაჟებს და ამით აკენებდა პიესის პოზიტიურ იდეას, მანც, მთლიანობაში, მსახიობი ახლოს იდგა იმ პრობლემათან, რომელიც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, შეგვებულად აქვია დრამატურგმა საკუთარი ნაწარმოების ქვაკუთხედად.

გორის თეატრის სპექტაკლში თინიბეგის როლს მსახიობი ე. არაქელავი ასრულებს. მისი თინიბეგი, როგორც ვთქვით, არც გამოდის ჩვეულებრივის დინამიკიდან. მაგრამ არაფერ არ არის უჩვეულო და მოულოდნელი. არაქლოგი-თინიბეგი ისეთივე ადამიანია, როგორსაც ჯერ კიდევ ხვდებით ჩვენს საზოგადოებაში — კარიერისტი, ინტრიგანი, პატეოთყვარე, საკუთარი წარმატებლობის გამო გაავებული, შურინა და ხარბი. მხატვრული იერსახის ასეთი გააზრების გამო სპექტაკლში წინ არის წამოწეული პიესის ის პრობლემატიკა (წინააღმდეგე ზევაის ჩამოწოლის თემისა), რომლისკენაც მისწრაფობდა დრამატურგი. ხსენებული თვისებების გამო თინიბეგი მაყურებლის სიძულელის იმსახურებს, მაგრამ იგი მანც არ არის საბოლოო ხელისუფლების მოსიხლე მეტრი. მის წინააღმდეგ შეიძლება ბრძოლა და ეს ბრძოლა უკავლობს არ ჩაივლის.

რეჟისორი ლილი იოსელიანს ოსტატურად გადაუწყვეტია მასობრივი სცენები. არც ისე ბევრია სპექტაკლში ასეთი სცენა, მაგრამ რაც არის, ყველა გამოირჩევა გამომსახველობით, ცხოვრებისეული დამახასიათებელი დეტალებით, რეჟისორული აზრის მკაცრობით. მასობრივი სცენების ყოველი წარღმინი მომენტები კი გაუთვალისწინებია და ისე დაუღვამს რეჟისორს. ამიტომ არის, რომ სრულებითაც არ ტოვებს „ჩადგმული დიფერენციალური ნომრის“ შთაბეჭდილებას ახალწოლის წინა დამის სცენებში. რეჟისორის მიერ ამ ეპიზოდში შეტანილი სიმღერებიცა და ცკვეპიც ორგანულად ერწყმის მოქმედების საერთო ატმოსფეროს და გამომდინარეობს თვით ეპიზოდის ბუნებადან, მოქმედ პირთა განწყობილებიდან.

არანაკლებ შთამბეჭდავია სცენა სახალდილოში. რეჟისორის საოცარი ადლო გამოუჩენია გმირთა ურთიერთობის გახსნის



დროს. მართალია, ამ სცენაში არც ისე ბევრი მოქმედი პირია და ამიტომ მას მხოლოდ პირობითად შეიძლება ვწოდებოთ მასობრივი, მაგრამ იმდენი ჯვარედინი დაილოცა ამ ეპიზოდის მონაწილეთა შორის, აქტიური პატივობის ისეთი ცეცხლია მაიში, რომ უთუოდ სტოვებს მასობრივი სცენის შთაბეჭდილებას. ეპიზოდის ამ მაღალ დაძაბულობის შესაბამისურებლად რეჟისორმა ერთდროულად ყოველ პერსონაჟს საერთო მოქმედების გეგმაც დაუსახა და გარკვეული საზოგადოებრივი ინდივიდუალური საქციელისა. ამიტომ არის, რომ მაყურებელს გულში ახლოს მიიჭებს დავა იმ ადამიანებისა, რომლებიც ასეთის გზებით იცავენ საკუთარ შეხედულებებს, ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრებამ ერთმანეთს შეახვედრა თავიანთი საქმიანობის მიმე უზანავე. აქ, ამ სცენაში, ჩვენთვის ნათელია სიტყვა თინიზებისა და მისი „მარჯვენა ხელის“ გოგონას (ამ როლს ჩინებულად ასრულებს გ. დენისაშვილი) ბნელი ზრახვები. აქვე ვცნობთ იმ ჭაბუკ მწყემსებს, რომლებზედაც უფრო გვეყრება ლაპარაკი. ამ ეპიზოდშივე ჩვენ საბოლოოდ გამოვჩაქვს არი გეგას ბუნებაზე; ამავე სცენაში ვცნობთ იანჭის როლის მშვენიერ შემსრულებელს ლ. მცხეთელს, რომელსაც ცოტა ხნის წინ დამამთავრა თეატრალური ინსტიტუტი.

ორთედ სიტყვა გვიჩადა ვთქვათ ფინალსადაც, რომელიც მასობრივი სცენის სახით გადასწავსტავა რეჟისორის და რომელიც დამდგმლის მხრივ დიდ ტაქტსა და სცენური ზომიერების გრძნობას მოითხოვდა.

უნდა თქვას, რომ თავისი უკიდურესი ტრაგიკული დაძაბულობის მიუხედავად (შესაძლოა, სწორედ ამ დაძაბულობის წყალობითაც), პიესის ფინალი ერთგვარად სცემს საერთო ტონუსს, — როგორც დამბლა ემთხვევა ყველაფერს. გეგა ზვავში დაიღუპა, დარდით დასტყვილი ლელა ქეთიანს ვეღარ იკავებს, შვილის დარღს საბედოც დაუკვირა, დაბნეულები და შეძრწოლი არიან გარშემო მყოფნი, მწაფედ იტანებტა თანიბიცი, რომელიც თავისებურად გლოვობს ერთადერთი ვაჟის დაღუპვას.

რეჟისორს არსებითად არაფერი შეუცვალა პიესაში. მას მხოლოდ ზოგიერთი წმინდა სცენური ხასიათის დეტალი მიუმატებდა ნაწარმოებისათვის, — ეს არის და ეს.

...ცხარე ცრემლით ტირის ლელა. გულში ჩაურკავს მიჯნურის ქურტი და ბულამოძადარი ქეთიანებს. შემოდის საბედლი. მიმე ნაბიჯით მოემართება სცენაზე, თითქოს ეშინია მიწა არ ჩაუნერგოს ფეხქვეშ. მოდის მძიმე დარღისაგან გულდასტყვილი და გამოფიტვარი, მაგრამ მის თვალგანეშა მკაფიოდ გამოკრთის მრისხანების ცეცხლები. მას გულის სიღრმეზე სძულს თავისი ქმარი თინიზები, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა ჯერ ერთი ვაგი და ახლა დედისერთა გეგაც. საბედლის შემსრულებელმა რ. ლორთქიფანიძემ ჯერ კიდევ ფინალურ სცენამდე მოიპოვა მაყურებელთა სიმპათია როლის ოსტატური განსახიერებით. იგი თავისებური რბილი მანერით თამაშობს, ქმნის სახეს დედისას, რომელსაც გატაცებით უყვარს შვილი და მწყავიდ განიცდის ცხოვრებაში მის გზაბნეულობას. მასხიბით ნელ-ნელა, სცენიდან სცენაში ხსნის თავისი გმირის ბუნებას. ჩვენ მიუღო სპექტაკლის მანძილზე ვხვდებით მის ცხოვრებისეულ სიბრძნესაც და მომხიბვლელ დედურ გრძნობასაც. როგორი სიყვარულით, რა ფაქიზად ეყვრება იგი შვილის სატრფოს და რა შეუღრცხველია მოწინააღმდეგეების მიმართ, როდესაც საქმე მის ვაჟს ეხება.

და აი, ფინალური სცენა. საბედლის დაილოცა თინიზგთან. საბედო-ლორთქიფანიძე ლაპარაკობს დინჯად, ცდილობს ყო-

ველ სიტყვა მკაფიოდ გამოთქვას, თითქოს უტყროს ლაპარაკი. ძალზე ჩიმე, ძნელად გამოსატყმელი საბედის სიტყვები: „ორივ გავეკოლუთ თვენივ ხელით: მე სუსტი დადგე გეგ — მოციქული შავეთისა ამ მზინაენოში“. თინიზები გულში ჩაკლული სევდით უპასუხებს: „გაწყდა ბილიკი, დედაკარე, ახლა სიტყვას რაღა ფასი აქვს“.

ეს არის და ეს. პიესის ტექსტი აქ მოთავსდება. ამის შემდეგ რეჟისორის ფანტაზიას ეძლევა სარბიელი. და თუცა გრძნობაში მითითებულია, რომ მზე უხვად აფრქვევს სიხვების, რომ მისი მისი მცხვარეების სიმღერა და სხვადასხვა, ეს მაინც არ არის სპექტაკლის წერტილი.

ათასგვარად შეიძლება ფინალური სცენის გადაწყვეტა, და ლილი იოსელიანიც პულობს საკუთარ გადაწყვეტას.

...სცენა ნელ-ნელა ცარიელდება. გადიან მცხვარეები, გაქაყათ აქეთიანებული ლელა და გულმოკვდილი საბედო. აპატიმრებენ თინიზები. მთის ფერდობზე დღას ამირანი. ღრმად ჩაფიქრებულია. ბევრი რამ უნდა გააკეთოს ამირანმა, რათა უწმინდურობისაგან გასწმინდოს ისი სავალი გზა. ნელა ჩამოდის ფერდობიდან ამირანი და წინ უკან გააკვება სხელებს. სცენა სასებით დაგარიელდა, თითქოს უკვე დასრულდა წარმოდგენა, მაგრამ არა. რეჟისორი გრძნობს, რომ უკანასკნელი წერტილი ჯერ არ არის დახმული და ერთა დასკვნითი აკორდი კიდევ არის საჭირო. და აი, მთის ფერდობზე ჭაბუკი მცხვარე გამოჩნდება. თავზე მწყემსური ფეხსახვი ახურავს და ტანთ ქურქი აცვია. ხელში სალამური უტყრავს და ტბობლად აცვსებს. უტყრავს და თან აქეთ-იქით იყურება. გგობიათ, მის ფეხით ცხვრები სძოვენ ცხვრები ბალახს. ნელი-ნელ ნათდება უკან ფარდა, — რიყრაყი იჭრება მთაში და სალამურის ტბილი ჰანეი ახალი ნათელი დღის შემობრძანების ეგებება.

უმაბაროდ დამევა ფარდა. დასრულდა წარმოდგენა და მაყურებელმა თეატრიდან წაიღო სიხარულის გრძნობა სცენაზე ნახანის გამო. იგი მალდიერებს გრძნობით იმსტყვობს აჩუროს მიმართ, რომელმაც მელეფარე მკნედით მოუხიბრო რეჟისორ თანამედროვეების მართალი ამზავი. მაყურებელი ფიქრობს რეჟისორ ლილი იოსელიანსადაც, რომელმაც მტიციცდ დარაზმა გორის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი და შექმნა მართალი, გულწრფელი, ამაღლვებელი და ადამიანური სიბთობი გამსტყვალული სპექტაკლი. მაყურებლისა, სიამოვნებით იფიქრებს ნამუშევრის მხატვარ ს. სუციშვილისა, რომელსაც ცოტა რდი უფრომია მოქმედებისათვის შესაფერისი ატმოსფეროს შესაქმნელად და რომელსაც გამომგონებლობის სანაქებთ უნარი აღმოჩნდა ზვავის ჩამოწოვის კულმინაციური სცენის დამუშავების დროს. ასევე მკაყოფილია მაყურებელი კომპოზიტორ გ. ციციშვილისა და ქორეოგრაფ ა. კუპრადის ნამუშევრით, რეჟისორის თანამეშვეის გ. გაბისიანის შრომისმომყვანობით, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი სპექტაკლის ნორმალურ, სათანადო ტემპით მსვლელობას. თეატრიდან დაბრუნებულ მაყურებელს ღრმად რჩება მესხიერებაში შესახებოდა სცენური იერსახეები, რომელთა შორის განსაკუთრებით შთაბეჭდავი აღმოჩნდნენ რ. ცაბაძის ლელა და რ. ლორთქიფანიძის საბედო.

და კიდევ ერთ რამეზე ფიქრობს მაყურებელი: იგი ფიქრობს გორის თეატრის პერსპექტივაზე, იმაზე, რომ ნათელი რამ ჯერ კიდევ წინა აქვს ამ თეატრს, — დიდ და ნათელი გზა, ახალი შემოქმედებითი ძიებანი, ახალი, უფრო მნიშვნელოვანი სცენური გამარჯვებანი.

ნატალია ნარსკაია—შალიკაშვილი

რევაზ ჭიჭინაძე

ნატალია ნარსკაია-შალიკაშვილზე ქართულად არაფერია დწერილი, იგი ნახსენებია კი არაა არც ერთ ქართულ გამოცემაში.

„როცა მე დავაპირე ჟურნალის გამოცემა, დიდი მოკვამლებით ვთხოვე თავადის ასულს, ქალებიდან ნატალია შალიკოვას, ჩვენს შესანიშნავ პოეტსა და მწერალს, ყოფილიყო ჟურნალის საპატიო თანამშრომელი“

ტ. პ. ასევი

რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრი გამოჩენილი მწერლისა და ხელოვანის სახელის გახსენება შეიძლება, მაგრამ ამგვარად იმათი მოღვაწეობით დავამყარებდეთ, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მხოლოდ ისტორიის ძველმა ფოლიანტებმა შემოინახეს. მე შეხვედლობი მაქვს საქართველოდან რუსეთში საცხოვრებლად გადასული შალიკაშვილების, შალიკოვების დიდად განსწავლული ოჯახი, რომელთა შესახებ ცნობების შეგროვებაზე მე სიყვარულითა და ხალისით ვმუშაობდი.

ჩემი კვლევის საგანს შეადგენს XIX საუკუნის რუსეთში მომუშავე, წარმოშობით ქართველი მწერალი ქალის ნატო (ნატალია) პეტრეს ასული შალიკაშვილის (შალიკოვა) შემოქმედების შესწავლა. რუსულ ლიტერატურაში ნატო შალიკაშვილი ელენე ნარსკაიას ფსევდონიმითაა ცნობილი.

რუსეთის პრესაში ქართველების მოღვაწეობა სპეციალური მენიჯერული კვლევის დროსა. ჯერ კიდევ 1786 და 1791 წლებში რუსულ პერიოდულ ორგანოებში დაიბეჭდა ქართველ ქალთა წერილები. აქ გამოქვეყნდა კატერინე და თამარ ბაგრატიონების მასალები საქართველოს შესახებ. შემდგომი პერიოდის რუსულ ორგანოებში იბეჭდებოდა სოლომონ დიდაშვილის, პლატონ იოსელიანის და სხვათა წერილები.

1797 წელს რუსულ ლიტერატურაში გამოჩნდა ასალი მწერლის გვარი — ალექსანდრა ივანეს-ასული შალიკაშვილი (შალიკოვა), რომელიც 1865 წლამდე სისტემატურად ბეჭდავდა სხვადასხვა მიმართულების პერიოდულ გამოცემებში საკუთარ ლექსებს, თარგმანებსა და სტატიებს.

ალექსანდრა შალიკოვას პაპა, ქართველი თავად დემეტრე შალიკაშვილი, 1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვან ამაღლს გაჰყვა რუსეთში. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, 1783 წელს 87-მა ქართველმა ხიზანმა თხოვეს მიმართა დედოფალ ანას, რათა ისინი სამხედრო სამსახურში მიეღო და მათგან ქართველ ჰუსართა ასული ჩამოყალიბებინა. დედოფალმა შეიწყნარა ქართველთა თხოვნა და იმავე წელს შეიქმნა ქართველ ჰუსართა ასული. ქართველ ჰუსართებს საცხოვრებლად ადგილად უკრაინა მიუჩინეს. ისინი დასახლდნენ ერთად, სასლვარს ახლოს.

დემეტრე ელიშვიტის-შე შალიკაშვილი (რუსულ საბუთებში (Димитрий Елишевич) ვახტანგ VI-ის მეკრინიბუხუციეში ყოფილა. ქართულ ჰუსართა ასულში იგი ჩარიცხეს რიგით ჰუსარად და, როგორც თავადს, მისცეს მამული (30 კომლი)

პოლტავის გუბერნიის დაბა სანდონარში. მალე დემეტრემ მიიღო კაპიტნობა, ხოლო 1762 წლის თებერვალში ითხოვა ჯარიდან გათავისუფლება. იმავე წლის მარტში იმპერატორ პეტრე III-ის ბრძანებით, დემეტრე შალიკაშვილი პოლტავინიკის წოდებით გათავისუფლდა ქართველ ჰუსართა ასულიდან, როგორც მოხუცი და სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი.

ალექსანდრა შალიკაშვილის მამა — ივანე დემეტრეს-ძე შალიკაშვილი კი, 1757 წელს ჩაირიცხა ქართველ ჰუსართა პოლკში, მან მაიორობა მიიღო. 1788 წელს გადაიყვანეს სუმიის ჰუსართა პოლკში. 1797 წელს ივანემ სამუდამოდ დაანება თავი სამხედრო სამსახურს და დაეპატრონა მამისეულ 30 კომლს. მალე მისი მამული გაფართოვდა: უმეკვიდროდ გადაეცო ივანეს შიძა, დაით შალიკაშვილი. 30 კომლი სოფელ ლოხოვოში მას დარჩა. ივანე შალიკაშვილი ჰქონდა წმინდა გიორგის ჯვრის 4 ორდენი და იყო ვლადიმირის ორდენის ოთხეხუთი კავალერი. მისი მუელე, ალექსანდრას დედა კატერინა სტეპანოვნა, თავის დროზე სახელგანთქმული მეომრის, პოლკოვნიკ სტეფანე კულიაპკას უმცროსი ქალიშვილი იყო.

ალექსანდრა შალიკაშვილმა ბავშვობა თავის უმცროს ძმასთან პეტრესთან ერთად სოფელ ლოხოვოში გაატარა. მამას უნდოდა შვილები ქართველებად გაეზარდა და მათ ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. ივანეს ოცნებად ჰქონდა როგორმე შვილები საქართველოში გამოეზავნა. მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. მალე იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

მამის სიკვდილის შემდეგ და-ძმანი საცხოვრებლად გადავიდნენ მისოვს, პირველ სახეობაში, ცხოვრობდნენ პრესნაზე, დღევანდელ „გრუზინსკაიას“ მოედანთან². აქ მათ ჰქონდათ პატარა სახლი.

გაჭირვებითა და ინტერესით სასვე იყო და-ძმის ცხოვრება. თავიანთი ნიჭიერებით მათ მაშინვე მიიქციეს მოსკოვში ნიჭიერი ახალგაზრდების ყურადღება. მათთან სიასლოვს ელტვოდა ყველა და მათი პატარა, დარბილ სახლი იქცა ერთგვარ თავშესაზრებლად, სადაც იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე.

აი, რას წერს ე. სტოგოვი თავის მოგონებებში — „რვა

¹ პეტრე ივანეს-ძე შალიკაშვილი (1767 — 1852 წ. წ.) XIX საუკუნის მწერალი, მოაზრწენელი და ჟურნალისტი. რუსული სენტიმენტალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი 25 წლის მანძილზე შეუცვლელად რედაქტირობდა გაზეთ „მოსკოვსკი ველომისტის“, სცემდა ჟურნალებს — „მოსკოვსკი ზრიტელს“, „დასკი ჟურნალს“ და „გოლიას“. (იხ. ჩვენი ნაშრომი — „პეტრე შალიკაშვილი, ცხოვრება და შემოქმედება“, საქ. კვ. ც-ის გამოცემილია 1959 წ.

² 1729 წელს იმპერატორმა პეტრე II ექვსი ათასიანი ამალით რუსეთს შეიზღუდა ვახტანგ VI-ს უწყალობა ცხოვრებისადიგელი მოსკოვში, სადაც დღეს ვაისი „პოლშოია გეტრონიკაიას“ სახელწოდების ქუჩა.



წლის ვიყავი, როდესაც უშვილო ბლანკმა ამიყვანა შვილად. ჩვენი სახლის გვერდით, პატარა, ვიწრო, სარდაფში ცხოვრობდა თავად შალიკოვი. მას უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა და შიმშილით, რომ არ მომკვდარიყო, შეგვე-
თებით წერდა სარეკლამო ლექსებს...³ მაგრამ ეს გატირებდა დიდხანს არ გაგრძელებულა. პ. შალიკოვმა სულ მალე მიი-
პოვა კარგი მწერლის სახელი, რამაც შეცვალა მისი ცხოვ-
რების პირობები. იგი ერთხანად გამიდრდა. დაუახლოვდა მოსკოვის ბრწყინვალე არისტოკრატის და ყველა იმ პირს, ვისაც კი ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან ჰქონდა კავ-
შირი.

პეტრე შალიკაშვილის ცოლად ჰყავდა გარუსებული გერმა-
ნელი, მაღალი არისტოკრატის წარმომადგენელი, ალექსანდ-
რა თედორეს-ასული ლეისნაუ. მან: შეძინათ ოთხი შვილი: ვიგორი, ანდრეა, სოფი და ნატალია.

პეტრეს უმცროსი ქალიშვილი, შემდეგში ცნობილი მწე-
რალი და ჟურნალისტი ნატალია შალიკაშვილი, დაიბადა 1815 წელს მოსკოვში. პატარა ნატალია იზრდებოდა მშობ-
ლების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. ბავშვს თავიდანვე გამოუჩენია პოეტური ნიჭი, რითაც იგი აცემდა ყვე-
ლს.

პეტრე შალიკაშვილის ოჯახში იკრებოდნენ იმდროინ-
დელი მოსკოვის ცნობილი მწერლები და პოეტები. პატარა ნატალია სტუმრებზე ექსპრომტად თხზავდა ლექსებს, ერთი მოსმენით იხუბრებოდა მოსმენი პოეტურ ნაწარმოებებს და სტუმრების ქებას იმსახურებდა.

იმდროისთვის საკმაოდ ცნობილი მწერალი ტ. პასკეი თავის მოგონებებში („შორეული წლებიდან“) ნატალია შალიკოვის შესახებ წერს: „როცა მე დავაპირე ჟურნალის გამოცემა, დიდი მოკრძალებით ვთხოვე თავადის ასულს, ქალბატონ ნატალია შალიკოვას, ჩვენს შესანიშნავ პოეტსა და და მწერალს, ყოფილიყო ჟურნალის საპატიო თანამშრომელი. ნატალია შალიკოვა გახლდათ ყველაზე კეთილშობილი პატიოსანი, სულიერი და ზნემაღალი ადამიანის საუკეთესო ლიტერატორისა და თავდადებული ჟურნალისტი, დიას, თავდადებული და ჩვენთვის მისაბძი ჟურნალისტი, სამაგალითო რედაქტორისა და ბოლოს ისევ დიდებული ადამიანის — პეტრე შალიკოვის უმცროსი ქალიშვილი. ნატალიას არისტოკრატული სილამაზე მოსკოვის უმაღლესი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა“⁴.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა ცდამ მოსკოვში, აღმოვაჩინა მწერალი ქალის ფოტოსურათი, ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო.

საზოგადოების ყურადღება ნატალია შალიკაშვილმა მიიპყრო თავისი მოთხრობებითა და რომანებით, რომელთაც როგორც ზოით აღვნიშნე, ელენე ნარსკაიას ფსევდონიმით აქვეყნებდა⁵. დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მისი მხატვრული ნარკვევები: „პირველი გაგნება სამკაროსთან“ („სოფრემენიკი“, 1855 წ. № 6), „კორესპონდენცია პრაილიდან“ („რუსკი ვესტნიკი“, 1870 წ. № 28), მოთხრობები და

რომანები „ელენე“, „ოჯახური ცენენები“, „ყველაფერი სიკარგისათვის“ (საბჭო დამბეჭდილია „რუსკი ვესტნიკი“, 1855 წლის 2, 10, 12 ნომერებში).

1858 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი რომანი — „ორი და“, რომლის პირველ ნაწილს წარმოადგენდა 1855 წელს დაბეჭდილი მითხრობა — „ელენე“; რომანში აღწერილია სხვადასხვა მასილისა და მსოფლმხედველობის მქონე ორი დის ცხოვრება. უფროსი და კარია, ეთაყვანება ფუფუნე-
ბით, უყვარს უდარდელი ცხოვრება და თავის თავზე შეყვა-
რებულს ეგოსტისა. იგი გარშემო ვერავის ამჩნევს და თავის ახირებულ სურვილის მიზნს მისაღწევად არავის ინდობს. უმცროსი ოლდა კი ამაღლებული სულის იდეალური ადამიანი, უყვარს პოუზია და მუსიკა, ვერ იტანს უქნარა, უდარდელ ცხოვრებას, თავის მიყვას გულს ასაზრდოებს ყველაფრით, რაც კი მწვენიერი და კარია, ეთაყვანება მშრომელ, პატიოსან ადამიანებს, მზადაა გაიზიაროს მათი ავი და კარგი, ჭირი და ლხინი. ორივე და შეყვარებულია, მაგრამ ელენემ გაიგო თუ არა, რომ მისი შეყვარებული დარბიაა, მაშინვე უყო-
მანოდ ხელი ჰკრა და ზურგი შეაკცია მას. ოლდამ პირიქით, მთელს გრძობებით შეიყვარა მამაკაცი, რომელიც შემდეგში თავისი მეგობარი ქალის შეყვარებული ჰქონია და ჩუმად იტანჯებდა უიმედო სიყვარულით. სანამ მეგობარი ქალი აუხს-
ნის ოლდას, რომ დოლიცის მარტო ოლდა უყვარს და სხვა არავინ, ქალიშვილის სისარული უსაზღვროდ, მაგრამ ეს სისა-
რული სანმთვე აღმოჩნდება. უხერხულ დოლიცი ისევ გაიტაც-
და ვიღაც სხვა ქალის სიყვარულს და იმ დროს, როცა იგი უკვე გამიძვანდებელი იყო ოლდას თოფიკალურ საქმროდ, მი-
ატევა პატიოსანი ოლდა. ოლდას მთელი ცხოვრება ტანჯავს, იგი შევბას უპირველეს ყოვლისა შრომამი ხედვას. ამ დროს მწერს და — ელენე მდიდარი და კმაყოფილია. იგი მითხოვ-
და ულამაზო, გაუნათლებელ, უხეშ, მაგრამ ზილონერ სავა ფილიპისა. მაღალ გრძნობით, სიყვარული წარმატებით სარგებლობს. გაუთავებელი, სატრაფილო რომანჯის აბლაბუდამა გახვე-
ული. კაცი, რომელსაც სიღრმის გამო წინათ უარი უთხრა, ახლა მისი საყვარელი ხდება. ელენეს ცხოვრების შინაარსი ასეთია: იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, არ უნდა გჭონ-
დეს გული, არ უნდა იყო მისიყვარულე და ერთგული მეუღლე.

რამდენიმე წლის შემდეგ, ოლდასთან ბრუნდება გომსმო-
სული დოლიცი და პატიებასთან ერთად თხოვს ცოლად გა-
ყოლას. ოლდა ყოფიანობს, წუთით თანხმდება თითქმის, მაგ-
რამ ეს მხოლოდ წუთით. დარდში, მარტოობაში და მკაცრი შრომის პირობებში გამომჩნდილი ოლდა ხედავს, რომ დოლიცი მისთვის უცხოა, უარს ეუბნება და თავის ბედს სამუდამოდ უკავშირებს ღირსეულ, პატიოსან და შრო-
მელ ადამიანს, რითაც ოლდა საბოლოოდ ბედნიერი ხდე-
ბა.

ასე იმარჯვებს პატიოსნება და სისპეტაკე ქალისა, ორგუ-
ლობას და გარყვნილებას.

ელენე ხედავს რა, რომ მისი თავყანისმცემლების რიცხვი კლებულობს, ერთფეროვანი, ქარაფუშტული ცხოვრება ბუზრ-
დება, მოიწყობს, გულში სიცივე და სიკარგიულ უსადგურება გრძნობს, რომ აწ ყველასად ვერ იპოვნის სასიხარულოს, რად-
გან ამის სულში ყველა ცოცხალი, თბილი სიხარულია ჩაკედა. ასეთია რომანის დედაპირი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანის ზოგიერთი ადგილი ზედმეტად დიდპეტეკურია. ზოგიერთზე იმეტომ ვლამპარაკობს, რომ მილიანად რომანს

³ ი. ს. სტოგოვის ცხოვრება ბლანკების ოჯახში, „რუსკიაო სტარინა“ 1903 წ. ტ. III, გვ. 142-143.

⁴ ტ. პ. პასკეი, „შორეული წლებიდან“, ტ. III, გვ. 319 პეტერ-
ბურგი.

⁵ ვ. ს. კარკოვი, გ. ნ. ბაზაივი, „რუსი მწერლების ფსევდონიმთა ლექსიკონის შედგენის ცდა“, გვ. 73, პეტერბურგი.

დიდაქტიკურს ვერ ვუწოდებთ. მასში არის ძალიან ბევრი ცოცხალი სცენა, დრამატუზით სავსე ადგილები. მაგალითად ოლღას მეგობრის — ლუიზა ლორენგეის აღსარება, მასვას წერილი, რომელშიაც იგი ელენეს აღწერს, ოლღას დოლიცკისთან შეხვედრის სცენა და განსაკუთრებით ის ადგილი, როცა ოლღა წვავს დოლიცკის წერილებს და ეშვიდობება თავის პირველ სიყვარულს. კარგადაა აღწერილი მოსკოვის არისტოკრატიის წრეგადასული ცხოვრება. მართალია, დაკვირვებულ თვალს არ შეიძლება გამოიჩინოს ის გარემოება, რომ იგი — კეთილსა და პირფრის ურთიერთდაპირისპირება რომანში ოდნავ ხელოვნურია, მაგრამ ნაკლი მივთვალს ავიწყდება, როცა იგი წაიკითხავს ცხოვრების მართლად ამსახველ სურათებს, ოლღას ლუიერ ტანჯვასა და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რაც ავტორმა მაღალმახატვრულად და დიდი განცდით აგვიხასა.

1855 წელსვე გამოქვეყნებული ნ. შალიკაშვილის ნაწარმოებში — „პირველი გაცნობა სამყაროსთან“ („სოფრემენიკი“ 1855 წ. № 6); „ყველაფერი უკეთესობისაკენ“ („სოფრემენიკი“, 1855 წ. № 12); „ოჯახური სცენები“ („რუსკი ვესნიკი“, 1856 წ. III-IV); და გაცილებით უფრო გვიან, 1873 წლის „რუსკი ვესნიკის“ № 4-5-ში დაბეჭდილი რომანი — „ბულატოვების ოჯახი“, იმ დროისათვის საპირობოტო და მტკივნეულ საკითხს — ადამიანების ძველ, ჩამორჩენილ აზროვნებას, არისტოკრატიის უაზრო, ქანაფ-შუტულ და გარყვნილ ცხოვრებასა და მის უღელქურობას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ვერ ხელდას მდგომარეობიდან გამომდინარე გზას, ფაქტი მანინ ფაქტად რჩება — ნატალია შალიკაშვილი გაბედულად ებრძვის იმ ატმოსფეროს, რომელშიაც ცხოვრობდნენ იმდროინდელი რუსეთის მაღალი არისტოკრატიული ფენები.

ყურადღებამისაქცევია ერთი გარემოება: ნატალია შალიკაშვილი ეკუთვნოდა სწორედ იმ ბრწყინვალე არისტოკრატის, რომელიც ისეთსავე უშიშრო და გაიყვნილ ცხოვრებას მისდევდა, როგორცაა მისი ნაწარმოებების უარყოფითი გმირები. — ელენე (რომანი „ორი დღე“), ავტორის მისიალოვნა („ბულატოვების ოჯახი“), ვასილი („თავისუფალი არჩევანი“) და სხვ.

შალიკაშვილის მამიდა ალექსანდრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროისათვის პოპულარული ჟურნალისტი და პოეტო იყო, მაგრამ მთელი მისი პოეზია იწყებოდა და მთავრდებოდა მაღალი წოდებისა და თანადემობის პირებისადმი მიძღვნილი ლექსებითა და ანბანითებებით. ხოლო მამა პეტრე ივანეს ძე შალიკაშვილი, XIX საუკუნის ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი, რუსული სენტიმენტალისტური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დიდი პუშკინის მეგობარი და თავყანისმცემელი იყო და პირველი იმეხალმა პუშკინის გენიის გამოჩენას. თავისი ჟურნალის — „მოსკოვის ზრიტელის“ ფურცლებზე მან პირველმა დაბეჭდა საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი დიდი რუსი მეიგავის — კრილოვის სამი იგავი — „მუხა და ლერწმია“, „წუნი პატარადა“ და „მოხუცი და სამი ახალგაზრდა“, რომლებიც კრილოვს გადმოეკეთებულ ჰქონდა დაფინანსებიდან. უკანასკნელ ორს ბელონსკი კრილოვის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებს. თავისი მეორე ჟურნალის „დასიკა ჟურნალის“ პირველ ნომერში პეტრე შალიკაშვილი უწყობდა რუსული ლიტერატურის მიყვარებულთ დეკაბრისტების ახალი აღმზანის — „პოლიარნია ზევს-

დას“⁶ გამოსვლას. აქ იგი ალტაკცებით ლაპარაკობს რხალ გაზრდა შეუძლებელ, რომელიცაა რუსულ ლიტერატურაში დიდი სიახლე იტიტება და განმანათლებლურ იდეებს აწერს. შალიკაშვილს იმედი აქვს, რომ ახალი აღმზანის „პოლიარნია ზევსდა“ იქცევა ვაისკლავად რუსული ლიტერატურის ცაზე და რუსული ენის საყვანისაოვს. მთიძოლო რეივანოვ. დასასრულს, მისალმუნის ავტორი პეტრე შალიკაშვილი უსურვებს „პოლიარნია ზევსდას“ გამოცემლებს ბევრ ხელისმისწერსა და მკითხველთა საყოველთაო სიყვარულის დასასურვებს. რა თქმა უნდა, შალიკაშვილი არ ყოფილა ისეთივე შეურიგებელი მტერი თვითმპყრობელობისა, როგორც დეკაბრისტები იყვნენ. მისი პოლიტიკური შეხედულებები იყო წმინდა წყლის ლიბერალური, იგი არ მოითხოვდა „მოწყალე და ღვთაებრივი მამის“ — მისი ხელისუფლების უშიშრელო მესულდვასაც კი. პუშკინთან მეგობრობისა და დეკაბრისტების წრესთან მისი კავშირის მიუხედავად, შალიკაშვილი შიშით გაუბრბდა „საიდუმლო საზოგადოებაში“ შესვლას. გარდა ამისა, თავის ნაწარმოებებში — „მოგზაურობა მალთროსიაში“ და „მოგზაურობა გროსნატაში“ არაფერია დანახული, გარდა ბუნების სილამაზისა. მას, როგორც სენტიმენტალისტ მწერალს, ყველაზე მეტად იტაცებს მგრანობელობა. კაცი, რომელიც მგრანობელობას მოკლებულია, შალიკაშვილის აზრით, მოკლებულია ადამიანობასაც. სწორედ ეს შეხედულებები გადმოსცა მან თავის ლექსებში და მოთხრობებში. მის ნაწარმოებებში არ ჩანს ხალხი, მათი ცხოვრება, წინეველები, აღწერილი ადგილების არც ისტორიული და არც ეთნოგრაფიული დახასიათება. ამრიგად, პეტრე შალიკაშვილი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დარჩა სენტიმენტალისტად, რომელიც არ ასახავდა ხალხის ცხოვრებას, მის ტკივილებსა და ტანჯვას, სიხარულსა თუ სევდას.

შალიკაშვილების ოჯახის უახლოესი ადამიანი იყო ნატალიას უფროსი დის სოფიის მეუღლე, — მიხეილ ნიკოფორეს ძე კატკოვი, ერთ დროს ბელონსკისა და ჩერნიშევსკის მეგობარი, ხოლო შემდგომში ყველაზე დიდი რეაქციონერი — ჟურნალისტი.

ასეთ გარემოში იზრდებოდა, როგორც მწერალი და მოქალაქე ნ. შალიკაშვილი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მან გააარღვია მამისა და მამიდის, მოძველებული საზოგადოების საფუძველმორყველი შეხედულებები და არც სიძის რეაქციონული აზრები გაიჩინა. მან, პირველმა დაინახა რუსეთის სოფლებში მცხოვრები გლეხებისა და ეკლესიის დაბალ მსახურთა ღუბჭირი ცხოვრება, უთანასწორობა, უმაღლეს ღვთისმსახურთა მებრძამობა და არისტოკრატთა უღარებლო, გარყვნილი ცხოვრება, დაინახა და მართლად ასახა იგი.

ნ. შალიკაშვილის ნაწარმოებები პორტრესულად მოაზროვ-

⁶ „პოლიარნია ზევსდა“, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღმზანის, გამოსცეს დეკაბრისტებმა — ა. ა. ბესტუჟევმა და კ. ვ. რილეევმა პეტერბურგში, სულ გამოვიდა აღმზანის 3 წიგნი — 1823, 1824 და 1825 წლებში. მეოთხე წიგნი აღმზანისა — „ზევდლოკა“ მზად იყო გამოსაცემად, მაგრამ არ გამოსულა 14 დეკემბრის აჯანყების გამო.

„პოლიარნია ზევსდაში“ დაბეჭდილი მასალები ნათლო გამოცემულ დეკაბრისტთა შეხედულებებს ისტორიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, კრიტიკისა და უფროსისტიკის ცალკეულ პრობლემებზე, დეკაბრისტთა მხატვრული ლიტერატურა მიანდით საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების აგიტაციისა და პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად.

ნე საზოგადოების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და ექმნებოდა.

1859 წელს დობროლუბოვი სტატიაში — „ასული წლის ლიტერატურული წერილობანი“ სწერდა „В конце 1847 года в первый раз заговорили о женских институтах и вообще об образовании девиц среднего сословия; во все течение прошлого года продолжались статьи об этом предмете, преимущественно по поводу вновь открываемых женских училищ. Нельзя не сказать, что и тут литература наша опоздала. Еще в отчете министра просвещения за 1856 год мы читали, что так как «лица среднего состояния, особенно в губернских и уездных городах, лишены возможности дать дочерям своим даже скромное образование», то министерство и составило «предписание об открытии школ для девиц в губернских и уездных городах и больших селениях. Вслед за этим предположением приступлено было тогда же и к «соображениям об устройстве таковых школ на первый раз в губернских городах, по мере способностей, какие могут к тому представиться». В прошлом году предположения перешли уже в действительность: основано было много женских открытых школ не только правительством, но даже и частных лицами. А литература только что начала говорить о их пользе и надобности!»

სწორედ ამ დიდძალწიველოვან საკითხს ეხება ნ. შალიკაშვილის მოთხრობა „თავისუფალი არჩევანი“, რომელიც „რუსი ვესტნიკის“ 1858 წლის 17-18 ნომერში დაბეჭდა. მწერალმა შეგნა ტიპი ქალიშვილისა, რომელიც საუკეთესოდ იყო აღზრდილი. ავტორმა თავისი განათლებული გმირი ქალი მოახვედრა მაღალი საზოგადოების ბნელ, გაუნათლებელ წრეში, დაეცა მისი ზღვრიერი განცდები და ის ზემოქმედდება, რომელიც მოახდინა გარშემო მყოფ ადამიანებზე. ავტორის მიერ არჩეული თემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზედ დიდი და საჭირობოტო იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის.

ნაწარმოების მთავარი გმირი, ახალგაზრდა ქალი კლავდია ფურჩევა, ბავშვობასა და ქალიშვილობის პირველ წლებს სოფელში ატარებს. მას ზრდის მოხუცი მამა, რომელსაც ესმის და პირველ რიგში აყენებს განათლებას, კეთილშობილებას, შვილიშა ადვივებს სწორ შეხედულებას ცხოვრებაზე. ასეთი აღზრდის კეთილისმყოფელი კვალი გასდევს მთელს აწარმოებს, მაგრამ თვით ამ აღზრდის პროცესზე ავტორი ძალიან ცოტას ლაპარაკობს: იგი კლავდიას გვაცნობს იმ ასაკში, როცა მას უკვე დამთავრებული აქვს სასწავლებელი. ცხოვრების ადრეულ პერიოდზე, მის ბავშვობაზე, იმზე, თუ როგორ ზრდადა მოხუცი ფურჩევეი კლავდიას, იმასწავრობა ნათქვამი, გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ადგილი. ასე, მაგალითად ნ. შალიკაშვილი ამბობს: „ყვავილეები და წიგნები შეადგენდნენ მთელ მათ სიბედრეს“. თვითონ კლავდია ერთგან ეუბნება მამას, ბებიას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის — შენ სტუდენტს უფრო გავხარ, ვიდრე კეთილაზრდილ ქალიშვილსო! ამგვარი მინიშნება, თვითონ მოხუცი ფურჩევეის ხასიათი და, ბოლოს, კლავდიას მკვეთრი განსხვავება მის გარშემო მყოფი ზრდილედ განათლებული ქალიშვილებისაგან, — ყველაფერი ეს გვაძლევს იმის უფლებას დავაკენათ, რომ კლავდიას მიღებული ჰქონდა სერიოზული განათლება. მაგ-

რამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტორი გვერს უცნობს აღზრდის დაწერლობის აღწერას, იმასწავრობა რას და როგორ სწავლობდა კლავდია. ეს კი უფრო ნათლად დაანახებდა მკითხველს მოხუცი ფურჩევეისა და მისი ქალიშვილის ხასიათს და გავგავერინებდა აგრეთვე ავტორის შეხედულებას ქალთა განათლებაზე საერთოდ.

როგორ იყო კლავდიას განათლება? — ეს კითხვა ვერ პოულობს ნაწარმოებში გარკვეულ პასუხს. ამავე დროს ნათლად ჩანს ავტორის ცდა, რომ მკითხველმა ადამიანს რამდენად მაღლა დგას კლავდია მის გარშემო მყოფ ქარავნებზე ახალგაზრდებზე. კლავდიას უპირატესობას ცხადყო მისივე ამაღლებული აზრები, მისწრაფება სერიოზული განვითარებებზე, გონიერული მოქმედება, ფიქრისა და მსჯელობის სიღრმე, რაც სხვა გმირებს არ გააჩნიათ. კლავდია არ მიჰყვება თავის უცაბედ გულისთვის, და ამავე დროს თავის გრძობებში ადგა ის უთმობს ცეცხლს და შრდად ანგარიშს. იგი განიცდის ძლიერად და წმინდად, ნდობით უახლოვდება ხალხს. მაგრამ ნდობა ბრმა როდია, რომ ადამიანები ღირსეულად შევადგოს. მას შესანიშნავად ესმის, რომ ბედნიერებისათვის აუცილებელია შეგნებული გრძობა, რომ ეს გრძობა დამყარებული უნდა იყოს პატივისცემაზე და ადამიანის უპირველესი მოვალეობის გაგებაზე. კლავდია მზადაა გაჭირვებითა და ნაღვლით საესე ცხოვრების უფელი დიდებას, ვიდრე თავისი ბედი დაეცაშვილის უღირს, შეუფერებელ ადამიანს.

მოთხრობა იწყება ცხოვრებაში ახალგაზრდა ქალის გასულით. პირველად, რა თქმა უნდა, მასაც იტაკებს არისტოკრატიული გართობები, მოსწონს ცეკვები, მაგრამ გაუთვებელი წვეულებები, რომლებსაც სურვილის წინააღმდეგ უნდა დაესწროს, მალე ბეზრდება. უფროსი ნათესავების მოსაწყვინი, ერთფეროვანი დარბევები, ამბობენ მის ცოცხლად, გაურყენელ ბუნებას; მისი ყოველი ნაბიჯი, ბუნებრივი, ლაღი მოძრაობა, მსჯელობა, ბებიის გაუთვებელი ჭკუის სწავლების საგანდ დდება. ყოველივე ეს მისთვის აუტანელი შეიქნება. მისკოვში ცხოვრება მისთვის ყოველგვარ ფასს ჰკარავს და წყნარი, სერიოზული საქმის კეთების სურვილით სასუს სოფლის წინანდელი ცხოვრება ელანდება. ეს გასაგებია: ჭკვიანი, განათლებული ქალიშვილი არ შეიძლებოდა დაემაყოფილებულიყო სალონური, უღირადელი ცხოვრებით. დედაქალაქის წუთიერ გართობებს, რა თქმა უნდა, ფასი უნდა დაეკარგოდა. მოთხრობის გვეგა კარგადაა ჩაფიქრებული. ჩვენ ვხედავთ, როგორ მყდვანდება ახალგაზრდა ქალის გონებისა და გულის დამოუკიდებელი ხანგრძლივობა. იგი უარს ეუბნება ხელის მიდარ მიხოვნელს, რადგან ვერ ხედავს მასში სულიერ ნათესაობას და ამავე დროს მზადაა გააკვეცს ცოლად ყოვლად უხასიათო, ცარიელ ადამიანს, რომელიც თავდავიწყებამდე მასზე შეყვარებული.

ამგვარად კლავდიას ქვეყნი, ერთის მხრივ, ვხედავთ ქალის მოვალეობის მცოდნე ადამიანს, მეორე მხრივ — ქალურ გატყუარებას. პირველ შემთხვევაში ადამიანური გრძობა მარცხებს ჭუჭყიან ანგარიშს, მეორეში გრძობა სჭარბობს კონებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლავდიას ცხოვრების მეორე ეპიზოდში პირველზე უფრო მკვეთრად გამოხატავს მის ხასიათს. მიდარ საქმის რომ უარი უთხარა, ეს თითქმის არაფერია, ამას ყველა განათლებული ქალი ირას, მაგრამ შეიძლება იმის გრძობა, რომელსაც შე არ იზარებთ, ქალის დადებითი თვისებაა. კლავდია აქ წინდაუხედავდ მიიჭიჭიერება, რომ თავის პირველ გულისთვისა აპყლოდა, მაგრამ არის

7 ნ. დობროლუბოვი „თხზულებათა კრებული“, 1951 წ. ტ. 2, გვ. 37-38.

ისეთი წინდახედობა, გაუფრთხილებლობა და შეცდომა, რომელიც შეიძლება მოუვიდეს თუმცა ცოტას, მაგრამ სწორედ განათლებულ ადამიანს. ამ ორი ეპიზოდის შემდეგ, როცა მკითხველი თანდათანობით ეცნობა მთავარი გმირის ყოველ-სხრეუ ხასიათს, მოსდევს შესაბამ., რომელიც ასახავს კლავდიას მშვენივრ სიყვარულს მოაზროვნე, ყოველმხრივ განათლებული, დამოუკიდებელი და ღირსკვლევი ადამიანის მიმართ. ეს ეპი-ზოდები, შეიძლება თამამად ითქვას, მოიხირობს ყველაზე შესანიშნავი ნაწილია: გრძნობის განვითარება თანმიმდევრობითი და გასაყვია. ამ გრძნობების გამოხატვისას ვერ ვხე-დავთ არაბუნებრივ ეფექტებს, რომლებიც მოქმედ პირთა ხასიათსა და მდგომარეობას ეწინააღმდეგებოდეს. კლავდიას უყვარს ჩუმი და უმოთხველად, იგი უხშირ იტანჯება აბარ-კოლებათა შეხვედრისას, მტკიცედ იბრძვის მთა წინააღმდეგ და დიდი ნებისყოფის შედეგად სძლევა. საყვარელ ადამიან-თან შეუღლების შემდეგ, შეურყვევლი ერთგულებით ასრულებს თავის მოვალეობას, ინაწილებს ქმრის დარღვა და სიბრალეს, ჭირს და ლხინს, ემხარება შრომაში. როცა ავტორი კლავდიას ცხოვრების ამ მონაკვეთზე ლაპარაკობს, კი არ აღიღებს და აღდგალებს თავის გმირს, არამედ უბრალოდ წარმოგიდგენს ჩვეულებრივ მოაზროვნე, განათლებულ ქალს. კლავდიას გარ-შემო მყოფი პერსონაჟები მრავალფეროვანნი და მკვეთრად გამოკვეთილი არიან. ერთნი — ცხოვრების მიზანს მოღუ-ებულნი, გაუწეოთარებელი ფიოსტები, წინასწარ უარყოფითად განწყობილი, ზიზღით უყურებენ ყველას, ვინც კი გაბედავს ცოცხალი აზრით მათი ჩლუბები, მიძინებელი გინების გამო-დგობას. ასეთი ფიოსტები ნაწარმოებში მრავალსახეობიანია, მაგრამ მხელი როდია მათი ცნობა: აქაა მოხუცი დედაცოცები, რომლებიც დროს ბანქონს თანამშენი ატარებენ და ქალაქის ჭო-რებით ცხოვრობენ; ნაქმროების ძმებით გატაცებული ქალები, ემსწივიცოცები რომლებმაც საქმის არაფერი იცინა, დიდანი, დღემდე ყოველგვარი მიზნის გარეშე ცხოვრობენ. მეორე მო-პირდაპირე მხარეზე კი არიან ადამიანები, მდგომარეობის ძალითა და მკაცრი, უგულო ადამიანებისაგან დაჩაგრულ-გათულებული. ასეთი სახეები განსაკუთრებული მხატვრული დამატარებლობით აქვს დასატული ავტორს. ნ. შალიკაშვილი შესანიშნავი ოსტატობით გადმოგვცემს ამ ჭკვიან, მგრძობიარე, სულდიდი ადამიანების ტრაგიკულ და უუ-გემო ყოფას.

აღნიშნულ მოთხრობას, რომელიც როგორც იდევრად, ისე სიუჟეტური განვითარებით ძალზედ საინტერესოა, აქვს ზოგიერთი ნაკლიც. მაგ., ფურცლები და მისი ქალიშვილი ბეგრგან ხელოვნური, მწიფინობრული ენით ლაპარაკობენ. მოხუცი ფურცლები დარიგებანი ხშირ შემთხვევაში გრძელ-და მოსაწყინია. ოღნებ გადაჭარბებულია აგრეთვე კლავდიას ბების ვულგარული ფრაზებითა და გამოთქმებით სახე მე-ტყველობა, ბებისა, რომელიც აშკარად დგას ობსკურანტიზ-მის მხარეზე და აბურად იგდებს ქალის განათლებას. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ დიალოგების სისუსტე ერთგვარ უარყოფით გაგუნას ახდენს ამ მეტად საინტერესო ნაწარ-მების აღქმასზე.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე, 1876 წელს⁸ ნატა-ლია შალიკაშვილმა დაბეჭდა თავისი უკანასკნელი რო-მანი — „ლუკმა პურისათვის“, რომელშიაც აღწერილია მოს-კოეთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები 187

ლსისი მედავითნის ცხოვრება. მანამდე ასეთი ხასიათის ნაწარმოებიები ქონდათ სწორედ ამ წილიან გამოსულ მწერ-ლებს: უაყესკის, რევეტნიკოს და სხვ. სურათები, რომლებსაც აღწერდნენ ისინი, არავითარ სიმპათიას არ იმსახურებდნენ, რადგან ამ წრის ხალხში, მართო უარყოფით თვისებებს ხე-დავდნენ, ხოლო კეთილ, მატობისნი მხარეები შეუარეველი რჩებიდათ ან და განებენ იყო მიჭმალული. მაგალითად, ნ. უსახესკი რუს გლეზში ხედავდა მხოლოდ ჩლუნგ გინებსა და ზნეობრივ უბალეოკობას, ხედავთინებში და მნათუნები კი — სასაცილო მხარეებს, მაგრამ ისეთმა დიდმა მწერლებმა, რო-გორიც იყვნენ ტურგენევი, გრიგორევიჩი, პისესკი და სხვები, სულ სხვა თვალთ დიანახეს უბრალო რუსი გლეზკაცი და იმ-დროინდელი განათლებულ სასოგადობის დაუმტკიცეს, რომ აუტანელი შრომისაგან გარეწულად გაუხეხილი გლეზკაცი სცემდა სინაზითა და სიკეთით აღნახვე გული. ასეთსავე ყურა-დლებას ელოდა მწერლებისაგან მივიწყებელი, გაჭირვებისა-გან გლეზისა მიტმანებული, მისი დაბალი მსახურნი. იმდრო-ინდელი სასოგადობისათვის ძალზედ გასაოცარი იყო, რომ სწორედ ამ ყველასაგან მივიწყებული მშრომელი ხალხის ცხოვრებას ყურადღება მიუქცია არა დაბალი წილიან გამო-სულმა ადამიანმა, არამედ მაღალი წოდების წარმომადგე-ნებმა, თავადის ასულმა ნატალია შალიკაშვილმა. რომანი — „ლუკმა პურისათვის“ დაწერილია პირველ პირში. ამბავს ჭკვება მედავითნის ქალიშვილი ლუკმა. ნაწარმოების შინაარსი ასეთია: სოფელ ვისოკაიას გლეზისი მედავითნე სერგეი ფი-ლიპიჩმა სასულდობრი სემინარიაში სწავლა მიატოვა უსახე-რობის გამო და მამის გადატკეპული ოჯახში დაბრუნდა. შიმ-შილით რომ არ მოგვედარიყო, იგი ვულესიაში მედავითნედ დადგა. მალე მას მოუკვდა მამა და მეკვიდრებოდა დარჩა შობილის გაატრახხეული კარმიდამო. სერგეი ფილიპიჩი დაოჯახდა და ახლა წყრილობულზე ზრუნვაში ადავინდა და ათენებს. შემდეგ რომანში აღწერილია თუ როგორ გაათხოვა მამამ უფროსი ქალიშვილი, ქიორწილიც გადაუხდა, რის გამო დიდი ვალეში დადიო. ოჯახი შიმშილობს. სოფელში ყველა გაჭირვებული და ღარიბ-ღატაკია. დრო კი მიდის. ნ. შალი-ჩევი — გვიყვება მთხრობელი, — ყოველნაირად ცდილობდა ვალების მოშორებას, გაჭირვება მ სულ უფრო ადვილი ხელი, ჩვენი ფიგურის სახლი გადაიდობდა, სასურვას წყალთ ცხი-როვით გასდიოდა, შეკეთება კი არ შეგვეძლო, არც მასალა ეკვირნდა და არც ფული. ჩვენი სოფლიდან ეკვრის დამო-რებით გამორჩა ადგილი, სადაც ბირები ვალისას ეკუთვნე-ნოდა. იმით დაიმუდებულმა მამანემმა, რომ ბინა მაინც გვეკო-ნებოდა, დიდი წვალების შემდეგ, მოახერხა სოფელ ივანოს-კოშიმ გადასვლა“. სერგეი ფილიპიჩის ოჯახი საცხოვრებლად იქ გადადის, მაგრამ იქაც ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნ-დნენ, ნაზუქებით არც იქ დახვედრიან. საბრალო მედავითნედ დიდის წვალებით ისესხა სადაც სათესელ შერია. დათესა კი-დეც, მაგრამ იმ წულს კუდი მოსავალი მოვიდა და „გაჭირვე-ბულს ქვა აღმართმაყ დეწიწია“, — რაც დათესა, მისი ნახე-ვარიც ვერ მოიმიყო. სოფელში ერთადერთი ოჯახი, რომელიც შეძლებულად ცხოვრობს, მღვდლის ოჯახია. სასოწარკვეთი-ლი სერგეი ფილიპიჩი მოწყალების სათხოვრებლად მიდის მღვდლისას და ევედრება მას ისეთ სამუშაოზე გადაყვანას, რომელიც ოჯახის ბრუნას შეაძლებინებდა. მღვდელი გართუ-ლი მოგვებს ბედშავს. მედავითნის შუათანა ქალიშვილი ლუკმა ქარვების ხელობას სწავლობს, დაშვებს ათენებს და ჭრაქის შუქზე მშენიერ ნაქარვებს აზხადებს, მაგრამ სოფელში საწყა-

⁸ ნატალია ბეტრესასთვი შალიკაშვილი გარდაიცვალა 1878 წელს 10 ივლისს, ქ. მოსკოვში.



ლი გოგოს ნახელავს არავინ ყიდულობს, — ყველა ლუკმა-პურის შოფინიაა გართული. მართო ერთი ნაჭარგი აიღო მღვდლის ცოლმა და რამდენიმე გროში მოუგდო. მალე ოჯახს ახალი უბედურება დაატყდა თავს — მოუკვდათ მარჩენალი ძროხა და მთლად ულუკმაპურიდ დარჩნენ.

„ახლოდებიდა ზამთარი, — გვიამბობს ლუბა, — არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი, არაფერი თბილი ჩასაცმელი არცერი ჩვეთბიანს არ გავგაჩნდა. მაშინვე მიქრე სულ დანის და ყინვაში სიბოთს ნატამალასკ ვეღარ იჭერდა. რამდენ უბედურებასა და ტანჯვას გადავეურჩით, ვინ ჩამოთვლის! ხან-დახან ზამთრის სუსხიან ღამეებში მამა 5-6 ვერსის მანძილზე მიჰყავდა ნათლობაში. ჩვენ მამის მეთუდი დამე არ გვეძინა, ველოდით, როდის დაბრუნდებოდა შინ ორიოდ გროშითა და გათომილი სუბელით. ერთ სუსხიან ღამეს, მინდარეჭუ გადასვლისას, ყინული ჩატყდა და დახრობას ძლივს გადარჩენილი კარკა ხანს იწვა ღოგინში სულთმობრძავი. უწამლოდ და თითქმის ულუკმაპური, მხოლოდ რაღაც უსუსულმა გადაარჩინა სიკვდილს“. მედავთინე იძულებული ვიყუ აიყაროს და სხვა სოფელში გადავიდეს, მაგრამ ახალ სოფელში უარესი სიღატაკეა. გაბორტებული სერგეი ფილიპიჩი ჩამოდის მოსკოვს და უნაღვლეს ამხედველობებს თხოვს სხვა თანამდებობაზე გადაყვანას. ერთხელ ჩამოსვლას მთოვრ და მესამე მოჰყავდა, მოგზაურობას კი — ზედმეტი ხარჯები, მაგრამ საქმე წინ არ წასულა, უკეთესი ადგილი არსად იყო. ბოლოს საქმე ისე წავიდა, რომ ცხოვრებისაგან გაბორტებულ მედავთინეს უკანასკნელი გროშებიც დაეხარჯა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პერსონაჟი ისეთი სიკეთითა და სიღაჭივით ჰყავს ავტორს დახატული, რომ სამაგალითო უნდა ყოფილიყო თავის თანამომხივთვის, რომელთა შორის, როგორც თვით ნაწარმოების მიხედვით ჩანს, დიოგენის სანთლით საქებნილი იყვნენ ასეთი ადამიანები. „ასეთი კაცი, — უყვება ოჯახის წევრებს მის დაბრუნებულ სერგეი ფილიპიჩი, — იშვიათად მივხატავს. მთლიანად სიკეთისათვის ცხოვრობს, თანაც ზო მოწყალე ბუნება აქვს თვითონ, სხვისგან დაუხმარებლად ისწავლა საათობის, სამსაჯურების, ბუღებისა და სხვა ნივთების კეთობა. რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერს აკეთებს...“ ხან როგორ არ უნდა ხარობდეს ადამიანი, რომლის სახლშიც ყველა უბედური პოულობს ბიანს და სულიერ სიმეურდოვებს“.

ცოტა ხნის შემდეგ სერგეი ფილიპიჩი თავისი ოჯახით გადადის ისევ მოსკოვის მახლობლად მეფიზარე სოფელ კოლოდინოში. იქ გადასვლის უპირველესი მიზანი მდგომარეობის გაუმჯობესებაა არ იყო, როგორც მითხრობილი გვაუწყებს, არამედ ის, რომ ოჯახის მარჩენლს მტერი საშუალება ჰქონოდა უნაღვლეს სამღვდელოებაში სიარულისა და უკითხის, ახალი ადგილის ძებნისათვის. აი, როგორ აღწერს თავისი ოჯახის მდგომარეობას კოლოდინოში ლუბა: „ძნელაა იმ რვა-არშინიანი, დანგრეული ქოხის აღწერა, რომელიც თხელი ტხარით იყო ორად გაყოფილი. ერთ მათგანში ცხოვრობდა მწათე, მთოვრ კი ჩვენი ოჯახისათვის იყო განუკუთვნილი. ეს მარწყველი, დაღრეცილი საკრებლებიანი ქოხი თითქმის მიწასთან იყო შეზრდილი. ჩვენი პატარა თოახის ერთ მხარეს მოთავსებული იყო რუსული ღუმელი, რომლის გვერდებზეც იდგა საწოლი. წინა კუთხეში, ხატებ ქვეშ იდგა მაგიდა, მის

გვერდით იატაკზე ღამ-ღამობით ჩვენთვის, ბავშვებისათვის იწლებოდა ლოფინი. მორყეულ სამ სარკმელში ორიოდ მიწადა იყო გადარჩენილი დაუმსხვრეველად, დანარჩენზე ქაღალდები ტკბილად აკრული. საუბედუროდ იმ ღამეს ცა მიიღრებოდა, კარ ალმუხვდა და ქაღალდები შემოხანს სარკმლებზე. გვერდები გვეტილიდა ოკრობოერი იატაკზე წოლისაგან. ქაღალდებიამოხვეული ჭერიდან ცვილიდა ნაგავი, დაღლილებს მინცვ მაგრად გვეწინა. შუალაზისას დაუწვა კოკისპირებოდა წვიმამ. შემშინებლები, აღარ ვიცოდით, სად წავსულიყავით. ყველგან წყალი ჩამოდიოდა. სიცივით აკანკალებულმა დიღამად ფეხზე ვაჯატარეთ. დღით დედა და მამა იმ იმედით, რომ სადმე თოახს დაიჭირებოდნენ, სოფელში წავიდნენ, მაგრამ სოფელი იყო ღარიბი, საცხოვრებელი დაწერული, შიგ კი — ტუჭკი და სიღატაკე. ძნელი წარმოსადგენი იყო მოსკოვის გარეუბანში ასეთი სანახაობა. ზოგიერთ ჭებებში ბურტყუნებდნენ გრძელ სკაზეშე წოლი ოჯახის გაღვლეული უფროსები, დიასახლისები კი მოსკოვში დაყალიბდნენ გასასყიდებით. ჭებებში თამაშობდნენ ჩამოხვეული, ნახევრად შიშველი, წარმოდგენილი წვირიანი ბავშვები. ნებისთი თუ უნებლიეთ, მოგვიხდა ჩვენს ჭებში დარჩენა. ორი სარკმელი გარედან და შიგნიდან ფიცრებით ამოჭყლედი. დარჩა ერთი, რომლიდანაც დღის სინათლე ძლივს შემოდიოდა, ისიც ნახევრად ქაღალდაკრული იყო, რადან მინის ჩახმა შეუძლებელი იყო. ჭერს ჩამოხვეული ქაღალდები ისევ ავაკარიო, მაგრამ ჩვენი შიშობა ამო აღმოჩნდა. პირველი წვიმისთანავე ყველაფერი იშლებოდა და ისევ განუწყვეტლად გვაწვიმდა“.

მედავთინეს გამოსავალი აღარ დარჩინდა. ოჯახის უიმედო მდგომარეობის შემხედვარე ლუბა ფეხშიშველი ყოველ დღე, ჩადის მოსკოვში, რათა თავისი ნაჭარგები გაასაღოს და შიგერ ადგას და დებს ლუკმა პური მიჭარტანს. „რომ გადაემეწყვიტა ყოველი წასვლა, უნდა წარმომედგინა ხოლმე მშვიდი დედა და პატარა დები, ის, რომ მოვალე ვიყავი მათთვის მომეჭრა რამდენიმე ლუკმა. მართო ეს აზრი მსამტებდა ღონეს და ვაკეთებდა ყველაფერს. როცა სახლში ვბრუნდებოდი, დები სირბილით მეგებებოდნენ და თვალცრემლიანები მეკითხებოდნენ, მიმჭინდა თუ არა რამე საქმეში...“ ცოტახნის შემდეგ, დღი წვალებით მათ მოახებუნეს მოსკოვში მცხოვრები, რომელიც ინკლისელის ფაბრიკიდან დღიური სამუშაოს მიღება. სამუშაოს სახლში ასრულებდნენ და დღეში ყველანი ერთად 40-50 კაპივს იღებდნენ, რითაც უკვე პურის ფულით უზრუნველყოფილი იყვნენ, მაგრამ აქც უმუხლოა ბედმა უბედურ ოჯახს. იმ დროს მოსკოვში განხორციელი იყო ხანძრებიც და ინკლისელის ფაბრიკაც დაიწვა. სერგეი ფილიპიჩი რამდენიმეჯერ მივიდა ბატონთან ითხოვნი, მიცხედეს დახმარება განიწვიოთ, მაგრამ მის მუდარას ჭურცი არაგინ ათხოვა. მღვდლეს კი, რომელიც ბოუგაობასაც ეწეოდა, ბატონმა ახალი პატარა სახლი აუწინა. გულხეტი ამ ამბით ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ. მართლაც, მღვდლის ეკლესიისათვის იმდენ ეცვალა, ვაჭრობითა და სამეურნეო საქმეებით იყო გართული. „ღვთის წმინდა მოციქულიც“ გაირყვნა. უფლებამოთვებული მღვდელი არ ზოგავდა არც ბატონის ქონებას და არც გლეხების ნაოფლარს. ოჯახის ჭაჭირებება დღითიდღე ბატულობდა. ხშირად ნახევარი გირანჭა პურით კმაყოფილებოდა ხუთი ადამიანი მთელი დღის განმავლობაში. — „ჩავასამდილო ჯამში ცხელ წყალს. ჩავყრილი რამდენიმე ნატკის პურს და ამით ვიკლავდი შიმშილს. დედა და მამა ხშირად თითო კოვხს ძლივს შეჭამდნენ იმისათვის, რომ ჩვენ მტერი შეგვხედ-



როდ. ერთხელ მამამ სადაც ცოტაოდენი შვრია იმოვნა, მაგრამ რადგანაც წისკვილი ჩვენი სოფლიდან ხუთმეტე ვერ-სით იყო დაშორებული, და საფეკავის წაღების ვერ შევძლებდით, დაიწვეთ დაუფეკავის ჭამა. დავევითლავდით ქოთანში და ქათმებივით ვიკვებებოდით. ასეთი აუტანელი კვების შედეგად დედა დაეადამოჟდა და ლოინად ჩაგარდა. — ხანდახან ისევ მზოგულ გულვებს მოჰქონდათ მათთვის პურის ნატესები, — აბა სხვა რა უნდა მოეტანათ, თვითონაც არაფერი გააჩნდათ. მდღომარეობის გაოსასწორებლად, მშობლებმა გადაწყვიტეს უმცროსი გოგონების მოსოფის ერთერთ სამკურველოში მიზარება. მაგრამ იქ ისეთი „წესიერება“ სუფევდა, რომ სერგეი ფილოპიჩმა არცაა შიშშილი და გოგონები ისევ უკან წამოიყვანა. თვითონ ისევ შევედრა უმაღლეს სამღვდელეობებს სადმე გადაეყვანა. ამჯერად „ღვთის წმინდა“ მსახურებმა მას ქრთამი მოთხოვეს, რაც ღატაკმა მდღვითნემ ვერ შესძლო. ერთ დღეს ქალაქიდან დაბრუნებულ ღლებას ოჯახში ახალი უბედურება დაუხვდა, — დედა შიმშილისაგან მომკვდარიყო. რომანში შემწარავდაა დახატული ოჯახის ტრაგედია. „დასასფლავებლად მამას არ აღმოაჩნდა არც ერთი გროში. იგი მამინვე გაემართა მოსკოვში მამა ირინარხთან ფულის სასესხებლად, მაგრამ ისიც სახლში არ დაუხვდა. სასოწარკვეთილი მამა ძლივს ავაგლიჯეთ მიცვალეულს, რომელსაც უშემოდოდ დასტიროდა. ბოლოს იგი მღვდელს გახლა, სესხად კუბოს ფული თხოვა და აღუთქვა პირველივე შემოსავლიდან გასტუმრება. — შენ რა შემოსავალი უნდა გქონდეს — ირინით უპასუხა მღვდელმა, ეზოდან გამოვდება დაუბირა, მაგრამ საყოდაი მოხუცი ფეკევე ჩაუვარდა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ისესხა იმდენი ფული, რომ კუბოს გასაკეთებლად და სანთლების საყილად ყოფიოდა, თვითონ კი დამით წავიდა სასაფლაოზე, რომ ბეგრული მეუღლისათვის სამარე გაეთხარა.

რომანს კეთილი დასასრული აქვს: ღებმა გათხოვდება სემინარიადამთავრებულ კაცზე, რომელიც უფროსი დის სოფელი სტუმრობისას გაიცნო.

ნატალა შალიკაშვილის ამ რომანმა იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. იწონებდნენ რომანის ენას, კოლორიტულობას და განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მაღალი არისტოკრატის წარმომადგენელმა მწერალმა ქაიხა თავის რომანი დაწერა სოფლის ცხოვრებაზე და გამოამოქანა ეპური ადამიანების სულის ღრმა ცოდნა. ჩვენ კი ამას დაეუბნებთ ერთ უფრო მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც აღნიშნული რეცენზენტები გვერდს უვლიდნენ. აგტორმა დიდი გაბედულებით ასახა გლეხთა და, საერთოდ, დაბალი ფენის წარმომად-

გენლების დუხჭირი ცხოვრება. მწერალი თავის გამორთმან ერთად დალიოდა სოფლიდან სოფელში და ყველაგ ერთსა და იმავეს — გატორვევისაგან გამოწვეულ შემწარავ სურათებს, ჩვერთამებობას, გარყვნილებას და სოფლიდეს ხედავდა. მეორეს მხრივ კი, ბევრი იმდროინდელი მწერლისაგან განსხვავებით, რომლებიც სოფელზე წერდნენ, ნატალია შალიკაშვილიმ აჩვენა სოფლის ადამიანების პატიოსნება, მათი შრომისმოყვარეობა და ჰუმანიზმი.

უნაკლო, რა თქმა უნდა, არც ეს ნაწარმოებია. საეტყობის გარემოება, რომ სასულიერო აკადემიის სტუდენტმა გორიანსკიმ თხოვა ღატაკი ღლები, მიუხედავად იმისა, რომ ამ გმირის გაცნობისას ატორი ვიყევება მის ვინაობას და დასძენს, რომ ისიც ღლებასავით ღლება პურის მაძიებელი ოჯახი-დანაა. ჩვერის აზრით, ეს ფაქტი როდია ამ რომანის კეთილად დაბოლოვების მიზეზი, ნ. შალიკაშვილი საგამოდ არ იყო გარკვეული თავისი დროის სოციალურ მოვლენებში. ის, რასაც ხედავდა, დარწმუნებული იყო, მოისპობოდა, მაგრამ როგორ, რა გზით, — ეს მან არ იცოდა. აი სწორედ ეს არის ძირითადი ნაკლი ამ უდაოდ ნიჭიერი, ნათელი აზროვნების მქონე მწერალი ქალის ნაწარმოებისა, ქალისა, რომელმაც დახატა რუსული სოფლის სიღატაკე და გლეხთა აუტანელი ყოფა, ასახა აგრეთვე მაღალი არისტოკრატული წრეების ცხოვრების ბნელი მხარეები. მწერალი ქალი დაჩაგრულთა მხარეზეა, განიცდის გლეხთა გატორვებას, თანაუგრძნობს მათ. მწერალი ქალს ესმის არსებული ცხოვრების შეცვლის აუცილებლობა, ოღონდ ჰგონია, რომ დაჩაგრულთა ცხოვრების გაუმჯობესება მარტო არისტოკრატისა შეუძლია. ამიტომ იგი თავისი ნაწარმოებით ცდილობს უმაღლეს არისტოკრატისა შეაბრალოს დაჩაგრულები, რათა ამის შედეგად გაუმჯობესდეს მათი ცხოვრება.

თავისთავად მარტო ის, რომ წარმოშობით ქართველი ნატალია შალიკაშვილის მოთხრობებს, რომანებს და თარგმანებს სისტემატურად ბეჭდვდნენ XIX საუკუნის რუსული ჟურნალები, მათ შორის, „სოფერმენიკი“, უთუოდ საინტერესო და საყურადღებო ფაქტია.

ჩვენ შევეცადეთ ზოგადად, მიმოხილვის სახით, მიგვეწოდებინა მკითხველებისათვის ცნობები ნატალა შალიკაშვილზე. ნატალია შალიკაშვილი ქართულად არაფერია დაწერილი, იგი ნახსენებია კი არა არც ერთ ქართულ გამოცემაში. რუსულ პერიოდიკაშიც მხოლოდ აქა-იქაა გაბნეული რამდენიმე წინადადება, რომელიც შეიცავს მისი ბიოგრაფიის მთავარ თარიღებსა და ნაწარმოებების ჩამოთვლას. ამდენად ჩვენი პირველი ცდა, ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, ალბათ დაინტერესებს მკითხველს.

ბულისხმიერი კვაზოზგი

და მუსიკოსი

ნონა მუსხელიშვილი

20 წელზე მეტა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თამარ იოსების ასული ჩარეჟიშვილი.

1937-38 წ. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მუსიკოსი დაბრუნდა ლენინგრადიდან, სადაც თბილისის სახ. კონსერვატორიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (დოც. ლარისა ქუთათელაძის კლასით), მივლინებული იყო პიანისტური ოსტატობის სრულყოფისათვის, გამოჩენილ პროფესორ ს. ი. სავინსკისთან.

სახელგანთქმული პროფესორის ლეონიდ ნიკოლაევის მოწაფეს ს. ი. სავინსკის დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიჭიერი ნორჩი მუსიკოსების აღზრდაში; იგი ლენინგრადის ცენტრალური მუსიკალური სკოლისა და ინტერნატის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ამჟამად კი ლენინგრადის კონსერვატორიის წამყვანი პროფესორია.

თ. ი. ჩარეჟიშვილი მუდამ დიდი ინტერესით ესწრებოდა თავისი პროფესორის გაკვეთილებს პატარებთან და ამ მეცადინეობებით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა, რომ საშემსრულებლო მოღვაწეობასთან ერთად, ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილური საქმისათვის მოეკიდა ხელი.

— „ქართველ ბავშვებთან სასწაულების მოხდენა შეიძლება. ქართველები ხომ უაღრესად მუსიკალური არიან. საქმე თქვენზეა, თამარ“ — წერდა ერთ-ერთ წერილში თავის ნიჭიერ მოწაფეს პროფესორი სავინსკი.

მარალაც, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, თამარ ჩარეჟიშვილმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა სახ. კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში (ამ ჯგუფის საფუძველზე შემდეგ გაიხსნა ცენტრალური მუსიკალური სკოლა). სულ მალე იგი მიიწვიეს თბილისის კონსერვატორიაში პროფ. აიხბერგის ასისტენტად; აქ იგი ეცნობოდა გამოჩენილ პროფესორის მუშაობის სისტემას, იძინდა გამოცდილებას.

პედაგოგიურ მუშაობას წლები მამოძიებუ ჰქონდა. ჩარეჟიშვილი საშემსრულებლო მოღვაწეობას უთავსებდა. თ. ჩარეჟიშვილის დაკრა, აღბეჭდილი დახვეწილი მხატვრული გემოვნებითა და კეთილშობილებით, მსმენელთა მალა შეფასებას იმსახურებდა. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ხოლმე თ. ჩარეჟიშვილის მიერ მოცარტისა და ბეთოვენის ნაწარმოებთა გაზარბეულ შესრულებას, მხატვრული სახეების გამოკვეთისა და სტილის შეგრძობის უნარს.

თ. ჩარეჟიშვილმა მრავალი ნიჭიერი მუსიკოსი აღზარდა. თავის მოსწავლეებში იგი ნერგავს ბავშვის მალა კულტურას, უთითაინებს კეთილშობილურ გემოვნებას, ზომიერების განზრუნას. გაუბრუნა გარეგანი ეფექტებით გატაცებას, მოწაფეებისაგან მოითხოვს ნაწარმოების გააზრბეულ დაკრას. გულისხმიერი პედაგოგი თვალყურს ადევნებს თავისი მოწაფეების ყოველდღიურ მუშაობას, მათ მხატვრულ ზრდას და მიმწეობას.

თ. ჩარეჟიშვილის მრავალრიცხოვან მოსწავლეთა შორის, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა და სახ. კონსერვატორია, არიან: თ. რუსიშვილი, თ. გურასაშვილი, ნ. ხაბაუდი-მიტრიადი, ც. ხუციშვილი, თ. კობახიძე, ლ. შავგულიძე, შ. ზაქარაიანი, ვ. უშმურტი, (ეს ორი უკანასკნელი მოღვაწეობს მოძებ სიმფონი). ისინი ამჟამად წარმატებით ეწევიან საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

გასულ წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა მრწყინებულ დაამთავრა თ. ჩარეჟიშვილის ორმა მოსწავლემ — ლალი მიჭავაძე და ჯარჯი ბალანჩივაძე. ორივე მიჭავაძე ამჟამად გაანაგრძობს სწავლას სახარჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში. მისი დაკრა გამოირჩევა დიდი მუსიკალით, მხატვრულ სახეებში ღრმად ჩაყვდომის



თამარ ჩარეჟიშვილი

უნარით, იგი მსმენელებს ხიბლავს ფაქიზი ლირიზმით, მღერად ტონით. განსაკუთრებით მოსაწონია მის მიერ მოცარტისა და შოპენის ნაწარმოებების შესრულება.

ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე, ამ „მუსიკალური გავრის“ უმცროსი წარმომადგენელი, 7 წლის ასაკიდან იზრდებოდა თ. ჩარეჟიშვილის მეთვალყურეობის ქვეშ. თანდათან ვითარდებოდა და ვლინდებოდა მასში ინიციათი პიანისტური ნიჭი, რომელმაც იგი ფართო საშემსრულებლო ასპარეზზე გაიყვანა. ჯარჯი ბალანჩივაძე მრავალგზის გამოდიოდა სიმფონიურ ორკესტრთან რადიოსა და ფილარმონიის კონცერტებში, სადაც ასრულებდა მუნდელსონის, სენ-სანსისა და სხვათა კონცერტებს. დირიჟორ კ. კ. ივანოვთან ერთად კონცერტებში გამოდიოდა ბალანჩიშვილის ქვეყნებში, მოსკოვში, ერევანში, ქუთაისში. აღნიშნული ნაწარმოებების გარდა, იგი დიდი წარმატებით ასრულებს თავისი მამის — კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძის III საფორტეპიანო კონცერტს და ფანტაზიას, ეს ნაწარმოებები მან დაუკრა ამაჟ წინათაც, თბილისში, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ანდრია ბალანჩივაძის საავტორო კონცერტზე (დირიჟორი და თვით ანდრია ბალანჩივაძე).

ახალგაზრდა პიანისტის შემოქმედებით ცხოვრებამ მნიშვნელოვან როლს ატარებდა ფანტაზიის მისი გამოსვლები ბაქოში გამართულ შემსრულებელთა ამიერკავკასიის კონკურსზე. სორჩმა შემსრულებელმა დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია და კონკურსის ლაურეატის საპატიო სახელი მოიპოვა. ნორჩი მუსიკოსის დაკრა გამოირჩევა ბრწყინვალე არტიზმით გაქანებით.

წელს ჯარჯიმ წარმატებით ჩააბარა გამოცდა მოსკოვის კონსერვატორიაში და განაგრძობს სრულყოფას პროფ. ლ. მორიანთან. ნათელი პერსპექტივების მუსიკოსის შემდგომ ზრდას დიდი ინტერესით მოელის როგორც მისი მასწავლებელი, ისე მივილი ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამჟამად თამარ ჩარეჟიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, როგორც ნიჭიერ ბავშვთა შორის — ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში, ისე თბილისის კონსერვატორიაში, სადაც ამჟამად საფორტეპიანო კაბორდის ხელმძღვანელობს.

თამარ გომარტელი

ღამის მგზავრობით მოლოდინმა ქალიშვილმა მშობლიურ მიწაზე ფეხი რომ დააღდა, შეება იგრნობს.

თვალი მოავლო ნაცნობ ადგილებს. საყვარელი გურია მოხმბილვულ მასპინძლად ეგებებოდა. ცისფერფერებდა ია მორცხვად თავს უკრავს სტუმარს, ენძელა თითქოს უფრო თამამობს და გახარებული სიწითლეს ვერ მალავს, შავხალაბა ყაყაჩი ნაზი რხევით ეკვადლებუბა, მუდამ დაუღვრობელი ნაკადული რაკაკით ესალმება, მშვიდობით მგზავრობას ულოცავს.

ქალიშვილს სურს ყველაფერს მოუაღეროს, გულში ჩაიკრას... სამიოდე კილომეტრი აქვს გასასვლელი. გზა ჩაის ბუჩქებით შეფენილ და ბალ-ღინამებით მოხატულ მთა-გორაკებში მიემართება.

მდინარე სუფსა ბაგირზე მიბმული ნავით გადასურდა. შემდეგ ფრღობი აიკვავა, შეერდა, სუფსის გაღმა თვალი ჰქიდა ხილისთავს. მთიან ღვართა-ფად გადმომსკდარი გუბაზოული რომ ხმაურით ჩაუღეს.

ხილისთავი თავისი ჩუჩხუხა გუბაზოულით გურიის ერთ-ერთ თვალწარმტყაცი სოფელია. იგი რეკოლუციონერების აკვანია, დღეს მათ პატივსაცემად აქ ობლისკია აღმართული. ამ სახელოვან სოფელში დაიბადა 1919 წლის ნორა ელიაძე, აქ აიღვა ფეხი, წარმოთა პირველი ქართული სიკვია, ამ სერეზი იოანება პირველად და შეიყვარა სამშობლო მიწა.

ნორა ელიაძის მამა სოფლო სამიბიდან აღმოსოლა აქ, სასოფლო აოთიაქს განააზბდა თარმი, ხალხის ჯანმრთელობას ემსახურებოდა.

პატარა ნორამ ჯერ კიდევ ხილისთავში შეიყვარა სამება. უკვე საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლე იგი მიუთმინლად ელოდა სახანფლოთ არდადეგებას, რომ თბილისიდან საყვარელ სოფელს სწევოდა... აი, ახლაც იჩქარის ქალიშვილი, უნდა მალე შეაღოს მწვანით მოქარგული ეოს ჰომკარი, მიინახულოს თანასოფლელები, გაიგოს რა გააკურთ ვასულე წლის შემდეგ ახალგაზრდობამ სოფლის საკეთილდლოდ.

თედოს მოითთბირება დრამწრისა რა წარმოდგენების შესახებ. მის მიმართ რაღაც იდუნალს გრძობს. მოსწონს? უყვარს? ან რატომ არ უნდა შეუყვარ-



ელენორა ელიაძე

დეს სანდომიანი შესახედაობის, სოფლის სული და გულე, დრამწრის ნიჭური ხელმძღვანელი თედო წეროთე? ნორა ხომ მის თვალბშიც ამჩნევს თანაგრძობებს. ქალაქიდან ჩამოსული დიდი გრძნობით, მთელი ვატყვებით ებმება სოფლის მჩქეფარე ცხოვრებაში. ახალგაზრდობასთან, თედოსთან ერთად აქტიურად მონაწილეობს საქველმოქმედო მიზნით გამართულ წარმოდგენებში. ყოველწელიურად იზრდება სასოფლო კლუბის ასაგები ფონდი. მრავალ დამრკოლებას სძლია სამების ახალგაზრდობამ და კარგი საჩუქარი მიუძღვნა მშობლიურ სოფელს — კლუბი ააგო, ამაში ნორასაც მიუძღვის ღვაწლი.

შემდეგ ნორამ თავისი მომავალი საბოლოოდ დაუკავშირა თედო წეროთეს, — მისი მეუღლე, ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ქმართან ერთად მსახიობობის გზას დაადგა. ცოლ-ქმარმა წლებიც მანძილზე ნაყოფიერად იმუშავა ალ. მიქელაძის ხელმძღვანელობით

არსებულ თბილისის მუშა ახალგაზრდობის თეატრის სცენაზე. მისი ლიკვიდაციის შემდეგ, ნორა მოღვაწეობდა კაცის მშობლიურ გურიაში — ჩოხატაურის სარაიონო თეატრის სცენაზე, სადაც სამხატვრო ხელმძღვანელად დინმული იყო თედო წეროთე.

პორტრეტის ძანრში, თავიანთ ბოლომდე, შეიმჩნევა ერთფეროვნება. ბევრი კორეპონდენტი ვერ გადმოსცემს ადამიანის შემოქმედებითი საწყისებს, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ფოტავენ პორტრეტს“, აიძულებენ თავიანთ გმირს პოზა დაიკავოს. მაგრამ არაფერია იმაზე ნაკლებამოსახველი, ვიდრე ფოტოგრაფია ადამიანისა, რომელიც შეკარად პოზირების ფოტოაპარატის ობიექტივის წინ. პორტრეტზე გმირის სახე უნდა ჰქონდეს შთაგონებული, აზრითა და განწყობილებით განათებული.

არც თუ ისე იშვიათად, გაზეთების ფურცლებზე მრეწველობის მუშაკები გამოსახული არიან დაძაბულ პოზაში, თავიანთ მანქანებთან გაქაველებულნი. ასეთ სურათებში ადამიანები კი არ მუშაობენ, არამედ პოზას იკავენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ფოტოებიც „არ მუშაობენ“. ასეთი სურათები არავის ესაჭიროება, მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, მავნელობის მოტანა კი შეუძლიათ. ფოტორეპორტაჟის შექმნისას ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ადამიანს, მის ირგვლივ თავმოყრილ დეტალებს, გარემოებას, ტანსაცმელს და გადასადგებად შეგარბილი ისეთი მომენტს და წერტილი, რომლებიც სახის გასწიის ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევიან. დიდი მზაკარი, სანამ მიმოტრეკს მიუჯდომელს, ყოველმხრივ სწავლობს თავის ნატურას, არჩევს უკეთეს „წერტილს“ და შექმნილობის განაღდებას, არჩევს არა მარტო ძირითად ფერებს, არამედ ტონებსაც. ფოტოსტატტი, რომელსაც სურს გმირის მართალი და გამომსახველი პორტრეტის დახატვა, ასევე ღრმად, გააზრდებულად უნდა სწავლობდეს თავის გმირს, გარემოს, რომელზე იგი ცხოვრობს, შრომობს და ქმნის.

ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი ინდივიდუალური თვისება, თავისი განსაკუთრებული სილამაზე. ხშირად ამის უკებ შეიმჩნევა არ ხერხდება. ამიტომ ფოტორეპორტაჟიერადმდებულთა დააკვირდეს ყველას, ვისი გადაღებაც მას სურს, რათა შეინიშნოს და აღებულოს სწორად ის შესტი თუ პოზა, სახის

მეწეპსი

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ვაფართოვებდეთ ფოტოკორესპონდენტთა რიგებს, ვავითარებდეთ მათ შემოქმედებითი ინიციატივას.

საბჭოთა მთავრობის მთავარის ნიკიტა ხრუშჩოვის ეიზიტების დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, აზიის ქვეყნებში ჩვენ, საბჭოთა ჟურნალისტებს საშუალება გვქონდა თვალ-ყური გვედევინებინა ბურჟუაზიული პრესის ფოტორეპორტაჟიერების მუშაობისათვის. მათ მუშაობაში ბევრია ისეთი რამ, რომელსაც ჩვენ კატეგორიულად უარყოფთ, რომელიც ეწინააღმდეგება საბჭოთა პრესის სულისკვეთებას. მაგრამ მათი პროფესიული ხერხებიდან ზოგი რამ, კრიტიკული შეფასების შემდეგ, შეიძლება გამოიყენ-



ზახულის ცხელ ღღეს

ფოტო პ. ლუცენკოსი

ის გამომეტყველება, რომელიც ყველაზე მართლად გადმოსცემს ამ ადამიანის ხასიათს, შინაგან სამყაროს, ინდივიდუალობას. ანა ჩვენი ფოტოკორესპონდენტებისადმი ცოცხალ საყვდელურად არ გვევლინება ის ფაქტი, რომ აქამდე არ გაგვაჩნია ვალენტინა გაგანოვას — ჩვენი დროის ამ შესანიშნავი ადამიანის — კარგი პორტრეტი! არ მოვუვიწყრებოდა ნიკოლოზ მაგის, ალექსანდრე კოლჩაკის, იულია ვიკიროვას, ტატიანა პერევეშკოვა და სხვათა გამომსახველი ფოტოპორტრეტები.

ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული მრეწველობის მუშაკთა პორტრეტები სწორად შაბლონურია. თუ გადაღებულია მეფოლადი, იგი უსათუოდ ლურჯ სათვალეშია, მწველია — საწვილ მიქსინოზთან ან ხბოსთან ერთად (რასაკვირველია, ნაქონობ პოხაში), მშენებელი უთუოდ აგურს უნდა აწყობდეს, თუმიც ახლა, თითქმის, ყველგან სახლების მსხვილი ბლოკებით მშენებლობა მიმდინარეობს. გამომეშავდა განასაზღვრული შტამპები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში სდგენინ ფოტოკორესპონდენტებს. ახლა უკვე აღარ შეიძლება იხე გადაღება, როგორც ვიღებდით პირველ ხუთწლიანებში. ის, რაც მაშინ კარგი და სიახლე იყო, ახლა შაბლონურად გამოიყურება. ვიგატრუი ცვლილებები მოხდა ტექნიკაში, შრომის პირობებში და, რაც მთავარია, იფით ადამიანებში. მოხდა ვად ამისა, ფოტოკორესპონდენტები გილოვ განაგრძობენ ძველებურად გადაღებას. ვოლკის, სტალინზრადისა თა ბრატსკის პიდროლეტრო სადგურებზე აზღობურად მიმდინარეობს მშენებლობა, იგი სრულიად განსხვავდება დნიპროპეტროვის მშენებლობისაგან. ამიტომაც მათ ახლა სულ სხვაგვარად უნდა ვიღებდეთ. ჩვენში აღმართავენ გიგანტურ ბრძმეთებს, მარტენებს, მილსაგლინაიებს, დიდ ჩიმის საწარმოებს, ჭარხანა და სამჭრო-ავტომატებს — ისინი შეიწოლან პირმშონი არიან! ისინი ცოდნით უნდა გუჩვენოთ ხალხს.

პრესაში ქვეყნდება ჩვენი სოფლის მეურნეობის ამსახველი მრავალი ფოტოსურათი. მაგრამ ცოლი ის არის, რომ მათზე სწორად ტრაქტორისტები და კომბაინერები გამოსახულნი არიან ისეიგი, როგორც ოცდაათიან წლებში. მაშინ ასეთი სურათები სინამდვილეს ასახავდნენ, მაგრამ მას შემოიჯ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ამ დროის განმავლობაში შეიცვალა არა მარტო ტექნიკა, არამედ შრომის ხასიათიც, შეიცვალნენ


ვალნენ, გაიზარდნენ ადამიანები. ახლა ჩვენი პრესა და, პირველ ყოვლისა, გაზეთები ბეჭდავენ ნარკვევების სერიებს და სხვა მასალებს ჩვენი დროის გმირების შესახებ. გაზეთ „პრაქტის“ რედაქციის მოწოდებას მსურავალედ გამოემთავურნენ მწერლები და ჟურნალისტები. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ფოტოჟურნალისტებიც ჩაებან ამ საპასუხისმგებლო მიძრობაში და თაიანთი წვლილი შეიტანონ კომუნისმის მშენებლობის — ჩვენი დროის გმირების მართალი და ნათელი პორტრეტების შექმნის საქმეში.

ღღეს საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს უფრო ფართო ინტერესებით, ვიდრე ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ. სულ სხვაა ახლა საზოგადოებრიობის კულტურის დონეც: უმაღლესი და საშუალო ცოდნის ადამიანები ჩვენს ქვეყანაში გვყავან მუშათა შორის (ოცდაცხრამეტი პროცენტი) და კოლმეორნეებს შორისაც (ოცდახუთი პროცენტი). მარტო ესეც კი განასაზღვრავს იმ ახალს შრომაში, ყოფა-ცხოვრებასა და ადამიანთა დამოკიდებულებაში, რომელიც წარმოშვა შიდაწოდება. მაგრამ ფოტოჟურნალისტები, ზოგჯერ, ვერ ამჩნევენ და გვერდსაც კი უგვიანს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ



ჯიუტე თხები

ფოტო ვ. როსციკისა



კონკრეტის შემდეგ (დრიფორი უ. ზურაბე) ფოტო ს. ინანისკის

ახლის, კომუნისტურის გამოვლინებას. შეიძლება მისთვის უფრო ფართო განვითარება მიიპოვოს საზოგადოებრივმა საწყისებმა — საზოგადოებრივმა საკონსტრუქტორო ბიუროებმა საზოგადოებრივმა ლაბორატორიებმა, სახალხო თეატრებმა, კულტურის სახალხო უნივერსიტეტებმა, სახალხო მუსიკეებმა — ეს ყველაფერი ახალი საუკეთესო თემებია საბჭოთა ფოტოჟურნალისტიკისათვის! მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს გამოშვებული ფოტომაშინები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ შეიძლება სახალხო, არ გაგვიანია კომუნისტური შრომის ბრძოლისათვის და ქარხნების ამსახველი ფოტოსურათები. აი, მინანების, კომუნისტური შრომის დამკვირვებლის პორტრეტები. ფოტოსტატებმა და ფოტომაშინებმა ნათლად უნდა ახსნან ახალი დამაინის კულტურა, უმდიდრო მოწინავეს და, ამასთან, ახალით ჩამორჩენილები, წარსულის გადანაშთები, გაამართონ უკულტურობა. აი, მაგალითად, ჩვენში ახალი საქმეა სკოლის ცხოვრებასთან დაახლოება, ამ თემაზე კი ჯერ

ცხენბურთი ფოტო უ. კრიშკისა



ფოტომაშინები საიუბილეო ფოტოგამოფენიდან — საბჭოთა საქართველო სორბოცი წელია.

კიდევ ძალიან ცოტა სურათები გვაქვს. ესე იგი, საჭიროა უფრო ფართოდ გვიჩვენოს ხალხს სკოლის ცხოვრებას, განდა გავუწიოს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მიღწეულ წარმატებებს. ანდა, ვთქვათ, დღეს შუა აზიის რესპუბლიკებისათვის კვლავ აქტუალურად რჩება მამაკაცსა და ქალს შორის უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემა, ქალი-სადმი აქა-იქ შემორჩენილი ფეოდალური დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა, და აქ ფოტოსტატებისა და ახალგაზრდა ფოტოჟურნალისტების კეთილშობილური ვალია გვიჩვენონ საუკეთესო თჯახი, სადაც ქალს მამაკაცთან ერთად სპატიო ადგილი უკავია, შექმნან აღმოსავლეთის თავისუფალი, მშრომელი ქალის ღირსეული პორტრეტი.

ფოტოჟურნალისტები უნდა დაუფლონ მშენებლობის მასშტაბების ამსახველი პანორამების გადაღების ხელოვნებას, უნდა ისწავლონ მასის — კრიკების, დემონსტრაციების, მიტინგების ჩვენება. ამ მხრივ შეიძლება საუკეთესო მაგალითად დავასახელოთ ა. გარანინის ჭეშმარიტად მაღალმატერული პუბლიცისტური ნამუშევარი „მშენებლის სახელით“.

აუცილებლობად ვთვლი ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ კარგი ფოტოგრაფია მებრძოლი, პუბლიცისტური წარწერის გარეშე უზაჯერ სანახევროდ კარგავს თავის პროპაგანდისტულ ღირებებას. ყოველ სურათს უნდა ახლდეს თვით ფოტოჟურნალისტის მიერ დაწერილი ნათელი და წესტი ტექსტი. ფოტოჟურნალისტისათვის ცოტაა მარტო კარგი თვალი, იგი უნდა ფლობდეს სიტყვასაც — ცოცხალს, ნათელს, სახიფათოს. ამას კი ესპერტობა სწავლა, ლიტერატურული დაუფლება.

ძველი ბრძოლი ანდა გვერუბება: ასჯერ განაგონს ერთხელ ნანახი სჯობსო. სტატების ყველა არ კითხულობს, ილუსტრაციები კი ყოველს ხედავს. ეს კი ნიშნავს, რომ ფოტოჟურნალისტმა ნამუშევრებს ყოველდღიურად ათვალიერებს მილიონობით მკითხველი. ფოტოგრაფია ძლიერია თავისი უტყუარობით. ამიტომაც ახლა გაზეთებში სწორედ მას — დააწვან მხრებზე“ დიდი ტვირთი, ჩვენს დროში ფოტოჟურნალისტის როლი მდიდრ გაიზარდა. კარგი ფოტოჟურნალისტის როლი — ეს არის ფართო ხედვის, მოაზროვნე, იდეურად შეიარაღებული, ლიტერატურულად ჩანათლებული მებრძოლი ჟურნალისტი. ფოტოჟურნალისტი მომავლის მშენებელია. იგი მუდამ მოწინავე სახეზე, ცხოვრების წიაღში, ამიტომაც უფრო მეტს ხედავს, ვიდრე სხვა — რედაქციის კაბინეტის მუშაკი. იგი თავისი ხელოვნებით მხურვალედ უნდა უჭერდეს მხარს ყოველ ახალს, მოწინავეს და ამით უნდა იხილდეს თავისი მაღალი მოქალაქობრივსა და პატრიოტულ ვალს, როგორც მგზნებარე პროპაგანდისტი და კომუნისტისათვის მებრძოლი.

ყოველ თავის ნამუშევარს, ყოველ ახალ სურათს ფოტოჟურნალისტი უნდა აქსოვდეს მთელს სულსა და გულს, მთელ თავის პარტიულ მგზნებარებას, პატრიოტულ გრძობებს, ენერჯიას, გამოცდილობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი კომუნისტის მშენებლობის გმირული ეპოქის ჭეშმარიტი მებრძოლი და მემკვიდრე. ფოტოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო, ყველაზე ნათელი წარწერებები დღესვე ადვილად დაიკავებს 1961 წლის გამოცემაზე — „შეიძლება მოქმედებაში“, რომელსაც ჩვენი დიდი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის აწუხებენ ჟურნალისტთა კავშირი და სხვრ მინისტრთა საბჭო.



ნ. ანკომელია

სინო ჭავჭავაძის პორტრეტი

ნ ა ნ ი - ნ ა ნ ა ლ ა ი ა ვ - ნ ა ნ ა

ანა ლვინიაშვილი

(ფურცლები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან)



არმართული ხანის ხალხური ლექსებისა და სიმღერების რამდენიმე ნიმუში მკვიდრად არის შესული საბავშვო ფოლკლორში. ეს ნიმუშები თავისთავად შევა ქართული საბავშვო ლიტერატურის საკანძურში, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს წინაპრებს ისინი ბავშვებისათვის შეუქმნიათ. ასეთი ლექსებია: „მზე შინა და მზე გარეთა“, „შენ ხარ გენახი“¹, „ნანი-ნანა“, „იავ-ნანა“ და მრ. სხვ.

ნანი-ნანასა და იავნანს უპირავე ვარიანტი ვააჩნია, რაც ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ლექსების პირვანდელი ტექსტის დადგენა ძნელი ხდება. ხაზი გვიდა გავუსვათ ერთ გარემოებას: „ნანი-ნანა“-ს ზოგიერთ ვარიანტში სათაურად აქვს „იავ-ნანა“, მას ზოგჯერ რეფრენიც ახლავს: „იავ-ნანა, ვარლო-ნანა, იავ-ნანიანო“². მაგრამ შემთხვევითი ხასიათის სათაურისა და თანდაყოლილი რეფრენის გამო ამ ორ ლექსს სწორად აიგივებენ, რაც დაუშვებელია. „ნანი-ნანას“ და „იავ-ნანას“ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, ისინი სხვადასხვა ცერემონიისა და ლეკორატიულ გარემოში სრულდება და ერთმანეთში არევა შეუძლებელია³. „ნანი-ნანა“ აკვნის სიმღერაა; როცა ბავშვს აძინებენ, მაშინ ბავშვს ხოტბას ასხამენ „შიგა მწოლი ჩახატული, ნანა, ნანა ნანიანა“; თან აკვნის ლირსებასაც აღნიშნავენ, როგორც ბავშვის დამცველისას: „ეგ აკვანი ხარატური“ და სხვა; „იავ-ნანა“ კი სრულდება ბავშვის ინვექციური ავადმყოფობის დროს და შინაარსიც სხვა აქვს. აქ „ბატონები“ მოსვლას ეფერებიან, ხალიჩას უფენენ, ია-ვარლით ეგებებიან და თან მოწიწებით სთხოვენ „როგორც მშვიდობით მოზრძანდით, ეგრე მშვიდობით წაზრძანდითო“⁴. ამგვარად ეს ორი ლექსი თავისი მიზანდასახულობით, იდეური გამიზნებითა და შინაარსით სხვადასხვაა, შესრულებაც სხვადასხვა დროს ხდება; ერთ წლამდის ვიდრე ბავშვს აკვანში აძინებენ, ნანი-ნანა თითქმის ყოველდღე, რამდენჯერმე სრულდება, მეორე კი იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი რომელიმე სახალით არის ავად. ამიტომ, დასახელებული ორი ლექსი, შემთხვევით დასათაურებისა და ერთნაირი რეფრენისა გამო, ერთმანეთში არ უნდა აიურთოთ. ისიც აღვანიშნავთ, რომ ორივე ლექსი სიმღერით სრულდებოდა ბავშვებისათვის მხოლოდ ქალების მიერ, ასევე სრულდება დღესაც.

დასახელებულ ლექსებსაც თავისი ისტორია ვააჩნიათ. წარმართული ხანის ლექსებისა და სიმღერების გამოკვლევით, განსაკუთრებით, „იავ-ნანა“-თი დაინტერესებულნი არიან ისტორიკოსები, ფოლკლორისტიკები და მუსიკის-მცოდნეები. სანამ მათ აზრებს გაიტყობოლით, მოვიყვანო დასახელებული ლექსების რამდენიმე ვარიანტს.

ნანა-ნანიანა

იას გიკრედ, ვარლ გიკონამ, ნანა, ნანა ბატონო!
სასთუმალ ქვეშ ამოვიღებ, ნანა, ნანა გეთაყვა!
შენ თუ ტკბილ ძილს დამისრულებ, ნანა, ნანა ბატონო!

¹ აღნიშნული ლექსების შესახებ იხ. ჩვენი წერილები ჟურნალებში „საბჭოთა ხელისუფლება“ № 3, 1959 წ., „მნათობა“ № 1, 1960 წ.,
² პროდ. გრ. ჩხევიძის, გ. სენაძის და სხვების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქვთ ჩაწერილი „ნანი-ნანიანა“ და აველგან ამ სიმღერას „ნანა“ ეწოდება.

მე ტბილ ნანას მოგახსენებ, ნანა, ნანა გეთაყვა!
ჩონგოლო, ჩემო ჩონგოლო, ნანა, ნანა ბატონო!
გათლოო წმინდის ხისაო, ნანა, ნანა გეთაყვა!
ბაბუა ჩემის ხნისაო, ნანა, ნანა ბატონო!
ეს აკვანი ღვინაო, ნანა, ნანა გეთაყვა!
შიგა მწოლი ანგელოზო, ნანა, ნანა ბატონო!
ეგ აკვანი ხარატური, ნანა, ნანა გეთაყვა!
შინა მწოლი ჩახატული, ნანა, ნანა ბატონო!
ეგ აკვანი ბეღლისაო, ნანა, ნანა გეთაყვა!
შიგა მწოლი ბოლისაო, ნანა, ნანა ბატონო!
(ქსენია სიხარულძის ჩაწერალი)

მშობლები ნანიანა

შიში ნანა, უა ნანა,
შიში ნანა, ნანა,
ღვეღ მოვა ჩქარა,
დაიძინე წუნარად;
გადივძე, სანამ
დაბრუნდება მამა.
შიში ნანა, უა ნანა,
შიში ნანა, ნანა.

მეუღრობა ისე
გვეუფლებო ხელად,
რომ მეუფე ტყისა
ველონა ყველს.
წყალს მიკვებო ხები,
შორს ზოხობეც მიპქრის...
შიში ნანა, უა ნანა,
შიში ნანა, ნანა.

(აფხაზური ხალხური პოეზია)

იავ-ნანა

იავ-ნანა, ვარლო-ნანა
იავ-ნანიანო,
აქ ბატონები მოზრძანდენ,
იავ-ნანიანო,
ბატონებო მზიარლონო,
იავ-ნანიანო,
თქვენსა გზას ია-ვარლო,
იავ-ნანიანო,
ქვეშ გულში ხალჩასა,
იავ-ნანიანო,
თქვენ წაზრძანდით, ჩვენ დაგეტოვეო,
იავ-ნანიანო,
თქვენი გზა დაილოცება,
იავ-ნანიანო,
(გრ. ჩხევიძის ჩაწერალი)

იავ-ნანა

იავ ნანა, ვარლო ნანა, იავ ნანიანო,
აქ ბატონები მოზრძანდენ, ვარლო ნანიანო,
მოზრძანდენ და გვეჯობარს, იავ ნანიანო,

ბატონების მიმდისა იავ ნანინაო,
 ქვეშ ვაუშლით ხალჩასა, ვარლო ნანინაო,
 იმასაც არ დავაგერებთ, იავ ნანინაო,
 ზედ ვაუღუენთ ორხოსაც, ვარლო ნანინაო,
 აქ ბატონების დიდასა, იავ ნანინაო,
 უღვია ოქონს აჯვანი, ვარლო ნანინაო,
 შიგ უწყუენ ბატონიშვილი იავ ნანინაო,
 უსხიათ ოქონს ქოჩორი, ვარლო ნანინაო,
 აღლასის სპანი ჰჰურავს, იავ ნანინაო,
 ზარაბათისა არტაბენი, ვარლო ნანინაო,
 შივის პერანგი უციკით, იავ ნანინაო,
 მივარე გრჯხილათ უღლიათ, ვარლო ნანინაო,
 ვარსკლავი ილიდ უბით, იავ ნანინაო
 ლალის ჩანჩხრა უბით, ვარლო ნანინაო,
 ვადაპკურე, ვადაპკურე, იავ ნანინაო,
 ამლო ბრძანებენ ნანასა: ვარლო ნანინაო,
 — შვილი ბატონი და-ძაშინი, იავ ნანინაო,
 შვილი სოფელს მოუფინებო, ვარლო ნანინაო,
 შვიდგანვე დაეკით კარგი, იავ ნანინაო,
 შვიდგანვე მოვილიხნებო, ვარლო ნანინაო,
 იღუნდის მარანშია, იავ ნანინაო,
 დივი სდგას და ლლი სჭევიყო, ვარლო ნანინაო,
 შიგ ადღის ხე ამოსულა, იავ ნანინაო,
 ტრებეი აქვს ნარჯუზის, ვარლო ნანინაო,
 ზედ ბულბული შემომეცარა იავ ნანინაო
 შვარდნი ფრთასა შოლოს, ვარლო ნანინაო,
 ის ვკრიფე, ვარლი ეშალა, იავ ნანინაო,
 წინ ბატონებს ვაუშლი, ვარლო ნანინაო.

(პ. უმიკაშვილის ჩაწერით)

მკითხველი ისედაც მიხვდება, რომ ჩვენს მიერ წარ-
 მდგენილი ყველაზე გაგრძელებული გარიანტები ჩვენამ-
 დის იმ სახით არ არის მოსული, როგორც წარმართულ ხა-
 ნაში თავდაპირველად დაიწერა. ეს ლექსები ნირშეცვლი-
 ლია. აქ საუკუნეთა მანძილზე მომხდარია სავარძნობი
 ცვლილებები. ზოგი სტრიქონი, ალბათ, შეიცვალა სხვა
 სტრიქონებით, უფრო გატირებული, ჩამატა იმ იდეის გამო-
 ხატველი სტრიქონები, რაც იმეამად სასურველი და მისა-
 ლენი იყო, ამ ძალზედ გამოიხატა ხოტბა ბავშვისა, ან
 მოუღებდა ბატონებისა, რათა ერთ შემთხვევაში ტკბილად
 დასძინებოდა ბავშვს, მეორე შემთხვევაში ავადმყოფობა
 ადვილად მოეხდა. ტექსტიც სრულად არ იმღერებოდა.
 მოწოდრალს გამოყენებული ჰქონდა რამდენიმე სტრიქონი.

* * *

გაეცნეთ „ნანი-ნანა“-ზე არსებულ ლიტერატურას.
 აკვინის სიმღერაზე ცნობა იოანე ბატონიშვილს შემოუ-
 ნახავს: „ნანინა არს ყრბათა დასაძინებელი სიმღერა. გვარი
 მოკლე ლექსების სახით, რვათა ხმოვანთა მიერ შემდგარი,
 და ცხრისა უხმო ასოთი, ესრეთ, ვითარცა აქა ჩანს, ხოლო
 ყოველთვის „ბატონი“ მოვა

ნანინა ნანა ბატონსა, ეძინება ბატონსა

ეგრეთვე არის ესკვარადაც თქმული:

იავ ნანა, ვარლო ნანა, იავ ნანინაო,
 იას ვარლი რით სჯობია, იავ ნანინაო,
 რით უფრო შვენიერია, იავ ნანინაო!
 სილამაზით ყაყაზის სჯობს, იავ ნანინაო,
 ყანა დაუშვეენება, იავ ნანინაო!

და ესრეთ უშორეს, ესეც გვარი არს სიმღერის ძეობისა.
 იოანე ბატონიშვილის მიერ მოტანილი ლექსი, ცხადია,
 უპირავე გარიანტიდან ერთ-ერთითა, ისიც უფრო ჩვეთან
 მოახლოებული საუკუნეებისა.

ი. ბატონიშვილის დასკვნის უკანასკნელი სტრიქონე-
 ბიდან ჩვენმა ზოგმა ფოლკლორისტიკმა ის დასკვნა გამოი-
 ტანა, თითქოს ბავშვის დასაძინებელ აკვინის სიმღერას ზოგ-
 ჯერ საძებობი რეპერტუარშიც იყენებდნენ. ამის დასაბუ-
 თება, ვფიქრობთ, საძნელია, ვინაიდან ი. ბატონიშვილს-

თქმა „და ესრეთ უშორეს, ესეც გვარი არს სიმღერის ძეო-
 ბისა“ შეიძლება ასედაც აღვსინათ, რომ ავტორი „ნანინაში“
 სთვლის ისევე უშორეს დედასა, როგორც არის „შუბში“
 „შუბ შინა“. მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არც
 აქვს. ჩვენ საკუთრივად უფრო მეორე ადგილი მივკვანია,
 ეს არის ბატონიშვილის მიერ ნათქვამი „ხოლო ყოველთვის
 „ბატონი“ მოვაო. მაშასადამე მოტანილი ლექსი რეზერვად
 აქვს „ნანინა, ნანა ბატონსა, ეძინება ბატონსა“ (როგორც
 ვხვებით ეს. სიხარულითის ჩაწერული ტექსტში). აქ არა
 გვევლინა ი. ბატონიშვილი ინფექციურ „ბატონებზე“ მი-
 ვითითებდეს, ამაზე თვით ტექსტის შინაარსიც არაფერს
 ვგეუებუნება. გასასწავლებელი ის გარემოება, რომ ჩვენი წი-
 ნარეების შეხედულებით ოჯახში ყველაზე დიდ პიროვნე-
 ბად, თითქმის ბატონს, ბავშვი იყო მიჩნეული. ამის ანა-
 რეკლია მთავი დღემდე შერჩეული ადითი: ბავშვის ოთახ-
 ში შესვლისას დიდ-ბატარა ყველა ფეხზე დგება. ადვილი
 შესაძლებელია ი. ბატონიშვილის თქმა „ნანა, ნანა ბატონ-
 სსა, ეძინება ბატონსა“ ნაველისხმევა ჯანსაღი ბავშვი, ის
 არის ბატონი, მას ეძინება და არა ბატონებით ავადმყოფ
 ბავშვს.

აკვინის ლექსსა და მის ჰანჯე არსოვლად დაუკარგავს თა-
 ვისი პირადადლი მნიშვნელობა. მას ყოველთვის ბავშვის
 დასაძინებლად, მის დასაცავად მღეროდნენ. ამ ლექსსა და
 მის ჰანჯე თავისი სოციალური აზრი, შინაარსი და მიზან-
 დასახულობა ჰქონდა. წარმართული ხანის ჩვენი წინაპრე-
 ბის რწმუნით, ახლადბადებულ ბავშვს თითქოს ავი სული
 დასტრიალებდა თავს. ამის გამო აკვანს ჩამოკლებდნენ
 სხვადასხვა ამულეტებს: ჩაყარდნენ რა ბავშვის სუფთად
 მორთულ აკვანში, მას ვითომდა ავი სულისაგან ამულეტი
 იცავდა და ის სიმღერა, რომელიც შექმნის მისი დამძიმ-
 დებელი ძილისათვის.

აკვინის ლექსი მხოლოდ და მხოლოდ ამჟობს ბავშვს:
 ხან მიზღვრის ნაშ ის ადარებს, ხან სურნელოვან ვარსს,³
 ამავე დროს აღნიშნავს აკვინის თვისებას, რომელიც იცავს,
 ზრდის და ტკბილად აძინებს ბავშვს:

ეს აკვინი ლეზანოზო,
 შიგა შწოლი ანგულობო;
 ეს აკვინი ხარატური,
 შიგა შწოლი ჩახატული;
 ევ აკვინი ზელოლოსო,
 შიგა შწოლი ბროლოლოსო.

ან კლდე:

ნანა ნანა ნანინა
 ტკბილი ძილთ დაიძინე,
 გულ ნათლი დაიფინე,
 გულ ნათლი ექლი ხისა
 შიგ ხარ მასქლავ ცისკრისა.
 თვალის სინალოდ ღელისა,
 მერმე სუ ამა ქვეყნისა.
 ენა მამე მგალობლსა,
 რომ მამა ვიხობა, ქვებისა.

(დ. არაყიშვილის ჩაწერით)

აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ ბავშვის დამძიმ-
 ნებელს მგალობლის ეცა მხოლოდ იმიტომ სტიმულოვან,
 რომ ბავშვი შეამკოს, შეაქოს, ნანინას სიმღერაში ტკბილად
 დააძინოს.

„ნანინა“, ისე როგორც საერთოდ ხალხური პოეზიის
 სხვა ნიმუშები, იცვლება, ახალ იდეებსა და შინაარსს
 ითვისებს. ეს ქვემოთ ნაჩვენები ლექსითაც დასტურდება

³ აკვინის ლექსში ნახმარ იასა და ვარდს არავითარი სავითო არა
 აქვს. რაზიკაშვილის მიერ კახეთში ჩაწერილ ზღაპრათათ: „ამ რა
 უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა“, რომელიც რაღაც შექანი-
 ტურად არის, დაკავშირებული ქვესტყლის ადგილიდან. ფაქტობრივად
 იასა და ვარდს ზღაპრის შინაარსთანაც არავითარი ორგანული კავ-
 შირი არა აქვს.



იავ ნანა, ვარლო ნანა,
 იავ ნანინაო
 დაიძინე გენაცვალუ
 შოთას აზრისაო.
 იავნანა, ვარლო ნანა
 იავნანინაო
 შოთა იყო ბრძენი კაცი,
 დიდი აზრისაო.
 იავნანა, ვარლო ნანა
 იავნანინაო
 მან დაწერა დიდი წიგნი
 დიდი აზრისაო.
 იავნანა, ვარლო ნანა
 იავნანინაო
 შიგ სიტყვები ჩაასკოვა
 ოტრის წყნლისაო
 (გ. ბარული ჩაწერილი)

ყველასათვის ცნობილია, რომ „ნანინა“-ს უძველესმა ლექსმა მაღლიანი ზემოქმედება მოახდინა ჩვენს პოეტებზე. თვითღულმა ეპოქამ ეპოქის სულისკვეთების აკვნის ლექსი შექმნა. მიწიწივე პოეტები ხშირად მიმართავდნენ ახალგაზრდობას და მიუწოდებდნენ სამშობლოსა და მშრომელი ხალხის სამსახურისათვის. ბავშვის გამზრდელზეც ამ ლექსებს იყენებდნენ და აკვნის ძველ ტექსტს უცვლელად ახალი ცვლიდნენ.

გავისხეთ ილ. ჭავჭავაძის „ნანა“:
 ჩემის მამულისათვის
 მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
 მისი სიყვარულისათვის
 გავწირავ და ვაბრძოლებ.
 მას დედის ძუძუ ტბილი
 შხამადაც შერგებია,
 მამულისათვის სიკვდილი
 ვისაც დახარებია.
 მამ რაღამ შეგაშინა
 ნანა, შეილო ნანინა!

ან კიდევ აკ. წერეთლის „იავ-ნანა“, რომელიც თითქმის ხალხურ ლექსად არის გადატყვეული.

იავ-ნანა, ვარლო-ნანა, იავ-ნანინაო!
 გაფხვრულ ახალ-ნორჩო, შენ ბაწაწინაო!
 მებრე ტბილად, უღარღულად რამ დაგაძინაო?
 დედის მებრღში მიგაგინა შენ ტბილი ბინაო!
 დაიძინე, იავ-ნანა, ვარლო-ნანინაო!

—
 დაიძინე გენაცვალის შენი შობილიო,
 ძუძუზეში ჩაგვილა ბაწაწი ხელო.
 შენს ვეყავიკობას მომაწერებს მე ლთისმშობელიო.
 აკვალდეს სხვისა მონობა დამამობელიო!
 თავისუფლების სხივები გულს მოგაგინაო?
 იავ-ნანა, ვარლო-ნანა იავ-ნანინაო! და სხვ.

ასეთივე ხასიათისაა ვეკა-შეშველას, რ. ერისთავის, ირ. ეგლიშვილის, შ. შვიციშვილის, ი. დავითაშვილის და სხვა პოეტების აკვნის სასიძღვრო ლექსები, შექმნილი ძველი „ნანინა“-ს მოტივზე.

* * *

რაც შეეხება „იავ-ნანა“-ს, ბავშვის ინფექციური ავადმყოფობის შესასრულებელად შექმნილი სიმღერის, მას საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ჩვენი მკვლევარების დაკვირვებით „იავ-ნანა“ თავდაპირველად მიძღვნილი ყოფილა კერძი „აინანასადმი“, რომლის აღმართავს მცხეთის „ნუზასა ზედა“ მიაწერენ მჩველ საურმაგს! (კერპუბეზე აი ნანა და დანანაზე). ორ კერძს შორის—

„აინანას“ და „დანანას“-ს შორის „აინანა“ ქალღმერთად არის მიჩნეული. ამის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. მიქელაძე საკუთარი წერილობით წერდა: „აინანა“-სანიშნავია, რომ ხსენებული სუპერული ქალღმერთი, რომლის სახელის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა (აინანა, იინანა, ნანა), მიჩნეული იყო დედა-ღმერთად. დედა-ღმერთის კულტი, როგორც ანტიკურში წყაროებიდან ირკვევა, ქართველ ტომებშიც იყო გავრცელებული. იქნებ ქართველი წარმართი მღვდლების მიერ აღმართული აინანა და დანანა, ან ერთერთი მათგანი ასეთ დედადღვთებას წარმოადგენდა. ამდენად იქნებ შეუძლებელი არ არის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სიტყვა „დედა“-ს შესატყვისი „ნანა“ და „ნენა“ ხსენებულ დედადღვთებათა სახელების განზოგადების შედეგად იყოს“.

ხოლო ვ. ბარდაყვანიძე შენიშნავს: „... მეტად მდიდარი და ნაირნაირი შესაწირავები, მათ შორის შესაწირავი ცხოველები და ფრინველები ქართველი ხალხის უდიდესი ღვთაებად დიდი დედის ნანას კულტის გადამრამთვებში მოწოდება. ლექსმა ნანას, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, სახალის გაჩენა და სახალისსაგან დაცვა მიეწერებოდა. და ვინაიდან სახალი (ყვავილი, წიფელი) საუკუნოების მანძილზე ხალხისათვის საიდუმლო, გაუგებარი, უცურ-ნებელი და თავზარდამცემი სნეულება იყო, რომლის ემი-დემიური გავრცელება მოსახლეობას მუსრას ავლენდა. ნანას კულტი და „ბატონების“ სახელწოდებით ნანას შეილება წარმოდგენილი იყო სახალის კულტიც ამ სნეულებასთან დაკავშირებით შემოიღებინა“.

თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის გამოკვლევაში საკმაო ადგილი დაუთმო „იავ-ნანას“-ს და საკულისხმო აზრი გამოთქვა. მკაცრად არის ხელი ჰქონია თვლი რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ქვემოთ მოტანილი ტექსტით:

დილით მზე ამოსულიყო,
 ბარბარე გამოსულიყო,
 ეხრა დიბის საბანი ჯ,
 შიგ ეწეა ბატონიშვილი,
 ბატონიშვილი ლევანი,
 მარგალიტის მტევანი,
 ზედ ეცვა მისი პერანგი,
 ვაზნაოლის ახლოხი,
 შივარე გრხილად მოველო,
 მისკლავი დილად ეგერა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წარმოდგენილ ვარიანტს დაწვრილებით განიხილავს და ასკვნის: „შესაყვარებელი იავ-ნანის ერთ ნაწყვეტში (სწორედ ეს ნაწყვეტი მოვიტანეთ ჩვენც ა. დ.), როგორც დავრწმუნდით, ყვევილ ბატონების დედის სახელად ბარბარე ანიშნული. ეს რთულბეტი შემთხვევითი და უაზროდ, მექანიკურად ჩართული ცნობა არ არის, იქედგანაც ჩანს, რომ ყვევლით და სხვა გადამღები სნეულებით დაავადებულთა მშვიდობიანად განკურნების შემდეგ ძველად მშობლებს განსაკუთრებულად აღაზრნილი შვილები ტფილისის მახლობლად აღმოსავლეთით მდებარე „ქმ. ბარბარეს ეკლესიაში“ მიჰყავდნენ ხოლმე მორაჭობის ბედნიერად მოხდინების მალოზებისა და მსხვერპლის შესაწირავად. თანაც ამ მოციკვლებს იქ წითელი ტანისამოსი უნდა სცმოდათ და მხოლოდ აღთქმის ასრულებისა და შესაწირავის მოძღვრის შემდეგ უძეძლოთ მათ წითელი ტანისამოსი გაეხადათ. ამ ჩვეულებიდანაც ჩანს, რომ ხალხური რწმენითაც ყვევილ-ბატონებს“ ბარბარეს სახელთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ, მაგრამ რაკი ბარბარეს სახელი ხალხს შეეძლო მხოლოდ ქრისტიანობასთან ერთად შეეთვისებინა, თვით მოარაღის „ბატონების“ რწმენა—აი, რა თქმა უნდა, წარამართულია, ამიტომ ცხადია, რომ ამ „ბატონების“

4 * აქ აკლია ერთი სტრიქონი:
 „უღვიო ოქროს აკვანი“, ა. ლ.



დღის სახელი ბ ა რ ა რ ე უნდა ძველი წარმართული სახელის დამახინჯებას წარმოადგენდეს; იმ ძველ სახელს რამეშ მოკრული ბგერითი მსგავსება მინც უნდა ჰქონოდა ბარბარესთან, რომ ნამდვილი დაპყრობით და და ქრისტიანული სახელი შეგანსვლინებინათ.

შესაძლებელია წარმართული სახელი სწორედ ლაბარტუს-ს მავგარი (ბაბილონთა წარმოდგენით ბიროტი გენის ყველაზე ავად და მკვნიდ მდებარებითი სქემის არსებობა ლ ა ბ ა რ ტ უ იყო ცნობილი) იყო და შემდგომ რეგრესიულ სპირიტუალის გზით ჯერ ბ ა რ ა რ ე უ-დ, ხოლო შემდეგ ბიბლიაში ბ ა რ ა რ ე იცა.

„ამბარადვე ცხადია. — ბატონიშვილი ლევანი“-ს სახელიც, ვითარცა ქრისტიანული, ძველი წარმართული სახელის უკვე დამახინჯებულს ანარქიზმს უნდა წარმოადგენდეს. თუ აქაც ვიგულისხმებთ, რომ დამახინჯება მინც ბგერის მსგავსებასთანაც უნდა იყოს დაპყრობითული, შესაძლებელია გვეფიქროს, წინათ ხომ მღვეინი არ ერქვა ამ ბატონიშვილს? ს. ორბელიანს „მღვეინი“-ს მნიშვნელობა იერიემის 51/9-ის დამოწმებით, ასე აქვს განმარტებული: „ესე არს, რომელსა გულისაგება მიელს ზეგარდომ მუწევისსა აწვე, გინა მეფეთაგან გულისაგე ქმნილიყოს“-ო. დამოწმებულ ადგილას-კი ნათქვამია: „არა არს ესე მღვეინი ნაწილი იაკობისს, რამეთუ რომელიც დაბადება ყოველინი იგი არს წული მისსა და ისრაელ საყუძრისს მკვიდრობისს მისისა“. დაბადების არც ერთის სხვა თარგმანში მღვეინსა სუსტაყვისი სიტყვა არ მოიპოვება, არამედ მარტივად ნათქვამია: ესე ნაწილი იაკობისა“.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანო ფოლკლორის ძეგლ. ვიკრასიას ერთ-ერთი წერილის საინტერესო ადგილს. ეფთორი აღნიშნავს: „ჩვენ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი: „იავ-ნანას“ ტექსტები გვაფიქრებინებს „ბატონების“ სადაბედაო ჰიმნის ორგვარი სახით არსებობას. ერთია ტარადიციული „იავ-ნანა“, რომელიც ბატონების ღღ-მამას, მამიდას და შვილ და-ძმას ბატონიშვილის შესახებ მუხა-ღიდებას, მათ მოსვლასა და დახვედრის რიტუალს აკვიწებს, ხოლო მეორე, როგორც ამას ქართული წყაროებში „ბატონების საკალომელთა“, რომელიც ლაბარტუსადმი ან ბატონიშვილის მიმართულ უშუალო ლოცვა-ვედრებას წარმოადგენს:

თველ ბარბარე, ბარბარე, თველ, ბარბარეო,
შენ კეთილად გვიბღინე ჩვენს ბატარა ავადმოდოსო,
თქვენსა გზასა, თქვენსა კვალსა, შაქარ-შარბათი დეწია,
თქვენსა გზასა, თქვენსა კვალსა ია და ვარდი ფენია,
უხსნიეთ, უშეღავათეთ ჩვენს ბატარა ავადმოდოსსა,
თქვენც იხარეთ, ჩვენც გვახარეთ, ავრემც თქვენ გზას
უხარია.

ჩვენ შორს წავიყვანს მოვიტანით ყველა ის ლექსი, სადაც ნახსენებია სახელი „ბარბარე“, რათა აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება დამტკიცებულ იქნეს, ან კიდევ დაბეჯითებით ვთქვათ, თითქმის მართლაც ბატონების სადი-ღებელი ჰიმნი ორგვარი სახისა არსებობს. საბოლოოდ ამის გამორკვევა უფრო ფოლკლორისტიკის საქეა. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ვარემოებებს, რომ ზოგიერთ ტექსტში მითითებული სახელები: ლევანი, თველ და სხვა მისთანანი, აქ ნაკულისსხვეი ხომ არ არის რომელიმე მეფისწულის კონკრეტული სახელები (თუნდაც ერთეულ მეფის შიღოები) და ამიტომ ჩვენს მიერ მოტანილი ტექსტები იმპორტუნაციას ხომ არ წარმოადგენენ და მათი შექმნა უფრო უახლოეს საუკუნეებს ხომ არ ეკუთვნის? ამას გვაფიქრებინებს თვით ლექსების შინაარსი, ლექსების აღნაგობა, რომლებსაც, ვარდა ზოგიერთი სტრიქონისა, ტრადიციულ „იავ-ნანა“-სთან არაფერი სავით არა აქვს. დამატებით საინტერესოა მუსიკისკომლენთა აზრი „იავ-ნანას“-ს შესახებ.

პროფ. ვრ. ჩხიკვაძე ასახელებს რა ქართული ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურის ნიმუშებს, აღნიშნავს: „...შემდეგ მაკალითებად მოვიყვანო ეგრეთ წოდებულ

„განმკურნებელ სიმღერებს“, რომელთაც უმღერიან ინფანტილი ავადმყოფობით დაავადებულ (წითელა, ყვავილი, ქუთურთა და სხვ.) ბავშვებს, ასეთებია „იავ ნანა“ (ან „იავ ნანა“), „სამიღობა“, ანუ „ბატონები“, ან „ბატონების ნანანა“.

„ამ სიმღერებს თავისი გარკვეული ფუნქცია ახასიათებს. მათ დანიშნულებას წარმოადგენს მითიური ანგებათა, ანუ ზურაგებათა, წარსულში, ხოლო შემდგომ, ქრისტიანული წარმოდგენების ან ანგელოზთა გულის მომშობიერება, მათ წინაშე მუდომოდრეკა, თავისი შეწყალება, რათა მათი ავადმყოფი განიკურნოს. ხალხის რწმენით ბავშვის ინფანტილი ავადმყოფობით დაავადება გამოწვეულია „ბატონების“, ე. ი. ზურაგებათა ანდა ოჯახის, ანუ „ფუჭის ანგელოზის“ (როგორც ხალხი უწოდებს) განრისხებით ანა თუ იმ ოჯახზე, რომელმაც თითქოს თავისდაუნებურად მომღერლა იგი.

„თვით სახელწოდებანიც მჭიდრო კავშირშია სიმღერის დანიშნულებასთან. მაგალითად, სიმღერა „ბატონებო“ აღნიშნავს მიმართვას ბატონებისადმი; სიმღერა „საბოდიშო“ დაკავშირებულია ბოდიშის მოხდასთან განრისხებულ „ბატონების“ თუ ანგელოზების წინაშე, ხოლო რაც ემთხება „იავ-ნანას“, ეს სახელწოდება გამოწვეულია იმით, რომ „ფუჭის ანგელოზის“ და „ბატონების“, სიმღერა-გართობის გარდა, უწყართ ვარდ-ყვავილები, რის გამო ავადმყოფის ოთახი შეშუქულია ყვავილებითა და ვარდებითა სიმღერაც ასე იწყება — იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანანი“, რომელიც ხშირად შუა ტექსტში ან სტრიქონების დაბოლოებებში გვხვდება.

„იავ ნანა“-ს უმეტესად ამოსავლეთ საქართველოში — ქართლსა და კახეთში ასრულებენ, თუმცა რაჭაშიაც გვხვდებით, ხოლო „ბატონებო“-სა, და „სამიღობა“-ს მღერის მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, იმერეთსა და გურიაში.

მუსიკალური შინაარსით „იავ ნანა“ და „ბატონებო“ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ტექსტურადაც. მიუხედავად მათი სხვადასხვა სახელწოდებისა, ერთი და იგივე შინაარსისა და დანიშნულებისანი არიან“.

მკითხველს რომ წარმოდგენა იქონიოს „ბატონებო“-ს ტექსტზე, მოვიტანთ მასაც.

ბატონებო, მოუოხეთ,
მოუოხეთ, ბატონებო,
ღამაზ ბატონებო,
ია და ვარდი ფენია.

თეთრი ტანისამოსები
შობამანდილანი ბიჭები,
ღამაზ ბატონებო
ია და ვარდი ფენია.

ბატონებს ეხვეწებიან,
ეხვეწებიან ბატონებს,
მეშურებოდ იას და ვარდს
და ღვინობა წმინდა ბაშას.

თეთრი ცხარის და თხის ჯოჯო
შობის, თიკანა იტუნა,
გაუხარდა ბატონებსა,
და უცხად პირი იბღუნა.

(გრ. ჩხიკვაძის ჩაწერილი)

რადგან ავტორს „იავ ნანა“ და „ბატონებო“ ერთი და იგივე შინაარსისა და დანიშნულებისა ჰგონია, ასეთ დასკვნას უტყობს:

„ამგვარად, ორივე ტექსტს წარმოადგენს მიმართვას ზურაგებისადმი „ბატონებო“-ს სახით, რომელსაც იასა და ვარდს უფუნც მათი გულის მოსალაგობად.

ეს ზურაგებანი, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის განსახიერებად ითვლებიან, ხალხს კეთილსულებად მი-



ანჩია, რადგან ისინი განკურნების შემძლეიც არიან. ამიტომ არის, რომ ავადმყოფობის გამოწვევ მიუხედავ ხალხს მათთან უკუერთი, წილდაუბრავი საცქიველი ძიარჩია და ცდილობენ, არამც თუ დარეი არ შეაჩვენებინ, არამედ სიძღვრა-დაკვრამი და ცქეკა-თამაშში გაატარონ დრო".

ამის შემდეგ უკანასკნელად მოვიტანო არც. შ. ასლანიშვილის აზრსაც. პრფ. შ. ასლანიშვილი არაკვესს "იავნანა"-ს მხოლოდ ძელოდიას და მის ადგილს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში. მკვლევარს "იავნანა" ძიარჩია გადაძღვრე სნეულებათა განკურნების საგალობლად აღიზარებს იმ დებულებას, რომ "იავნანა" თავდაპირველად წარმართული ღვთება ნანას საღიღებელი ან საველელები სიმღერა იყო. ხოლო მისი მულოდის პირველი მუსიკალური ფორმა აღნაგობის მხრივ თითქოს "ლამარის სიმღერა" უნდა ყოფილიყო. ამის მიხედვით ასკენის:

"...განვითარებას განიცდის სიტყვიერი ტექსტის წინაშე. ტექსტი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ლამარის ტანსაცმის, შეივსება სხვა ჯანრისათვის განკუთვნილი ტანსაცმის: შრომის სიმღერის, იავ ნანაში, საბავშვო სახელო და სხვა სიმღერებით".

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს სხვადასხვა დარგის მეცნიერებაში "იავნანას"-ს გარემო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვევებული. ეს სრულიად არ გვაკურთხის, პირიქით, ეს გარეობა იმაზე მივითვით, რომ ხალხური სიტყვიერების ვარიანტების ინტერპრეტაცია მრავალგვარად შეიძლება და რომ იგი დღემდე ვერ იტანს. ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიძღვნილი აღნიშნული. იავნანა". ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ იგი ჩვენს ხალხს განკუთვნილი ბავშვებისათვის და მისთვის შექმნა. ჩვენ თუ შევჩერდით ჩვენს მეცნიერების სხვადასხვა შეხედულებებზე, მხოლოდ იმის გამო, რომ ნათელკვეთი "იავნანა"-ს წარმართობის ხანის წარმომავლობა, რასაც ყველა მკვლევარი ადასტურებს, და დავედასტურებინა ის, რომ იგი სრულდებოდა ბავშვების ინფექციური დაავადების დროს. ამ ფაქტს ვერაფერი შეცვლის, რაც უნდა ასობით სხვა ვარიანტი აღმოჩნდეს, რაც კვლავ იმის დამადასტურებელი იქნება, თუ რაოდენ ცვალებადობას განიცდის ხალხური სიტყვიერების ტექსტები. ამიტომ დავუბრუნდეთ "იავ ნანას"-ს უშუალოდ და პირდაპირ აღნიშნულებას, მისი შესრულების იმ ცერემონიალს, რომელიც ხალხურ მთავრალურ სანახაობას წააგავს.



ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ გადაძღვრე ავადმყოფობანი: ყვავილი, წითლა, ქუთრთუშა და სხვა, ჩვენს წინაპრებს სულგბად მიჩნდათ, რომ ისინი, მათი წარმოდგენით, ადამიანების მსგავსნი არიან. ეს სულეები, ადამიანების მსგავსად, აღვიღებარეობასაც იცვლიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სულეებს ადგილად შეუძლიათ გადალახონ როგორც მისი მწვერვალები, ისე უღებები. გადაძღვრე სნეულებას უწოდებენ "ბატონებს", რომლებიც თუ რომელიმე ოჯახში შევლენ და ბავშვებს შეეყრებიან, მათ მასხინდობი განსაკუთრებული ცერემონიით უნდა შეხედნენ. სწორედ ამ ცერემონიაში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს "იავნანა"-ს სიმღერას. "ბატონებმა" მოსვლად მშვიდობით იციან და წასვლაც, თუ მათ ბავშვის ბატონები განსაკუთრებით მოეფერებიან და მოულოდნელია. "ბატონებს" უყვართ სიმღერა, წითელი ფერით მორთვა ოთახისა, სადა

ავადმყოფი ბავშვი წევს, უყვართ მასხინდობის მოზიდვა შვებით დახვედრა. "ბატონები" არაიენ უნდა გაუკავროს, ოთახში მოღუშული, მოწყენილი არაიენ უნდა იყოს, არც უნდა იწუწუროს, საერთოდ ყველა მხიარულ გუნებაზე უნდა იყოს. ამ სხადასხვა მოზიდვების ნიშნები აქვს. რა გარემო იქნება მათ დასახვედრად, ამას ცხოვრულ გვიწოდებენ ასისტანტს ერისხეშარია თავის მოთხრობაში "ბატონებმა არ დაიწუნეს".

"...სახლში წითელასაგან შეღონებული ნუში გავგენდული იწვა. ჩაქარხლებული თვალები გაშტერებით მიეჩერებინა ერთის ადგილისათვის. სახეზედ წითელი ლაქები გადაპკროდა, ჩაფიცვებულ, ჩაშავებულ ტუჩებს მალმალ ანძრევდა, თითქოს რადსიც თქმა უნდაო, მაგრამ გამგონე არასით იყო... ავადმყოფ ბავშვებს თავით უღვათ წითელსურფა გადავარებული სკამი, მასზედ ელაგებ პაწუწა პურები, შაქრები, სხვადასხვა ნაჭრები, დღეოვლები, ბაირაღები. ეს განხლათ ბატონებისათვის გაშლილი სურფა (ამას უნდა დავამტარო წითელი ნაჭრების ჩამოფარება, წითელი შუქის დასაყენებლად, რაც მიღებულია, ა. დ.) მელანა დაბალი ხმით იავნანას ეუბნებოდა შედეგად:

იავ-ნანა, ვარღ-ნანა, იავ-ნანინაო!
ბატონებო, მწვერვლებო, იავ-ნანინაო!
აის ცკრეფ, ვარღა ვცინვა, იავ-ნანინაო!
ჩემს ბავშვებს უშეღავათო, იავ-ნანინაო!

ბატონებო, აგრემც თქვენს გზასა და კვალს უხარიათ, უშეღავათო ჩემს პაწი ილასა, ფფფასა და დაროს, ნუგეშს ნუ მოაკლებთ!"

ასე გაუწყო მელანომ სურფა, მღეროდა და თან ევედრებოდა ბატონებს ბავშვების სახლის შეღავათით მიხილს. "ბატონებო" არსებულ ვარიანტებში ხაზგასმულია "ბატონებო" სიყვარული მხიარულებისა და გაშლილი სურფისადმი:

ბატონებსა სურფა ნებამო, იავ-ნანინაო!
გარემო ძირელ მორწყული, იავ-ნანინაო!

ამასთანავე ბავშვებთან მოსული "ბატონები" უნდა ხედავდნენ აკვის მორთულობასაც, რომლის გვერდით ზის დედა, ზოგ ლექსში კი მამიდა, რომლებიც "ბატონებს" ეაღერებოდა:

დატბით, დატბით, ბატონებო, იავ-ნანინაო!
შაქრთ, შაქრთ დასიმდით, ვარღ-ნანინაო!

თანაც ბავშვს უქებენ:

უსხია ოქროს ქოჩორი, ვარღ-ნანინაო!
დიდის სბანი უხურამო, იავ-ნანინაო!

და ასე დაუსრულებლივ ეაღერებოდა, ეფერებოდა, სურფას უწყობენ, მღერიან და უქებენ არა მარტო ავადმყოფ ბავშვს, რათა შეაბრალონ იგი, არამედ იმ ვარდოსაც, რომელშიც ბავშვი იმყოფება.

ჩვენს მიერ გარჩეული ლექსებისა და სიმღერების დღემდე მოტანა იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვებისადმი ზრუნვასა და ყურადღებას მთავარი ადგილი ეჭირა ქართველთა შორეული წინაპრების ცხოვრებაში.



მარი მოჭორიანი

მაყალა ცნობარია

მოჭორიანების ოჯახი ლენინკანში (ძველი ალექსანდროპოლი) ინტელიგენციის თავშესაფარი ადგილი იყო. ამ ოჯახში მუდმივად ცხოვრობდა რომელიმე სცენის მსახურთაგანი ლენინკანში სტუმრად ჩამოსული და ადგილობრივი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და აღნიშნენ მათ ოჯახში. პატარა მარი ხშირად გამხდარა საინტერესო საუბრისა და ცხარე კამათის მოწვე. ქვეყნის კულტურული ცხოვრების ატმოსფეროში აღზრდილ ბავშვს ადრე განუვითარდა გონება და გემოვნება. ოჯახი მისთვის შესანიშნავი სკოლა აღმოჩნდა, — სწორედ ოჯახში შეაყვარა ხელოვნება და დააყენა მის უხვგარო სამსახურში. მოჭორიანების ოჯახის წევრები უკლებლივ ესწრებოდნენ სპექტაკლებს, კონცერტებს, გამოფენებს, ლექციებს და დაუსრულებელივ კამათობდნენ. მარიმ 12 წლის ასაკში მოასწრო სირაზუიშის, აბელიანის, სვეუ-მიანის, მაისურაიანის, ზარიფაიანის და ფაფაზიანის სასცენო ხელოვნების ნახვა.

მათი ხელოვნებით შთაგონებულმა, შთაბეჭდილობიანმა ბავშვმა ადრე, ყმაწვილქალობისას დაიწყო სცენის სამსახური: პირველად სასკოლო სპექტაკლებში გამოდიოდა, შემდეგ კი პროფესიულ დასაყენა თამაშობდა. სწორედ ამ ეტაპზე გახდა ნათელი, რომ იგი მრავალმხრივი და საინტერესო მსახიობი დადგებოდა და ასახიერებდა შესანიშნავად მღეროდა ოპერეტებში და ასახიერებდა პატარა გოგონების, ბიჭების და მოხუცი ქალების როლებს. უკვე 15-16 წლის ასაკში იოანამა ისეთი სერიოზული როლები, როგორც იყო მარგარიტა (შირვანზადეს

„პატისნებისათვის“), სონა (მისივე „აგი სული“), დემონა, აპალია, ივითი, ოფელია.

ოფელიას როლის დაძლევა მან მხოლოდ ახალგაზრდობით შესძლო, მაგრამ იმთავითვე შეიმჩნეოდა, რომ იგი მართალი მსახიობი იყო. ამ როლმა ნათელი გახადა ისიც, რომ მარი მოჭორიანი განსაკუთრებით კარგად ასრულებდა იმ როლებს, რომლებსაც განიცდიდა და სჯეროდა. პირველსავე როლში იგი არ იყო დამაბნელები, ხმას ძალს არ ატანდა, მეტყველებდა ტკიმილი, დარბაისლური სიმხური ენით. ყოველი როლის თამაში ღრის რაღაც ახალი და საინტერესო ჰქონდა საემქმელი. ამიტომ ეძებდა თავისი ტიპილებისა და თავისი სიხარულის თანხარას. თავისი შემოქმედების დასაწყისშიაც კი მარი მოჭორიანი არასოდეს არ იმეორებდა უკვე მიჯნებულ შტრიხებსა და დეტალებს; სცენური გამოხატვის ხერხებში და შესაძლებლობებში მრავალფეროვნება შეჰქონდა და ყოველ სცენურ სახეს ღრის დაღს ასაგამა.

მარი მოჭორიანმა პროფესიული სასცენო მოღვაწეობა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე დაიწყო. პირველად თამაშობდა წითელი არმიის ნაწილებში, გამოდიოდა სომხურ და რუსულ სპექტაკლებში. მისი პირველი რეჟისორები იყვნენ მირზახანი და არამე არმენიანი. სპექტაკლები 2-3 დღეში მზადდებოდა, ამიტომ მათი მხატვრული ხარისხი დაბალი იყო.

ამავე წლებში დაიწყო მოჭორიანის შემოქმედებითი მგობრობა ფაფაზიანთან. ფაფაზიანთან ერთად იოანამ ოფელია, მისივე ხელმძღვანელობით განასახიერა ლედი მაკბეტი.

1923 წელს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი მოჭორიანი ვადამოვიდა თბილისში სომხურ დასში, და ღღემდე შაშუიანის სახ. სომხური დრამის თეატრის წამყვანი მსახიობია. სომხურ დასს მამინე ცნობილი რეჟისორები ბურჯალიანი და ქუანაქიანი ხელმძღვანელობდნენ. მათი რეჟისორობით იოანამ მარიმ ჯემას როლი ვიონიჩის „კრაზანაში“ და მასურებელს განაცდენია ის ღრმა დრამა, რომელიც მისი საყვარელი ადამიანის სიკვდილმა აპარა. ეს პირადული დრამა მსახიობმა სოციალურ ძველადობამდე აამალა და გვიჩვენა იტალიის განთავისუფლებისათვის თავისი გმირის თავგანწირვა, რომელიც არაჩვეულებრივ პატრიოტულ ალტყენებას იწვევდა.

მსახიობმა შექმნა ჯემას რეპერტუარი სცენური სახე, რომელიც იღიბას დარჩა მის რეპერტუარში. მისი მოღვაწეობის ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდნენ ღერენიკ ღემირტაიანი, არახი, სტეფანე ზორიანი, აკოუ აკოფიანი, ხილო უფრო გვიან შირვანზადე და აბელიანი. თბილისში მცხოვრებ სომეხ მოღვაწეთ მეგობრული შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა აქუთური სომხური თეატრის მოღვაწეებთან, აქტიურად ებმებოდნენ თეატრის ცხოვრებაში, პრაქტიკულად მორალურ დახმარებას უწევდნენ მათ. ამ სომხური დასის წარმატებები და ჩაყარვები თავიანთ ღვიძლ საქმედ მაინცნათა და მზრუნველობას და სიყვარულს არ აუკლებდნენ მას. ისინი დაიბრუნებნენ იქნებდნენ აგრეთვე ქართული კულტურით — ესწრებოდნენ სკოლურ წარმოდგენებს, მეგობრულ ურთიერთობას ამაყარებდნენ ქართული კულტურის მოღვაწეებთან.

თბილისის სომხურ თეატრმა განსაკუთრებით ახლო იდგნენ ცნობილი სომეხი მოღვაწეი შირვანზადე და აბელიანი, ჩინებელი მსახიობი და რეჟისორი. აბელიანს ჰყავდა დასი. თვითონ დაგამდა პიესებს და სცენაზედაც გამოდიოდა. სწორედ აბელიანის ხელმძღვანელობით იოანამ მარი მოჭორიანმა მარგარიტას როლი შირვანზადეს პიესაში „პატისნებისათვის“. მარგარიტა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერად გამოკვეთილ სახედ ითვლება მის რეპერტუარში. მარგარიტას სახით მ. მოჭორიანმა წარმოვიდინა საათით სულთსა და მტკიცე ნებისყოფის ქალი, რომლისთვისაც პატონინება ყველფერზე ძვირფასია. ეს როლი მას თავისებურად ჰქონდა გააზრებული. მე-4 შემქმედების მე-6 გამოცდაში, საბჭოების დაკარგვის შემდეგ, იგი პირველად ხედება მამას. უძილობისა და

ნერვიულობისაგან სახე ვადაფთობრება, სდუმს, შეძრწუწუნებულია საბუთების დაკარგვით, ეგვი მამაზე აქვს. მაგრამ იქნებ ცდება, იქნებ მამა ზოროტმოქმედი არ არის, იქნებ მას მხოლოდ მოეჩვენა, რომ მამამ საბუთები მოიპარა. განა მამას შეუძლია შვილის სიცოცხლის გამეტება, დაახ, სიცოცხლისა, რადგან მარგარიტასთვის პატროსნება და სიცოცხლე თანაფარდოვანი ცნებებია. მარგარიტას არ უნდა დაიჯეროს, რომ მამა ქალიშვილის სინდისს არ გაუფრთხილდება, ამიტომ სთხოვს, ჩემი პატროსნება და ჩემი სიცოცხლე დაიცავით.

მარი მოჭორიანი თავიდანვე ცდილობდა ეს როლი მრავალწახანავოვანი ვაგხადა და მიზანს აღწევდა კიდევამყარებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნება თვალს გპირის სცენურ ცხოვრებას, მსახიობი კი ნამდვილად ცხოვრობდა, მოქმედებდა, მის თვალწინ იზრდებოდა.

როცა მარგარიტა რწმუნდებოდა მამის უპატიოსნობაში, ღუნდებოდა, მაგრამ ფარხმალს არ ყრდა, ხავსს ეჭვიდებოდა, მამას ევედრებოდა: ჭუჭყი გადაიკაღე და ადამიანებს ნათელი შუბლით შეხვლით.

შემდეგ მამა მარგარიტას თვალწინ მაინც სწევდა საბუთებს. მოჭორიანის მარგარიტა ეშუქრებოდა მას: ფრთხილად, ჩემი სიცოცხლე შენს ხელთ არის და შენ, ქალადღებს კი არა, ჩემს სხეულსა სწევავო, მაგრამ მამისათვის ფული უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე შვილის სიცოცხლე. და მარგარიტას ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა, იგი ძალაგამოლეული, გამოფიტული, მაგრამ მაინც ამაყი მიემართებოდა კარისაკენ. ეს თითქოს ტანჯვის დასასრული იყო, მაგრამ არა, საშინელება წინ იყო. ოთარიანთან შეხედრდა მისი გოლგოთა იყო, მაგრამ სიამაყეს მაინც თავისი გაქონდა; საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდოდა მამისათვის ჭუჭყის ჩამორეცხა, ამიტომ მის მიჩვენებით პატროსნებას იცავდა და უკვე მტკივე ნაზიჯით სტოვებდა სცენას.

მოაზროვნე და ემოციურმა მსახიობმა მარგარიტას როლს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა მიანიჭა. დამაჯერებლად დაგვიხატა ელიზბარაიანის და საღათელას წარმოშობის ისტორიული მიზეზები და გვანინა: — კაპიტალიზმის პირობებში ყოველი ნათელი აზრისა და მგზნებარე გონების დასასრული ასე ტრაგიკული იქნებაო.

მოჭორიანმა აბელიანთან ერთად ითამაშა სონას როლი „ავ სულში“ და სუსანასი „ნამუსში“. მოჭორიანი და აბელიანი ეროვნული იერის შემოქმედნი იყვნენ, ყველაზე მნიშვნელოვანი სცენური სახეები მათ სწორედ ნაციონალურ რეპერტუარში შექმნეს.

მარი მოჭორიანმა გვიჩვენა ბნელეთის სამყარო, სადაც შვის სხივი ვერ ატანდა, სადაც ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ქალთა უფლებებზე, მათ დამოუკიდებლობაზე, აქ პატროსანი და შემბარლე გულის ადამიანები იღუპებოდნენ როგორც მსხვერპლნი საყოველთაოდ გამეფებულ სიბნელისა, ტრურწმენისა და უსამართლობისა.

სწორედ ამ სიბნელის მსხვერპლი გახდა პატარა სონა („ავი სული“). მსახიობმა სასიკვდილოდ განწირული ქალი (სონა) დაუპირისპირა მარგარიტას, რომლის სიკვდილი არსებული წყობილების უღმებოების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი იყო. მისმა გვირმა, მარგარიტამ ორთაბრძოლაში გამოიწვია ბნელით მოცული ქვეყანა.

მარგარიტას სცენური სახე გახდა მიწიერი, რეალისტური, ყოველგვარი ცრუ პათოსისაგან თავისუფალი. სწორედ ამ როლში დაიმსახურა მსახიობმა ქება სიტყვა-ქსენი შირვანზადესი. შირვანზადემ თეატრის ხელმძღვანელობას სთხოვა, ჩემი შემოქმედების ნ წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მარგარიტას როლი მარი მოჭორიანმა ითამაშოსო.

მოჭორიანის ნაცნობობა შირვანზადესთან დაიწყო 1928 წელს თბილისში. შირვანზადე მსახიობების წრეში ტრიალებდა, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მათთან. მეგობრობდა იგი მარი მოჭორიანსაც. ეკითხებოდა აზრს ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ, უზიარებდა შემოქმედებით გეგმებს.



ქ. მოჭორიანი — სონა („ავი სული“)

მ. მოჭორიანი — კატერინა („კეკეა-ქუხლია“)





მ. მოჭორიანი — სოფი („აღმოსავლეთის დანტისტო“)

მოჭორიანის სასცენო შემოქმედების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ კატერინასა (ოსტროფოვსკის „ქარიშხალი“) და ლუბოვ იაროვაიას როლებს. კატერინას როლზე იგი რეჟისორ ლ. ქალანთარის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ქალანთარი სიმხური და რუსული ლიტერატურის ჩინებული მკვლევარი იყო, უმაღლესი ფილოლოგიური განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. უყვარდა თეატრი, დრამატურგია, ხანახი ჰყავდა კატერინას როლის ბრწყინვალე შესრულებელი სტრეჟეტოვა. ამიტომ ქალანთარი მარი მოჭორიანსაც დიდ მოთხოვნებებს უყვებოდა. ქალანთარი კარგად იცნობდა ოსტროფოვსკის, დეტლერად უხსნიდა მსახიობს კატერინას როლის დამახასიათებელ წერილმანებს, ამ სერიოზულმა და გულმოდგინე მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. მსახიობმა კატერინას სახით დამაჯერებლად გამოხატა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი. სხვათა შორის ეს როლი თავისი განწყობილებით ენათესავებოდა მის მიერ უკვე ადრე ხათამაშვე მარგარიტას როლს.

მარი მოჭორიანის კატერინას არ შეეძლო ცხოვრება საძულველ გარემოცვაში, არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ებრძოლა, მაგრამ ამ უსამართლობიდან გაქცევა კი შეეძლო.

ყოველგვარ მეურაცხყოფას კატერინა მოთმინებით იტანდა, ვიდრე არ მოშწივდა მასში ამხედრების განწყობილება. პირველ მოქმედებებში მოჭორიანი გვიხატავდა ქალს, რომელიც უღრტვივლად იტანდა პატრიარქალური ოჯახის სულმეხუფრულ გავრმოს. პირველად იგი ბორისთან შეხვედრას გაურბის, რადგან იცის, თუ ერთხელ შეხვდა, მერე ვეღარავითარი ძალა გელარ შეჩაგრებს. მძაფრად წარმოსთქვამდა მსახიობი მონოლოგს სცენაში, როცა მწარე სულიერი განცდებით შეპყრობილი ვასალებს დასცქერის.

ყოველი ახალი როლის თამაშისას სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა თუ რა დიდ როლს ანიჭებდა იგი დამოუკიდებელ შემოქმედებს, მისთვის მსახიობი რეჟისორის ბრმად მიმდევარი არსება კი არ იყო, არამედ ერთი მთლიანი ორგანიზმის ცოცხალი და მოაზროვნე ნაწილი.

სამჭოთა რეპერტუარიდან მარი მოჭორიანმა ლუბოვ იაროვაიას საინტერესო სცენური სახე შექმნა. მისი გმირი იყო მტკიცე, მოქმედი, ენერგიული. ინტელიგენციის წარმომადგენელი ლუბოვ იაროვაია ფიზიკლად ერკვეოდა სიტუაციებში, სადად აფხვებდა მოვლენებს და უწყყმანოდ დგებოდა რევოლუციის მხარეზე. მარი მოჭორიანი დიდი სიყვარულით თამაშობდა ქართულ რეპერტუარში, წლების მანძილზე გატაცებით ემსახურებოდა ქართული კულტურის პიპულარიზაციის საქმეს, ქადაგებდა მეგობრობასა და სიყვარულს ერთა შორის. ქართული პიესებიდან მას განსხივრებული აქვს ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ნენო (მანშიაშვილის „არსენა“), ელენე (ს. კალიაშვილის „გმირთა თაობა“) და ხვე. საერთოდ მსახიობს 230-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული, მათ შორის ფეფე („პეპო“), ნატალია („ხათამალა“), ანანი („კიდევ ერთი მსხვერპლი“), დეზემონა, ოფელია, ამალია, ლუიზა („ვერაგობა და სიყვარული“), ტატიანა (გოკიის „მტრები“), ნასტია (გოკიის „ფსკერზე“), ივდითი, ლიდა („პლატონ კრეჩტი“), ტატიანა („რვევა“), კრუჩინა („უღანაშაულო დანაშაუენი“), ლედი მაკბეტი, მონა ვანა, ვერვარა პეტრიკი („სიყვარული განთიადზე“) და სხვა მრავალი.

ქართველმა ხალხმა სათანადოდ დააფასა მისი ღვაწლი — მას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

მარი მოჭორიანი დიდი შესაძლებლობის მსახიობია, რომელსაც აქვს მეტყველი მიმიკა, კარგი დიქცია, საინტერესო სულიერი სამყარო. მისი სცენური შესაძლებლობა როლიდან როლში იზრდება. ამჟამად იგი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია, და მისგან ჩვენ კიდევ მრავალ გამარჯვებას მოველოთ.



მ. მოჭორიანი — ფეფე („პეპო“)

ინდოეთის კულტურის კვლევებისათვის



დავით გვრიტიშვილი, ნიკოლოზ ბიბილეიშვილი

თუმცა მხოლოდ ნახევარი თვე დავეყვით ინდოეთში, მაინც ბევრის ნახვა მოვასწარი.

დავიწყეთ დელი:


განდის მთედნის ახლოს იწყება გალავანი-ქალაქის კედელი, რომელიც XVII საუკუნეში აუგიათ. კედელი საკმაოდ გრძელია და ძველსა და ახალ დელს ჰყოფს. ვინახულეთ უზარმაზარი აკროპოლისი-ტრემლი, დედაციხე. მას წითელი ფორტი ეწოდება. ეს რთული ნაგებობა კომპლექსითაა შეიქმნა. მისი მშენებლობა დაიწყო შაჰ-ჯჰანამ 1638 წელს და ძირითადად დამთავრდა 1649 წელს. მას ეწოდებოდა „ჯამი მასჯიდი“. 1658 წელს შაჰ-ჯჰანანის შვილმა ავრან-ზუმბამ იგი ციხე-სიმაგრედ აქცია. მის ტერიტორიაზე გადიოდა დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ბაზარს უერთდებოდა. იმ დროს იქ ყოფილა დიდი ქულობა-სავაჭროები, სადაც ისეთი ხელოსნური თუ მანუფაქტურული ნაწარმებით იყიდებოდა, რომელიც თავისი სივრცითა და სინათლის მსოფლიოს აოცრებდა.

კინოში გაბრილოვიჩმა გადადგა ისტორიული თემით („უკანასკნელი დამე“) და ამ გზიდან დღესაც არ გადაუხვევია („მოსკოვის მახლობლად“). ისტორიკში — ეს არის მისი მიზანი. და სულერთია, რაზეც არ უნდა მივსვითხრობდეს იგი — ადამიანის მიველს ცხოვრებაზე თუ ამ ცხოვრების ერთ ეპიზოდზე. ყველგან იგრძნობა ისტორიული განვითარება, ისტორიული ჭეშმარიტება. მისი ნაწარმოებების ეკრანზე ხილვისას თუ წაკითხვისას, გრძნობთ, რომ ავტორის ფიქრი თავს დასტრიალებს დროის ყველაზე დიდს, ღრმად, მთავარ საკითხებს. და ყველაზე საუკეთესო მაინც ის არის, რომ ან დროის ყველა წინააღმდეგობის, ურთულესი ისტორიული კანონზომიერებანი როგორც პრისმაში, ისე გადატყდებიან მის გმირთა ხასიათებში. ვინ არიან ეს გმირები? — ესენი არიან უბრალო, რიგითი საბჭოთა ადამიანები, ეს არის მამუნკა და ნატაშა რომაშკო, მოწყალების და სამა და კომუნისტი ვასილი გუბანოვი. გაბრილოვიჩის აზრით, კინოსცენარი უნდა გვიჩვენებდეს არა მარტო მოქმედებასა და მდგომარეობას, არამედ უნდა გვიხსნიდეს ადამიანის ხელს, გონებას. „ძნელი არ არის იმის დანახვა, — აღნიშნავს იგი, — თუ რა აქცეს უბრალო საბჭოთა ადამიანს რიგით ადამიანად. ბევრად უფრო ძნელია იმის შემჩნევა, თუ რა აქცევს რიგით ადამიანს უბრალო საბჭოთა ადამიანად“. გაბრილოვიჩს აქცენტი სწორედ განსახვრეტა საბჭოთა ადამიანზე გადააქვს. იგი მოგ-

კინოლერამატურები ვეგები გაბრილოვიჩი





კადრი ფლმიდან „მკვლელობა დანტეს ქუჩაზე“

ვითხოვს ამ ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანის არაჩვეულებრივ საქმეზე და უკვე სიტყვა „ს ა ბ ზ ი თ ა“ მხოლოდ კი არ ავსებს უბრალო ადამიანის განსაზღვრებას, არაუად მას ანიჭებს სიღაღეს, პათოსს.

და მართლაც: აი, რიგითი, უბრალო, მეტად ჩვეულებრივი ქალიშვილი მამუჩკა. იგი ტელეგრაფისტია და სანიტრად მიდის ფრონტზე. მაგრამ გაბრილოვიჩი მასში, მის ქვეყაში ხედავს იმ ადამიანს, რომლის განსაზღვრვად არსებობს მხოლოდ ერთი დიდი სიტყვა „საბჭოთა“. დიას, ეს არის ჩვეულებრივი უბრალო საბჭოთა ქალიშვილი. ამიტომაც ასე მღელვარებით აგვიწერს დრამატურგი მის ცხოვრებას. სულიერი სამყაროს, განახლებას იმ არაჩვეულებრივს, რაც მას სწორედ უბრალო საბჭოთა ადამიანად აქცევს. ამიტომაც ჩემზმარტივად მხატვრის მიერ დანახული და დახატული ეს სახე, თითქმის, ლეგენდარულად გვეჩვენება. აი, ნატაშა რომაშკო („ცხოვრების გაკვეთილი“) — ქალი, რომელიც თითქმის არაფერი გამოირჩევა, არაფერი აქვს განსაკუთრებული. მაგრამ გაბრილოვიჩმა მასში აღმოაჩინა ის უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება, დიდი ადამიანური გამტანობა, რომელმაც ცხოვრებას დაუბრუნა ადამიანი — რუმუნდაკარგული, გულგატეხილი, ერთის შეხედვით, დაღუპული. აი, ვასილი გუბანოვი — რიგითი კომუნისტი. მაგრამ მხატვარმა ისე ღრმად ჩაიხედა მის სულში, ისე ფართოდ გადაავიშლა მისი მსოფლმხედველობა, რომ ეკრანიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგა დიდი ეპიკური გმირი.

გაბრილოვიჩის სცენარებში „უბრალო“ მუდამ იწყება „რიგითიდან“ და მთავრდება „ამაღლებულით“. და ამ ურთულეს გზაზე მისი გმირები გამსჭვალულნი, ერთის შეხედვით, შეუმჩნევლები, მაგრამ მგზნებარე პათოსით, ავლენენ თავიანთ ბუნებას, თავიანთ განუმეორებელ „მეს“. და როდესაც კითხვობთ გაბრილოვიჩის სცენარის უკანასკნელ ფურცლებს, რომლებზეც დახატულია ეპიკური გმირი, აღარც კი გჯერათ, რომ ეს ის გმირია, რომელიც ატორმა გაგვაცნო ამავე სცენარის პირველ ფურცლებზე.

შექსპირი ამბობს ერთხან: „ჩვენ ყველამ ვიცით რანიცა ვართ, მაგრამ არ ვიცით რანი შეგვიძლია ვიყოთ“. მაგრამ გაბრილოვიჩის გმირები თავიანთი მაგალითით გვიჩვენებენ რანი შეგვიძლია ვიყოთ, როგორი შეიძლება იყოს საბჭოთა ადამიანი. ამასთან, ისინი გვიმტკიცებენ თუ როგორი უნდა ვიყოთ, რისი ვალდებულები ვართ. ეს აბლებს გაბრილოვიჩის სცენარებს დიდ აღმზრდელბობის მნიშვნელობას. ავიღოთ, თუნდაც, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „კომუნისტა“, — ამაღლებული ტრაგედიული პათოსის სცენარი. მას-

ში, ერთის შეხედვით, ყველაფერი მეტად უბრალოდ იწყება. პატარა დაბაში ჩამოღის კომუნისტი ვასილი გუბანოვი იგი მიემართება მშენებლობაზე: „ეს იყო სულ რაღაც, პირველი მშენებლობა, სრულიად პატარა, სრულიად მოუწყობელი“. აქ ვასილი გუბანოვი თავის გზას იწყებს მეტად ჩვეულებრივი, სრულიად არა გმირული საქმით — საწყობში მუშაობით. მაგრამ სწორედ აქ იწყება ის დიდი გზა, რომლის გავლაც მას მოუწდება. ვასილი აღმოაჩენს, რომ საწყობში გაქურდულია, საქონელი დაუტაცებიათ. გარეთ კი, საწყობთან გამართულია რიგი, ხალხი ხმაურობს, ათობით ხელი უბრალებს კარზე, უყვირიან:

- „მოგვემ თუ არ აღუზმანს?..“
- საკვლეიანტებო, ეშმაკაცე დაგლახებრო!
- ღვინი საჭონელს გვიგზავნის, ესენი კი ბაზრისაკენ უკარავენ თავს!
- მუშა ხალხი თავს არ იმურვებს, ესენი კი...
- ქურდი ხარ, ქურდი! სიფათიც ქურდის გაქვს! შე ქურდო!

— შენ, ეი, ენას მოუკვლი! — თავი ვერ შეიკავა ვასილიმ და გლეხისაკენ გაიწია. გლეხკაცმა ცოტა უკან დაიხია და განაგრძო ყვირილი:

— შენ რა ენას მიმოკლებ, მე არაფრის მემინია! ქურდო! რას მიმშეშობხარ. აი, ესეც შენ! — და ვასილის შიგ სახეში შეაფურთხა.

ვასილი შეურაცხველს, უდანაშაულოდ, დაუმსახურებლად. როგორ მოიტყვევა იგი, — რიგითი კომუნისტი?

„ვასილი გამოერკვა. გლეხს ეკახედ შეაქცია ზურგი, საწყობში შევიდა, ძლიერად მიაჯახუნა კარი, აქ ბინდუნდში კედელს მიუახლოვდა და თავი მიაყრდნო. თვალები ცრემლით ავსებოდა. ასე იდგა ერთხანს.“

ეს გასლავთ შეურაცხველი ადამიანური ღირსებისა და მოვლუბობის ჭიდილი, გრძნობისა და ნებისყოფის ბრძოლა. იმარჯვებს ნებისყოფა.

გუბანოვი დიდება, გადაყლაპა ცრემლი. და განა იმიტომ მოიტყა ასე, რომ შემინდა? არა, იგი ერთი დარტყმით მოსცვლავდა შეურაცხველს, მაგრამ იცის, რომ მუშტით ვერ აღზრდი ადამიანს. ანდა გავისხენოთ, შემდეგ როგორ შემოქმედებას ახდენს იგი ადამიანებზე. რკინიგზაზე, გაცივებული ორთქლმავლისათვის შემის ჩხვვის ეპიზოდში, თავისი უტყბი ნებისყოფით, პირადად მაგალითით როგორ არწმუნებს და გაიყოფებას ადამიანებს სახალხო საქმისათვის საბრძოლველად. იგი ჯერ მარტო ჩხვავს შემას:

— „ჰეი, შენ, კეთილო ადამიანო, — მიმართავს გუბანოვს ორთქლმავლის მემანქანე, — იცი კი, რამდენი შეშაა საჭირო, რომ ზაგორსკამდე მაინც ჩავიდეთ?! ხუთი დღე მაინც მოგინდება მაშ გუბანო ჩხვას!“

— ხუთი დღეა საჭირო? ხუთ დღეს ვჩხვას!“

სწორედ აქ მატარებლის ბრიგადა თავს ვერ იკავებს და გუბანოვთან ერთად იწყებს შემის ჩხვას. გულგრილობა დაძლეულია. სრულეს მას კომუნისტის ნებისყოფა, სახალხო საქმისათვის თავდადება.

და თუ თავდაპირველად მას უნდობლად შესცქეროდნენ, შემდეგ, როდესაც ასლო ცაცინობზე, შეიგნებენ, თუ რას ნიშნავს იყო კომუნისტი, ხალხი შეიყვარებს, მზარს დაუჭერს, გააკვება. აი, რას ამბობს ორთქლმავლის მემანქანე ვასილი გუბანოვის დაკარგულაზე:

— „აქ მე უცხო კაცი ვარ... არავის ვინცობ... არც ამ ჭა-



ბუკს ცინობდი... მხოლოდ ერთხელ ვნახე იგი შემას როგორ ჩეხავდა, როგორ ცდილობდა ხალხისათვის... ჩვენ რომ ყველანი ასეთი ვიყოთ... მუდამ ასე რომ ვიქცეოდითო..."

— ჩვენ რომ ყველანი ისეთი ვიყოთ, მუდამ ისე რომ ვიქცეოდით, როგორც კომუნისტები გუბანოვი... აი, ძირითადი იდეა გაბრილოვიჩის შემოქმედებისა. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, ჩვენ ვალდებული ვართ ვიყოთ ისეთნი, როგორიც იყო გუბანოვი, — ვუკუნებმა კინორდამატურა...

შესანიშნავი პედაგოგიკურ სცენარში „მკვლელობა დანატეს ქუჩაზე“ (დაწერილია რეჟისორ მიხეილ რომთან ერთად) გაბრილოვიჩი, შორსმჭვრეტელი ისტორიისის მსაკვასად, გვიხსნის, თუ რატომ გაბედეს ფაშისტებმა საფრანგეთში შეჭრა. „გერმანელებს ესაჭიროებათ აღმოსავლეთი და არა დასავლეთი“ — ასე ფიქრობდნენ ზოგიერთნი საფრანგეთში. სამწუხაროდ, სწორედ ამ „ზოგიერთთა“ ხელში აღმოჩნდა ქვეყნის ბედ-იბღობის საჭე. ვფიქროვებ იმიტომ, რომ მათ არ მოინდომეს წინადადგომოდნენ დამოსტა ინტერვენციას, დაიღუპა უამრავი პატიოსანი, მშრომელი ფრანგი ადამიანი. დაე, ეს სადავლითოდ იქცეს მათთვის, — გვეუბნება მწერალი, — ვინც აღდგას ისევე ფიქრობს, როგორც თავის დროზე ფიქრობდა შარლ ტბო.

არ შეიძლება გულგრილი იყო, არ შეიძლება უგულებელყო საზოგადოების ბედი, ფიქრობდ მხოლოდ საკუთარ თავზე. უნდა, იყო ისეთი, როგორიც იყო პატარა გოგონა მამუნკა, — გაბედული და გაუტყვავი. როდესაც საქმე ეხება ყველაზე მთავარს ადამიანთა ცხოვრებაში უნდა იყო ისეთი, როგორიც იყო კომუნისტი ვასილი გუბანოვი.

როგორც ყველა ჭეშმარიტად მართალი მხატვრისათვის, გაბრილოვიჩისთვისაც უცხოა პლაკატურობა, როდესაც შინაგანი სიღრმე შეცვლილია ზედაპირულობით. გაბრილოვიჩი მაყურებელსა და მკითხველს ღრმად ახედვს მოვლენებში, გმირის შინაგან სამყაროში, არასოდეს არ აწუხებს მათ დადებითი და უარყოფითი სტანდარტულ იარლიყებს. განსაკმარისი იქნებოდა „დადებითი ჟურნალისტიკა“ იარლიყი გუბანოვის, — არ თუოლი, ღრმა და შრავალმხრევი, ამ „აქცენტილებული“ ბოლშევიკის“ (ვ. მაიაკოვსკი) სახის გასახსნელად?

გაბრილოვიჩის შემოქმედება ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. მისი სცენარები არაჩვეულებრივად მრავალმხრივი და მრავალფასაგოვანია. მთავარ—ისტორიული თემისთან ერთად, იგი ეხება და ხსნის სიყვარულის, მომავლის რწმენის, მტრისადმი სიძულვილის, ადამიანზე ზრუნვის თემებს. იგი ქადაგებს დიდ, წმიდის სიყვარულს. ვასილი გუბანოვიც შეიჯანა ანთუტა ძლიერი სიყვარულით, თუმცა ციდილობის გრძობა გონებას დაუმორჩილოს. მაგრამ მისი ძლიერი ნებისყოფა უსაზღვრო გრძობასთან ჭიდილში ვერ იმარჯვებს. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, იქნებ, გუბანოვი არც მოვლენებოდა ასე მრავალმხრივ გმირად, იგი ვერ იქნებოდა ასე ცხოვრებისეული, ასე მართალი. გაბრილოვიჩის გმირებს ასულდგომლებს მომავლის რწმენა. თუ არა ეს დიდი ადამიანური თვისება, რეკლუციას ვერ გააყვებოდნენ მძივი ზახარკინები („უკანასკნელი დამე“) ვერ შესძლებდნენ ამ საქმისათვის თავგანწირვას. მისი გმირები მუდამ ადამიანის სიცოცხლის სადარგოაზე ღვანან. მედიცინის და საწა („უკანასკნელი შემოდგომა“) სიყვარულით თავს დასტრიალებს ავადმყოფ ილიჩს. საშა ლენინს უფროხილდება არა მარტო როგორც ბელადს, არამედ როგორც ადამიანს. იგი იბრძვის ჩვეულებრივი ადამიანის სიცოცხლისათვის.

ვევნი გაბრილოვიჩი ინდივიდუალური მანერის, საკუთარი ორიგინალური სტილის მხატვარია. აი, ფილმები „უკანასკნელი დამე“ და „ოცნება“, „ცხოვრების გაკვეთილი“ და „მამუნკა“, „კომუნისტი“ და „მოხიბობები ლენინზე“. ეს სურათები გაბრილოვიჩის სცენარების მიხედვით შექმნეს განსხვავებული ნიჭისა და შემოქმედებითი ხელსწრის რეჟისორებმა — მიხეილ რომმა, სერგეი იუტკევიჩმა, იული რაიხზონთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ფილმებში იგრძნობა ერთიანი თავისებური აღქმა სამყაროს, რაღაც გამართობი ნებელი სტილი, რომელიც ეკუთვნის კინორდამატურას — ვვევნი გაბრილოვიჩს.

დიდი რუსი დრამატურგი ოსტროვსკი ამბობდა, უნდა ვწვიოთ არა მარტო იმ ენით, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს, არამედ იმ ენაზეც, რომლითაც ადამიანები ოცნებობენ. განა შეიძლება „მამუნკას“, „ცხოვრების გაკვეთილის“, „კომუნისტის“ ენას ვუწოდოთ სხვა რამ, თუ არა „ოცნების ენა“.

ამ ბოლო ხანს ხშირად შევხვდებით საუბარს იმის თაობაზე, რომ კინოსცენარებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხატვრულ სიტყვას. გაბრილოვიჩი, რომელიც სცენარის თვლის პიესისა და მოთხრობის თავისებურ შეწყვეტა, კინოში მუშაობის დაწყებისთანავე უდიდესი გულსიყვრით ეკიდებოდა სიტყვას, მის გამომსახველობით ძალს, ფილიტრანულად მუშაუვებად მას და მუდამ თავის ადგილს მიურჩენდა. აი, ნაწყვეტი მისი პირველი სცენარადან „უკანასკნელი დამე“.

„...სიცილი იზრდება, იცინის თვით ბატონი ინსპექტორი. ოპ, რა რიგ სასაცილოა ეს გაოფლიანებული მოცეკვავე, რომელსაც საყვარლად უცემციმებს თვალები და მონდომებისგან ენა გამოუყვია!

განსაკუთრებით სასაცილოა ეს გამოჩირილი ენა. ისე გერწვენებათ, თითქოს თვით ფანჯრებსა და ჭილებსაც ეცინებათ“.

ცხადია, ამგვარი აღწერის კინოს ენით გადმოცემა შეუძლებელია. მაგრამ მისი ღირსება ის არის, რომ იგი რეჟისორის მიანიშნებს ამა თუ იმ ეპიზოდის არსზე, აგრანობისა და მას კინორდამატურის თვალთახედვას, განცდას. სიტყვა კი არ განმარტავს კადრს, მოქმედებას, არამედ აღწევებს მას, ახალ აზრს ანიჭებს, — ასე მსჯელობს კინორდამატურა.

გაბრილოვიჩი დეტალის დიდი ოსტატია. მას უნარი შესწავს ერთი დეტალით დაგვიხატოს და გვაგორბობინოს მიელი ეპიზოს სურათი. მაგალითად კარსა ზახარკინს („უკანასკნელი დამე“) იხიობს ორი ძალა: დიდის — პირადი, და ძალა სროლისა, რეკლუციისა — საზოგადოებრივი. იმარჯვებს მგორვ ძალა. კუშმა გარბის იქ, საიდანაც მოისმის სროლის ხმა.

ასევე, რამდენიმე დეტალით შეიანაშნავად არის გადმოცემული შარლის ბუნება და ცხოვრების გზა სცენარში „მკვლელობა დანატეს ქუჩაზე“, როდესაც მადლენ ტბო ათვალციერებს შვილის ოთახს და აქ განხეილი საგნებით რწმუნდება, რომ შარლი ფაშისტია...

გაბრილოვიჩი დიდსა და მქუხარე ამბებზე მოვითხრობს ხსარტად, დაჯერებულად, ყალიბი პათეტიკურობის გარეშე. ლაკონიურობა — მცირეში დიდის თქმა, მისი შემოქმედების, მისი ნიჭის დამახასიათებელი თვისებია. მან, როგორც კინორდამატურებმა იცის, რომ ფილმის შესაქმნელად ჭკობის მეტი ქადალდის ხარჯვა, ვიდრე კინოფირისა.

მნიშვნელოვანი ნაშრომი საზოგადოებას არქიტექტურის მემკვიდრეობაში

მიხეილ ლორთქიფანიძე, თენგიზ კვიციანი

(ვ. ბერიძის შრომის „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801 — 1917 წ.წ.“ პირველი ტომის გამოქვეყნების გამო)

თავისებური და მრავალისმეტყველი ძველი თბილისის არქიტექტურის ბედი დალი. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის მახასიათებლებთან. მუდმივი ომების ქარტახილია მხაზველი ქალაქი მრავალგზის აღმდგარა ნანგრევებიდან და მოკლე ხანში მოუშუშებია ჭრილობები. ისტორიულ სამშენებლო გეგმის წინ კი გადაიტანა რბევა და ნგრევა, რომელიც ბევრის შემსწრე თბილისისათვისაც კი არანაღი იყო: აღამაჰმადხანის 1795 წლის შემოსევამ თბილისი მთლიანად დაანგრა, ქალაქი მიწასთან იქნა გასწორებული. 6 წლის შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა...

1500 წლის ქალაქს XIX საუკუნეზე ადრინდელი სულ რამდენიმე ძეგლი და შემორჩა. ასევე მცირერიცხოვანი წერილობითი წყაროები, რომლებიც წარმოგიდგინებ შუასაუკუნეებისა და უძველეს ქალაქს. XIX საუკუნეში, ახალ ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ პირობებში ქალაქის თითქმის ხელახლა აშენებამ განასაზღვრა მისი ხუროთმოძღვრების განვითარების ახალი გზები. მით უფრო საკვირველია, რომ თბილისზე არსებული ლიტერატურის ავტორები, ქალა-


ქის მშენებლობის ისტორიის განხილვისას, მთავარ ყურადღებას უთმობენ პერიოდს XIX საუკუნემდე და მხოლოდ გაკვრით, შერეულ ენებთან XIX საუკუნისა და XX ს. დასაწყისის არქიტექტურას.

XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა საკმაოდ რთული და თავისებური გზით ვითარდებოდა. ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდგომი ქალაქის განაშენიანებაში გადაინხრათ მრავალი მიმართულება, ტრადიცია. ყოველივე ამასთან მთავარის მოძებნა და გამოვლენა, ფაქტების სისტემატიზაცია და ა. შ. გამოცდილი, დაუზარელი და ერუდირებული მკვლევარის ხელს მოიხიფებდა.

და აი, 1960 წელს ჩვენი დედაქალაქის ირგვლივ არსებული ლიტერატურის კიდევ ერთი, მეტად საყურადღებო წიგნი შეემატა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, არქიტექტორ ვახტანგ ბერიძის შრომის „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წ. წ.“ პირველი ტომის სახით. გამოკვლევამ შეავსო ამ პერიოდის შესწავლის დარგში აქამდე არსებული ხარვეზი. ეს არის ხანა, რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, „ძველი არქიტექტურის დასრულებისა და ახალზე გადასვლის, ანუ გარდამავალ ხანად უნდა ჩაითვალოს“.

შრომა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს გასული საუკუნის პირველ ნახევარს 60-ან წლებამდე — ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პერიოდს, ხოლო მეორე ნაწილში განხილული იქნება ხუროთმოძღვრების განვითარება ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცების პერიოდში — XIX საუკუნის 60-ანი წლებიდან 1917 წლამდე

ამჟამად გამოსული პირველი ტომი შეიცავს: შესავალ ნაწილს და ხუთ თავს, რომელშიც განხილულია საკითხები: 1) ქალაქის ზრდა; 2) მშენებლობისა და საპროექტო საქმის ორგანიზაცია, მშენებლობის პირობები, მშენებლები; 3) არქიტექტურის ახალი თემატიკა და პრობლემები; 4) ოფიციალური მშენებლობა. სახაზინო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა, 5) სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის სახის არქიტექტურა. ტექსტში ჩართულია 118 ილუსტრაცია, თანდართულია ფოტოსურათების 64 ტაბულა. აღსანიშნავია, რომ ავტორის გამოყენებული აქვს უამრავი ლიტერატურული წყარო, მოსკოვის, ლენინგრადის და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივების, სხვადასხვა სამშენებლო-ადმინისტრაციული ორგანიზაციებისა და მუზეუმების აქამდე გამოუქვეყნებელი მდიდარი მასალა გეგმების, ნახაზების, საბუთების, პროექტებისა და ფოტოდოკუმენტების სახით. რომ აღარაფერი ვთქვათ XIX საუკუნის არქიტექტურის დრმა შეფასებასა და ანალიზზე, საარქივო და საპროექტო მასალა, რომელიც შესწავლილი და გამოქვეყნებულია ავტორის მიერ, თავისთავად დიდი შრომის ნაყოფია და უკვე ეს მხარე წარმოადგენს



მნიშვნელოვან შენაჩენის თბილისის არქიტექტურის შესწავლის საქმეში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის ხუროთმოძღვრების გაშუქება ვ. ბერიძის მიერ ამ პერიოდის არქიტექტურის მეტად დამაჯერებელ და ამოწურავ სურათს იძლევა. I ტომის საკმაოდ მწყობრი ტრანსკრუქტა აქვს. თუმცა ერთგვარი სინაუსის განძნობის ბაგდეს ის გარკვება, რომ მასში ვერ ვხვდებით ამ დროის ქარვასლების, მლაზიების, აბანოების, ეკლესიების მშენებლობის განხილვას. სწორედ ეს ნაგებობები, სხვათაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს უცხო თემას საქართველოსთვის და იტყურებს იწყებს თუ როგორ სწარმოებდა ძველი ტრადიციებისა და ახალი მოთხოვნების შერწყმა ამ ტიპის შენობებში. ეს საკითხი, ორი ცალკე თავის სახით, ნაკარადღევა მეორე ტომისათვის, რაც ერთგვარად დაარღვევს ამ შრომის მწყობრ მიზანიადა.

XIX საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრების სპეციფიკის გაგება შეუძლებელია იმდროინდელი ქალაქის ცხოვრების სხვა მხარეების თავისებურების გახსნის გარეშე. პროფ. ვ. ბერიძემ წიგნის შესავალი შემდგომი თავების საკმაოდ ფუნდამენტურ ნაწილს აქცია. დამაჯერებლად არის მოცემული დროის ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური დასახიათება. XIX საუკუნის, განსაკუთრებით პირველი ნახევრის, თბილისის არქიტექტურის ანალიზი შეუძლებელია იმ პირობების ანალიზის გარეშე, რომელმაც გამოიწვიეს ქალაქის გარეგნული სახის გაორება. შესავალში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ასეთი გაორება შემთხვევითი მოვლენა როდია თბილისის არქიტექტურაში; იგი XIX საუკუნის ყოფის მრავალი მხარის ნიშანდობლივი თვისებაა და მას მეტად ცხოვლესობტულად წარმოადგენს აქ მოყვანილი ტრანსპო სიტყვები:

«Тифлис... это в некотором роде Янус, который одним лицом глядит в Азию, другим в Европу».

მიუხედავად თითქმის ხელახლა აღწენებისა, ცხადია, შეუძლებელია XIX საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრების განხილვა მისი მშენებლობის ისტორიის გაშუქების გარეშე. ქალაქი, რომელიც სოციალური და ეკონომიური განვითარების ახალ გზას დაადგა, კიდევ დიდხანს ინარჩუნებს საუკუნეების მანძილზე ქალაქმშენებლობითი კომპოზიციის ჩამოყალიბებულ სქემას, ძირითად კომპონენტებს. თბილისის მშენებლობის ისტორიის მეტად მკაფიო სურათია მოცემული შესავლის ბოლო ნაწილში. აქ გვინდა შევნიშოთ, რომ ამ შესანიშნავი შრომის ეს ნაწილი ავტორს ილუსტრაციების გარეშე დაუტოვებია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენის აზრით, ვახუშტის რუკა მაინც უნდა ყოფილიყო მოთავსებული, მით უმეტეს, რომ ნაშრომში აბაერთხელ არის მოხსენებული იგი და მკითხველს გაუადვილებს ქალაქის ისტორიული სტრუქტურის გააზრებას.

წიგნის პირველ თავში — «ქალაქის ზრდა» გაშუქებულია თბილისის ქალაქმშენებლობის განვითარება XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-იან წლებამდე. ღრმად არის ანალიზირებული ქალაქის თანდათანობითი ზრდის ტენდენციები. ინსტოვის სასმედრო-საისტორიო არქივში დაცული იმდროინდელი თბილისის გეგმების (1782, 1800, 1802 წ.წ.) დახმარებით ავტორი აშუქებს, როგორც ქალაქის ნაწილების (გალას, სეიდბაღის, ისინის, გარეთუნის) იმპაინდულ მდგომარეობას, ისევე მისი შემდგომი ტერიტორიული ზრდისა და განაშენიანების პერსპექტიულ შესაძლებლობებს; ყურადღებას ამახვილებს ქალაქის გარეუბნებში წარმოებულ

მშენებლობაზე (მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირები) და ახალი სარეზერვო უბნების (კუვიის, ჩუღურთის) შექმნა. ლღისა და ვერძანული კოლონიის ტერიტორიის) თანდათანობით ათვისებაზე.

მეტად დამაჯერებლად არის მოცემული ქალაქის ახალი ცენტრის ჩასახვისა და ჩამოყალიბების სურათი. ქალაქის ცენტრის ადგილის გადანაცვლება ყოველთვის რთულ პროცესს შეადგენს და ასევე რთულია ამ პროცესის ანალიზიც. ზოგიერთი მკვლევარი ამ პრობლემას ხელოვნურად აუბრალოებს და მხოლოდ სოციალური მიზეზებით ან ადმინისტრაციული დონისძიებებით ხსნის. მაგრამ სოციალურ-ეკონომიური პირობები ყოველთვის როდი იწვევს ქალაქის ცენტრის ადგილმდებარეობის შენაცვლებას, ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია ყოველთვის არ უგულებელყოფს ძველ ცენტრს. თბილისის საზოგადოებრივ და ადმინისტრაციული ცენტრის გადანაცვლება გამოწვეული იყო მრავალი პირობის და მათ შორის, უმთავრესად, ქალაქმშენებლური თავისებურებებით. ეს თავისებურებანი კი ნათლად არის გამოვლენილი შრომის პირველ თავში.

თბილისის ზრდის მაჩვენებელი რიგი მონაცემების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-იან წლებამდე თბილისის გეგმიანი საწყისების ჩასახვა, მისი შემდგომი ზრდის დაწყებული ნორმებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ქალაქის მშენებლობაში უგულებელყოფილია ერთიანი მხატვრული ხუროთმოძღვრული იდეა; რომ ახალ ცენტრს (ძველისგან განსხვავებით) არა აქვს თავისი არქიტექტურული დომინანტი, არ არის გათვალისწინებული ქალაქის ბუნებრივი პირობები და რელიეფი.

ქალაქის წინაწარ გააზრებულ, ფუნქციური დანაწილების გეგმის უქონლობის მიუხედავად, თანდათან მკაფიოდ ჩამოყალიბდა ახალი უბნები: სალაღაი, მთაწმინდის კალთები, გოლოვინის პროსპექტის ნაწილი, ავლაბარი, ჩუღურთი და კუკია საცხოვრებელმა კვარტლებმა დაიკავეს. მთაწმინდა და სასმედრო უწყების დაწესებულებანი ერევანის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტისა და მის მიმდებარე ქუჩებზე განლაგდა, ხოლო ფეოდალური ქალაქის შუაგულში — კალამ სხვადასხვა უბნებად დანაწილებული საეკლო-სახელოსნო ცენტრის სახე შეინარჩუნა. ფუნქციური დიფერენციაციის გარდა, ნათლად არის წარმოდგენილი აგრეთვე ქალაქის ნაწილების სოციალური სახეც (რაც საკმაოდ მკაფიოდ იკითხება ჯერ კიდევ ძველი ფეოდალური თბილისის განამდინებანაში). ქალაქის არისტოკრატთა თავის ადგილსამყოფელად უმთავრესად გოლოვინის პროსპექტისა და ალექსანდროვის მოედნის უბნები აირჩია, ბურჟუაზია ისევ კალაში დარჩა, ხოლო ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები ხარფუხის, ავლაბრისა და ჩუღურთის უბნებში ბინადრობდნენ. თავის დასასრულს ლაპარაკია 40-ანი წლების ბოლოს თბილისის ახალი უბნის კეთილმოწყობაზე გაწეული დონისძიებების შესახებ. როგორც ნაშრომი მილიანად, ასევე ეს თავი შეიცავს მრავალ გამოუქვეყნებელ, უცნობ მასალას.

თუ ქალაქის არქიტექტურის გაყოფა ორ ნაწილად, ორ სხვადასხვა ეტაპში (რანდნადაც საქმე ეხება ცალკეულ შენობებს) გამართლებელია, ქალაქმშენებლობის ასევე ორ ნაწილად განხილვა ერთგვარად შექანიკურია. წიგნი მთლიანობას არ დაკარგავდა, თბილისის ქალაქმშენებლობის განვითარების ორივე შესაძლოა, ნიშანდობლივად, მართლაც, რამდენადმე გაიხვეწილი ეტაპი მაინც ვერა და ერთ ტომში



რომ განხილულიყო. გარდა ამისა, სათანადო აღნიშვნებს, ექსპლიკაციასა და კომენტარს მოკლებული რუკები (1782 და 1810 წ. წ.) ამ საკითხის ნაკლებ მცოდნე მკითხველთა ნაწილის მკაფიო წარმოდგენას ვერ მისცემს იმდროინდელი ქალაქის მასშტაბსა და საზღვრებს, დღევანდელი თბილისის მხედველობაში მიღებით. ამასთან ერთად, შესაძლებელი იყო ამ თავის უფრო სრული გრაფიკული წარმოდგენა. ასე მაგალითად: ორ თუ სამ ადგილას ნახსენებია არსებიალს შინობა და რატომღაც უგულებელყოფილია იმდროინდელი ნახატბა, რომელზეც აღბეჭდილია ვოლოვინის პროსპექტის ნაწილის განშლა: სიმიონოვისეული სასახლე, არსენალი და გიმნაზიის შენობა.

მკითხველს, განსაკუთრებით კი, არქიტექტორს მეტად საკულისხმო ცნობებს აწვდის წიგნის მეორე თავი, რომელშიც განხილულია ქალაქის მშენებლობისა და საპროექტო საქმის ორგანიზაციის საკითხები. ამ დროს თბილისის მშენებლობაში თანდათან ფიქს იკიდებს რუსეთში დაკანონებული ქალაქგეგმვარების ზოგიერთი პრინციპი, ქალაქის განაშენიანებაში პირველად ედგება საფუძვლად სახვების ტიპობრივი ფასალები. ამ „სანიშნოში“ ფასალების ცხოვრებაში დანერგულია ქალაქის ხუროთმოძღვრებას თავისი დაღი დასავა. საბუთებიდან ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება საპროექტო საქმის ორგანიზაცია, 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებული იქნა სამშენებლო კანონმდებლობაც. ქალაქში იზრდება არქიტექტორთა და ინჟინერთა რიცხვი, დაწყდა ქალაქისა და საგუბრნო არქიტექტორის თანამდებობანი და სხვ. მრავალი საარქიტო მასალა და საბუთი ნათელყოფს მშენებლობის იმდროინდელი ორგანიზაციის სურათს. შესაძლოა აჯობებდა ეს მასალები შემეცირებულიყო, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი საბუთი იმდროინდელი ბიუროკრატიზმის სურათს სატყვს და ცოტას ამბობს მშენებლობის ორგანიზაციის თვალსაზრისით.

არქიტექტურის ახალი თემატიკასა და ახალი პრობლემების განხილვა ნათელიყოფს საფუძვლებს, რომელზეც აღმოცენდა ესოდენ მრავალფეროვანი და ახალი ფორმების შემეცვილი XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა. როგორც ავტორი აღნიშნავს, XIX საუკუნემ ფაქტურად ჯვარი გადაუსვა შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის ყველა უმთავრეს სახეობას. ძველი ქართული ქალაქების არქიტექტურა გზას უთმობს ახალ თემატიკას და ფორმებს. ისეთი არქიტექტურული თემებიც კი, როგორც არის საცხოვრებელი სახლი, ეკლესია, ქარავასლა, დუქან-სახელოსნოები, აბანო, გარკვეული ხნის განმავლობაში, მართალია, განაგრძობენ თავის არსებობას, მაგრამ თანდათანობით არსებითად იცვლიან სახეს, ახალ ფორმებს იმუშავენ. ეს ფორმები კი უმეტესად გარედან შემოდის. ამასთან, „არა მარტო არქიტექტურა გარედან შემოტანილი, არამედ თვით მისი მშენებლო-შემეცვივან გარედან არის მოსული“. ამგვარად, „ოფიციალური სტილი“ თბილისის მშენებლობაში შინაგანი განვითარების შედეგად კი არ მკვიდრდება, არამედ „დეკორატი“ ინერგება. სხვა სურათი იძლევა თბილისის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა. აქ ახლის ათვისება თანდათანობით ხდება.

მეთხე თავში განხილულია სახაზინო და სასოფალოებრივი მშენებლობა. ნაგებობებისა და ძირითადად საპროექტო მასალის ანალიზს გარდევალად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ „ნიშნუებით“ დანერგილი იმდროინდელი სასოფალოებრივი შენობები ადგილობრივ თავისებურებს მოკლებული

იყვნენ. რუსული კლასიციზმის მკაფიო ნიმუშად ავტორის მოჰყავს მთავარმართებლის სასახლე, ყოფილი სენინარისი და შტაბის შენობები. მეტად საინტერესოა იმდროინდელ ერევნის მოედანზე 1847-51 წლებში არქიტექტორ სკუდერის მიერ აგებული თეატრისა და ქარავასლის შენობის ანალიზი, რაც ნათელიყოფს იმ პერიოდის ნიშანდობლივ თვისებას — ოფიციალური ნიმუშებიდან აღებულ ფასალებს თავს აფარებდა. ე. წ. „ნილაშური“ ინტერიერები. არ შეიძლება არ დავთვაინმოთ ავტორს, როდესაც იგი აცხადებს, რომ „აქ საქმე გვაქვს ეგზოტიკურ სტილიზაციასთან, რომელიც XIX საუკუნის ეკლექტიკურ ტენდენციებთან არის დაკავშირებული“.

თუ ოფიციალურ მშენებლობაში მექანიკურად და უმტკინეულოდ ინერგებოდა მზამზარეული, ნებადართული ნიმუშები, სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე XIX საუკუნის პირველი ნახევრის საცხოვრებელ სახლებში. სწორედ მის არქიტექტურაში აშკარად შეიმჩნევა კლასიციზმის ელემენტების ათვისების პროცესი, რაც XIX საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრების ყველაზე საინტერესო მხარეს შეადგენს. ბუნებრივია, რომ შრომის დიდი ნაწილი ამ თემას აქვს დათმობილი. წიგნის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მესხეთე თავი — „საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა“. მრავალი ფაქტორი მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლის თავისი ეროვნული ფორმებითა და ბუნებრივი მონაცემებით ისე ორგანულად შეერწყა კლასიციზმს, რომ „თბილისური სახლის“ სახელწოდებაც კი მიიღო. ავტორი იძლევა XIX საუკუნის თბილისის საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციის საკმაოდ მწყობრ და მკაფიო სურათს. XIX საუკუნის დასაწყისიდან შუა წლებამდე აგებულ თბილისურ სახლებს ჯერ კიდევ არ შეხებოდათ სახალე; უმრავლესობა დარბაზული ტიპისა იყო. 1810-20 წლებიდან მათ გვერდით შენდება ახალი სახლის „აპრობირებული“ პროექტებით. პროექტი მხოლოდ ფასაღზე ვრცელდება, ხოლო გეგმის ფუნქციური გადაწყვეტა ადგილობრივ პირობებთან შეგუებით ხდება. ამ სახეობის ტრადიციული ელემენტთა ბრტყელი გადასურვა — ბანი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში რიკულემიანი მოაკრით არის შემოფარებული. 1830-ანი წლებიდან სახლები ფასაღებზე ჩნდება სპეციფიკური ხის აივნები. იგი არსებითი არქიტექტურული კომპონენტია ქუჩის მხრიდანაც. 1850-ანი წლების ნაგებობანი უკვე ეკლექტიციზმის ნიშნებს ატარებენ. ამ სახის შენობები განსაკუთრებით დამკვიდრდა 60-იან წლებში. ს.ხლის გეგმა ინარჩუნებს ზოგიერთ ეროვნულ ელემენტს მაშინაც კი, როდესაც მის ფასაღს თბილისური იერი აღარ აქვს. უჭიბო აღნიშნული ეტაჟები ერომანეთს კი არ მისდევენ, არამედ ერთი მეორის გვერდით ჩნდებიან, პარალელურად არსებობენ და საბოლოოდ მაინც ერომანეთს უთმობენ ადგილს. უამრავი საპროექტო მასალისა და განხორციელებული მშენებლობის განხილვის საფუძველზე ავტორი აჯუჟუნებს საცხოვრებელ სახლებს გეგმარებისდახვედით. პირველი ტიპი ანჟოლიდურია. ასეთი ტიპის სახლებში აუცილებელი ელემენტია ქუჩის მხრიდან დაკიდებული ხის აივანი. ანჟოლიდური ტიპი რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი (ორმაგი ანჟოლიდი, ტალანტი უკუვე გაყოფილი საბუთული, სართული ეზოს მხარეზე მოქცეული ლოჯია). ანჟოლიდურისაგან განსხვავებით ავტორი ადგენს მესხეთე ტიპს, სადაც ოთახებში შესასვლელად აივნის გავლა არ არის სავალდებულო, იზიანიდან აქ ტალანტი უშუა-



ლოდ გარემოს უკავშირდება. 1850-60 წლებში შენდება ბუნებაზიისა და არისტოკრატიის მეტად კომფორტაბელური სახლები, სადაც ერთი ბინა უკვე ორ სართულზეა განაწილებული. ორ რიგად განლაგებული ოთახები გარემორტყმულა იკავებენ და ეზოს მხრიდან შემზარდვნი. ამ ტიპის სახლებისათვის ნიშანდობლივია სადარბაზო შესასვლელი, ვესტიბული, რომელთაც წინა აქეთ ცალკე სადგომი — პოლი. ავტორი არ ენება იმ საკითხს, თუ რამდენად ეწეოდა ან-გარაში ორიენტაციას საცხოვრებელი სახლების დაგეგმარებისას და, კერძოდ, იყო თუ არა მასზე დამოკიდებული აივნების ტიპის (ორმხრივი, სამხმრივი) დადგენა. არ ჩანს აგრეთვე ჰქონდა თუ არა რაიმე გავლენა ორიენტაციას ოთახის ფორმის დადგენისას.

განივარების საკმაოდ რთული გზა განვლო XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლის გარეგანა სახეზე. ავტორი ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოგიდგენს ფასადებისა და მათი ელემენტების, სარკმელების, სათაურების, ზოლურებისა და სხვა სამკაულების სტილისტიკურ განვითარებას. ნათლად არის გამოკვეთილი ევოლუციის ეტაპები. სახლების ანალიზს და უხვად მოყვანილი საბოლოო მასალის საფუძველზე მოცემულია რთული სტილისტიკური გარდაქმნის მკაფიო განხორციელებული სურათი.

1820-ანი წლების პროექტებში უკვლევლყოფილია ერთნული ტრადიციები. 30-ან წლებში სახლის ფასადზე გლინდება აივნის წამყვანი როლი, რომლის ხის სვეტების ორდენი და თავისებური დორიკა თბილისური საცხოვრებელი სახლის გარეგნული სახის მთავარი შემადგენელი ელემენტია. 1840-ან წლებში ჩამოყალიბდა ძველი თბილისური საცხოვრებელი სახლის გარეგნული სახე, რომელიც შეიქმნა კლასიციზმისა და ადგილობრივი ელემენტების შერწყმით (ეზოს აივნები, შუშაბანდი, გარე კიბეები, დაკილული აივნები და სხვა). ამავე დროს 1840-ან წლებში უკვე მომოჭრა „ამპირული“ მოტივებიც (სარკმლის ფრონტონი, მარჯვენაზე დაყრდნობილი თაღები და სხვ.), ქუჩის მხარეს მოქცეული აივნები სულ უფრო აჟურულად მუშავდება, ძველ უბნებში გავრცელებას პოულობს ფერადი მინით დამუშავებული შუშაბანი (მუშარაბი), ფასადებში დაიწყო ფერების გამოყენება. ყოველივე ეს მეტად ცხოველბატულ იერს უქმნის თბილისურ სახლებს. 40-50-ან წლებში, როგორც ავტორი აღნიშნავს, დაიწყო მშენებლობა სხვადასხვა „სტილიში“, ხოლო 60-ან წლებში დამკვიდრდა გუთური ხუროთმოძღვრების ფორმებიც. საცხოვრებელი სახლი თანდათან ქაჩაგავს თავისი არქიტექტურის სპეციფიკურობას, ექვევება სპანაზონი შენობების არქიტექტურის კალაპოტში და თავის ტრადიციულ ელემენტებს ეკლექტიკურ ხუროთმოძღვრებას უშობს. ვ. ბერიძე თბილისური საცხოვრებელი სახლის განვითარების კანონზომიერების ნათელ სურათს გვიხატავს და გვიხატავს, რომ თბილისური სახლი სხვადასხვა ფორმების უბრალო, მექანიკური შერწყმის შედეგი კი არ არის, არამედ წარმოადგენს ახალი ფორმების ადგილობრივ ტრადიციებთან ორგანულად შერეობის საფუძველზე შექმნილი ხუროთმოძღვრების გარკვეულ საფეხურს.

მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია საცხოვრებელი სახლის

ანალიზის ორ ქვეთავად გაყოფა, სადაც ერთმანეთისავე მიწვევტილად არის განხილული გვემები და ფასადები. თუ კი გვემების გარჩევას ასეთი ხერხი, ასე თუ ისე, უმტკივნეულა, გვემების უკვლებელყოფა ფასადების ანალიზს რამდენადმე ფორმალურ ხასიათს ანიჭებს. სახლის გარეგანი სახის ანალიზის დროს საჭირო იყო არიოდ სიტყვა მინც თქმულიყო მის გვემზე, ან უკეთესი იქნებოდა, გვემის გრაფიკულად გამოსახულების მოცმა (საინტერესო იქნებოდა, მაკალითად, თველუ ბატონიშვილის, ყარაშვილისა და სხვათა სახლების გვემის ჩვენება).

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ავტორის მიერ მოყვანილ უამრავ საბოლოო მასალას და მათ ანალიზში ერთგვარად იკარგება თბილისური აივნები. მათი ანალიზი ძუნწი და სქემატურია. მე-100 გვერდზე სქოლიოში ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისური აივნები ცალკე თემას შეადგენს და მას მიეძღვნა კ. მელითაურის შრომა. ამასთან მიგვითითებს წიგნში მოთავსებულ რამდენიმე სურათსა და ტაბულაზე. თბილისური აივნები გრაფიკულად მეტად მომგებიანი და მკაფიოა ნახაზში და ურიგო არ იქნებოდა თუნდაც იგივე კ. მელითაურის, ან ვ. ცინცაძის, ან ნ. სვერთის ზოგიერთი ანაზომის მოთავსება. ეს ლაზათის შემატყბე და აივნებიანი სახლების გრაფიკულ ასახვას შრომაში.

ქალაქის ძველ უბნებში, მჭიდროდ დასახლების გამო, საცხოვრებელი სახლებს ეზოები არ ჰქონდათ და მის დანიშნულებას ახალი ასრულებდა. ქალაქის ცენტრში კი თბილისური სახლის ბანი ტიპი დამკვიდრდა (1860-ან წლებში). მის კომპლექსში ეზოებსაც დაეთმო აბილი, შესატყვისი და დამუშავებული სამოსახლოს მცირე ფორმები. ჩვენის აზრით, საჭირო იყო მათი ანალიზიც.

ნაშრომის უაღრესად საყურადღებო ნაწილს წარმოადგენს ტექსტს თანდართული შენიშვნები, რომელშიც უამრავი მეტად საინტერესო საარქივო მასალა შედის.

წიგნი მაღალი გემოვნებითაა გაფორმებული მხატვარდ. გაბაშვილის მიერ. ყდა, სუპერი და ტიტული გასული საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივ ელემენტებს შეიცავს. დიდი რაოდენობით მოყვანილი და გარკვეულ შერჩევით ფოტოსურათები, ჩანახატები, სქემები, პროექტები თავისთავად დიდ ინტერესს წარმოადგენენ და მკაფიოდ თვალსაჩინოს ხდიან ტექსტს. მაგრამ ტაბულების მოხმარებას რამდენადმე აძნელებს სათანადო წარწერების უქონლობა.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ წიგნი თავისი შინაარსით, მასალის განლაგება-განაწილებით, ენობრივ-სტილისტიკური დახვეწილობით და მხატვრული გაფორმებით სცილდება მეცნიერული ნაშრომის ფარგლებს და ამ საქმის სპეციალისტისათვის მეთოდოლოგიურად გამართულ, ფართო მასშტაბის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. პროფ. ვ. ბერიძემ შეავსო, და საკმაოდ ფუნდამენტურადაც, მნიშვნელოვანი ხარვეზი თბილისის არქიტექტურისმცოდნეობაში. შრომის პირველი ტომის გამოქვეყნებად ცხადტყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა.



მარცხნიდან მარჯვნივ: ა. სტაროსკინი, ს. მეტრეველი, ვ. წიგნაძე, ვ. ჭაბუკიანი და ზ. კიაკელიშვილი

საგჭოთა სპორტსმენები

სტუმრად

ხელოვნების ოსტატებთან

ამას წინათ თბილისში სავარჯიშოდ იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ფეხბურთელები სავარჯიშო წვრთნასთან ერთად ეცნობოდნენ ჩვენს დედაქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს, ისმენდნენ კონცერტებს, ესწრებოდნენ ახალ დადგმებს. თბილისის ფეხბურთის მოყვარული საზოგადოება ყველგან სიხარულით ხვდებოდა მათ. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებამ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პარაკანდისა და ავტაციის სექციამ მოაწყო თბილისის შრომობლებს შეხვედრა ფეხბურთელებთან.

ოპერისა და ბალეტის თეატრში ფეხბურთელები დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“, სპექტაკლის დასასრულს მათ სცენაზე ინახულენ

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი და ბალეტის მონაწილე სხვა მსახიობები: ვ. წიგნაძე, ზ. კიაკელიშვილი, ე. ჭაბუკიანი, ლ. შითაიშვილი და სხვები. მეტად გულთბილი იყო ეს შეხვედრა. მსურვალედ მიულოცეს ფეხბურთის გამოჩენილმა ოსტატებმა ვ. ჭაბუკიანს და მთელ კოლექტივს შემოქმედებითი წარმატება, ხელის ჩაბოროთებით გამოხატეს უდიდესი აღტაცება და თავიანთი თაყვანისცემა ამ უნიკური ქართველი ბალეტმეისტრისადმი, რომლის შემოქმედება ბრწყინვალე ფურცელთა საბჭოთა სახალხო ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

სურათზე აღბეჭდილია ამ შეხვედრის რამდენიმე მომენტი. თავის მხრივ ვ. ჭაბუკიანი უსურვებს ფეხბურთელებს მრავალგამარჯვებას ახალ სეზონში საბჭოთა სპორტის სახალხო.

ფოტოქრონიკა

სურათზე მარჯვნივ:

(მარჯვნიდან მარცხნივ) — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვახტ. ჭაბუკიანი, ე. ბუბუკიანი, ლ. იაშინი, მ. მესხი, ლ. ოსტროვსკი, რეს. სახ. არტისტი ვ. წიგნაძე, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრები გუნდის უფროსი ა. სტაროსკინი, მწვრთნელი ნ. გულაიევი, გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი, ფეხბურთელები შ. იამინიძე და ი. ნეტო.



სახალხო თეატრის ქეთუხიასტი

ჩვენი რესპუბლიკა სახალხო თეატრების ქსელითაა დაფარული. ამ თეატრებს მრავალი ენთუზიასტი ჰყავს, რომლებიც ერთგულად და თავდადებით ემსახურებიან თეატრალური თვითმოქმედების გავრცელებას. ამ თეატრებს დიდი როლი აქვს ირით შრომითაა ესთეტიკური გემოვნების, მათი თვითშეგნებისა და კულტურული დონის ამაღლებაში. საქართველოში ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს ლაგოდეხის სახალხო თეატრი, რომელიც უძველესია საქართველოში—მას 45 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში აქ ბევრი კარგი დადგმა განხორციელდა. მრავალ ქართველ თეატრალს მიუძღვის ღვაწლი ამ თეატრის წინაშე, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. როსტომ—საინტერესო მხატვრული დადგმების ავტორი. („მოკვეთილი“, „ბაში-აჩუკი“, „სადგურის უფროსი“) აქ უმუშავენიან აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს: რ. ქართველიშვილს, ნ. ნინიძეს, გ. პატარიძეს და აწ განხვეწებულ მკაც ქართველიშვილს.

ლაგოდეხის თეატრი მუდამ ერთ-ერთი მოწინავე თეატრი იყო და არის. მის კოლექტივში მრავალი კარგი მსახიობი აღიზარდა. სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავდა 1939 წელს ვ. ნინიძე, რომელმაც საკოლმეურნეო რაიონული თეატრების დათვალეობას უძღვნა შემაჯამებელი წერილი (გურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ № 7, 8). ამ წერილში სხვა ნიჭიერ მსახიობებთან ერთად მოხსენებულა, ლაგოდეხის მკვიდრი, მარგო გოგოსაშვილიც. აგერ თითქმის ოცდაათი წელია, რაც იგი თავდადებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. მთელი რაიონის შრომითა სიყვარული დაიმსახურა მან გოგის როლის შესრულებით „ქრისტინეში“.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული, მათ შორის ლუიზა შიღერის „ვერაგობა და სიყვარულში“, მარინე — ვ. გუნიას „და ძმამი“, პირიმისა და პირიმთვარისას როლები „ბაში-აჩუკი“ და სხვ.

მარგო გოგოსაშვილის სასცენო ღვაწლი ადგილობრივმა რაიონულმა ხელმძღვანელობამ დააფასა და 1955 წლის 7 იანვარს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის გამო შემოქმედებითი საღამო გაუმართა.

მ. გოგოსაშვილი დაუცხრომელი ენერგიით განაგრძობს

მუშაობას. ყველას, ვინც კი ლაგოდეხის სახალხო თეატრს სწვევია, შეუმჩნევია, რომ მასთან ერთად სასცენო საქმეს სიყვარულით ემსახურებიან ნიჭიერი სცენისმოყვარეები: ვ. კაბლელი, მ. თანდაშვილი, ფ. მირიანაშვილი, ო. ზედელაშვილი, თ. მესხიშვილი და სხვები.

ალ. მარიაშვილი



ხალხის რევოლუციური ბრძოლის ახსაველი ორი სპექტაკლი

ოთარ გვაძე

საბჭოური თეატრი უნდა ემსახურებოდეს თანამედროვეობას, ხალხის ცხოვრებას და შემოქმედებას, — მოითხოვდა კოტე მარჯანიშვილი და ამ წესს ადგო იგი „სიბოლო“ სურველს ახელს მიუხედავად, სულწარმად ამან და მანვე ოქტებრის თუ ნოემბრისას. სიმინისას. — ამბობდა იგი — მამბო მთელი ძაღა და მამბო აქტიორის განცდვამა. — დიხობა იგი ერთი დრო წარმატდენის სტაქსე შესვლელს იგი დამოუკიდებელი და სრულყოფილი პარტიკონის ქუბურს წარმოადგამა შუკისის მიხედვით და აქ თვალსწინისით იგი გარკვეულად ბაღეტეს ქუბურს წარმოადგამა. მიხედვით იგი და მოქმედებულმა შუკისას და ქუბურს შორის უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი.

კარგად ვიხსენებ რა გ. მარჯანიშვილის შემოქმედებას, მის გატაცებას სახალატო ვანით, კერძოდ, პანტომიმის „ხანძართი“, კომპოზიტორი თ. ვას-ვასილენკო. უკვე ამასტოვის ოპერეტებისა და დამდგენობა გ. მარჯანიშვილმა, რომელიც ყოველდროს შტაბისა და მთი უფრო, ტრავმანტულ-ბაღეტურის და უფროდითი მთრულ იყო, პირველმა გვიჩვენა დიდი, სახველი რე-ნოსტრიული გავაგდებითი უსიტყვოდ განხორციელებული შესვლელობა, იმ რეალისტური გადამდგენის შესავლელობა, რომელიცავე უმადლო მიიღ-დენ ბაღეტის ოპერეტების, როგორც არან ლარტისა და გუბაიასი.*

საბოლოოდვე აქტიორის განცდენ შედგად დატოვითური სპექტაკლის წარმატების სათავეს, მაგრამ აქვე შუკისას ამიგებდა საკულ მნიშვნელობის წარმატებულ აქტიორის განცდენ შედგად დატოვითური სპექტაკლის წარმატების სათავეს, მაგრამ აქვე შუკისას ამიგებდა საკულ მნიშვნელობის წარმატებულ აქტიორის განცდენ შედგად დატოვითური სპექტაკლის წარმატების სათავეს.

— თუკისი როლი მიზნობრივად, როგორც ჩვეუ წარმოდგენილია, განი-ხანდრულა ია-ქვარ, თისი უფადვლით ამ ამოცანითი გავაგდებითი საბატი ახელს უფროდითი განცდენ შედგად დატოვითური სპექტაკლის წარმატების სათავეს.

ახვი შეხედვლების გამოთქვამდა მარჯანიშვილი, როცა უნდა დაეკანსებდა პანტომიმის-ბაღეტ ხანძართის ოპერეტისა და ოქტებრის გან-დენის მამბო შეხედვლი „სურათისა“ ახალი ვარიანტი, იგი მიიღე იმე-დენი სახემუხედვლი და სოციალურად გამაფრთხილო იყო, რომ სრული-დენ სხვა დამატებულზე წარმოადგენდა მარჯანიშვილის წინა-დელი „სურათისა“ მხოლოდ ხალხური თეატრის განცდენების აილი და შორული ღრმადი ახლი წარსული მიზნობრივი ხალხის ტრავმის კორექტირების უფროდითი აქცია, თუ „სურათისა“ უროგორი მტრული-დენი წავიკითხეთ ნინების გამოჩინდენ, მამბო ქართულიცა და უკიდრე დამპყრობლების მოქმედებების, ახალ სპექტაკლით ერთმანეთის ურთიანობაზე მხარეებდა ამტკიცებდნენ გათმობილი ორი კლასი — ჯარდობელი ახლებლები და ქართველი გლეხები გამოიხდენ. შეიცვალა მნიშვნელოვანი მდგომარეობა „სურათისა“ თავად ჟუანშუის ქა-ლინის ოცნებებ ქორეოლიან, „ხანძართი“ ეს მქორეინებ ქაბუ გლეხს.

პირველი პანტომიმის — „სურათისა“ დიდებმა, ალაბი, ამ და-ცემავილია გ. მარჯანიშვილი. მან „სურათისა“ უდაბოლო სიუჟეტის რეაქტორი ამით შეცვალა და ახალი სპექტაკლი „ხანძარი“ მისცა. სოციალურად გამაფრთხილო პანტომიმის საფუძველად აიღო მემამულეების მიერ გლეხების ჩაგვრა, სტიქიური კლასობრივი ბრძოლა და გლეხების შურისძიება, — უნდა „ხანძარს“ დამდგველი მულტმედიანტი მავარილია.

სამნიშვნელოვანი ბაღეტ-პანტომიმის როლები შედგენიანარად განიხილვა. სახიდ გლეხის როლს ასრულებდა სერგი ქლიძე, პანტომიმის თამბობდა ვერკოი ანჯაფრბი, მამბო — მალვა თამბობდა, დიდს — თინა ჩაიკოვი-ნი მამბობდა — სერგი ზაჭარაძე, მამბოვანს — ცვილია წუწუხა, მენბინის — ურანი ჩიქიძე, თავადის ქალს — მუგა ქორილი, მირაგას — ანდრო შურუსიძე, მებრუნებს — აკაკი კანკაბალიანი, მებურეს — მალვა სინელი, მთეფიეს — ვიტა ჰიჭიაშვილი, კინბარს — დიმიტრი აბაშაძე. სტენერ პერსონაჟებად გამოიხდენენ შუკისას-დაქორეილები, მოქმედება, გლეხები და თავადის მხლებლები. სპექტაკლი დაგმა ქორეოგრაფისა დავით მავარილიანს, მანტრირულად გააფრთხილო ვლენე ილიანი.

მოქმედება რეკლუციამდელ საქართველოში იხდებოდა. მთხეივ გლეხი (მ. დამანიშვილი) თავის ვაჟს ქორეილს უხდის. გლეხის ოჯახი მქორეინობა შესაძლებელია ვინაადა, სუფრას შილიან და მამბობრივი სიმბოლას ღიოან.

შეივრის მამბობრილი (სერგი ზაჭარაძე) და ნენე-პანტომიმის მოვა-ნას ახარებს. ადამის მიხედვით მამბობრილს დივინი საესე ჯამ მთარბე-ბე, მალვაზე ანტრუშის სიმბოლას შეადგენს და იმის, როგორც ჩვეუ-ლად, არი რომელიცდა გოგონას საყოველთად წასწავლება, გააწოდებს და ყველას სიცილსა და მზიარობებს მთვრის.

— მოვიანს — გაიხსენს მხს და თოვების სროლა ასტყდება. შემოკავით ნენე-პანტომიმს. კართან თეფსს დაუდებენ და ნენეს გატაცებენ, მერ-გე მხს-მანქლების სივანს გამართვენ და ნენე-დელფოსს ქვეშ გამოა-

ტარებენ. შეტრეილი სტუმრები მქორეინით მიესალმებიან და სუფრის თავადებს ასაძევიან.

კორეილი დაიყო, სიმღერას სიმღერას ცეცხლს და ცეცხლ ცეცხლს მქორეინს და ოლინი, ნენე პანტომიმს საცეცხლად გადმოიწვია. ალაბას ტანი აუწყო, მამბო, ნენე ავალა დაუდგა. მქორეინობა თეატრული და მრავალი და სხისლასება დიდელი წესების (უნაბე ჩიქიძე) შეთავაზდა. იგი მხოლოდ იმის თქმას ასწრებს, რომ თავადის ქალმა მხლებლები დასაბა და უმოწყო-ლოდ აყვინა.

— მა დაუწევი?! — ჰქვინა მთხეივმა.
— თავიან მამული გლეხის საქონელი სივადო. — უპასუხა მებრემ და იქვე უსულოდ დაეკა.
მქორეინობა ბოლით აიგინენ, მაგრამ თავადის ქალი ახლა მათ მოხტა და მქორეინები ამაღა.
— აქ ხდება?! — იკითხა კორეინად და მთხეუს ჩანაშტრად.
— ქორეილი!
— ვისი?
— ჩემი შეილის, — მიუყო მამამ და ნენე-პანტომიმსკენ მიწვივა.
— ამ მწვერილი გაყავის?! — განცხევრებით იკითხა მებატრემ ეალმა და იღვრებდა იარაგ; შორეგას მებატრილად და აინინა.
— ჩემს სახლში წავიყვანე!

ზახი მქორეინად. ჩაფრება ქალ სისილის გლეხის და პანტომიმის გაყავის. სტუმრებსა წინააღმდეგობის გაწევა სუცხებს და სიწყყის დასამ-ნუნად თავადის ქალს მუდარი მიზრებს, მაგრამ ამბოდ; იგი გულცივად იდგა და ხანძარისგან შესრულდნად იდგა.

დიღნასს ეთუანდენ მთხეივ მამა, გუარას დედა, მაგრამ არამ გაჩქარა. გათლადებულ სისიძი შეტრებს და გაიტაცა. გლეხის ოჯახში ქორეილი ჩინადა.

მეორე მოქმედება: თავადის ქალის სახსად. ჩაფრება მოტყვევებული სისიძი სამინებო ოჯახში შეყავის, ტახტზე დადებს და გაივხდენ. შთევიდა ვენებს მთხეივით თავადის ქალი, პირარეაგობას ღვინოა და ტბილეთლით საესე ლანტრები შემოიტანა. მანტრედ დანტრელი თავადის ქალი მოტყვევულ ყმა-პაბუსს მუხალოვდა, თავისთან მიიხმო და მოკლურ-სა. ყმა-პაბუსს დაიხია, მმრანბნების ტრავლი უაუყო და თავის დახი-ნელთან გაწევა სომხვა.

— სხვათადა მქორეინად! — მიუყო ქალმა და იმე მოკლურას. ყმა-პაბუჯი კვლავ გახტე ვადგა. გათმეხული და გრნობა ალილი მებატრული ქალი მუხბელი ჩაუვარდა, კისრზე დაეკლა, ჩახტება, მაგ-რამ, ვერ იქნა და ვერ შემდო მდბითი ყვის სივანს მოგება. გლეხის თანაგრძობის მოპოვება და სასუსტე ვენების მოსწვევა.

დიღნასს ტრავლიდა თავადის ქალი სათავისი ყმა-პაბუსის წინაშე, ერთბილად ცივდა, ნახად ირხებდა, გამოშვავად იღვრებოდა, მთელ თავის სისხლს სათავისაზე და ვენებისათვის ავლებდა, მაგრამ მამინ ვერ ასწავდა შედგენ, განისიხდენი მხლებლები მოიხმო, ყმა-პაბუსს მთე-რინა და თვითის გათყო ვავარდა.

მთხეივ გლეხის სახლში ქალ გოგა და ტრილი იდგა. ახლობელი და სტუმრები აღმთხეივებით იყვნენ, მერე მამბობრილმა თავებმა მებატრემ ქალს მქურა შეთავადა და სხვემამ მხს აუწევი.
— მთხეივ ვითი!
— ვითით! — მიახდის თანახლებლებმა.

— ჩაუტრები და დავინბითო! — უპასუხა ყველამ და სამაგიეროს საზ-ლად დაუწევიც: მხს-ნახალი აიღეს, წულდ-ბარენი მიმარგვეს, ანთეული ჩინადენენ აიტყვას და თავადის სასახლისად დაიძინენ, განს დაუარეს, ცეცხლს წავუდგეს, გადასწავს, ტყვე სახით იხსენ და მორბიკი ხელით გაბრილი მიზნურნი ისევ ერთმანეთს შესაქარეს.

განსაკუთრებული დინამორბიით იყო გამოვეული ფინალი: ხანტრად აშლილი სოფელი ხელში ვორხადა ლახვებული ავარაგბული ჩინად-ნებით ორი მწესია უწყდალით მოუღო თავადის სახლარს, გადასწავა და დედამდინად გადასწავა იგი.

ეს იყო ხალხის სტიქიური აჯანყების ნივთიერი, დაგუბებული პროტეს-ტის ამინებუცა. ჩაგროლა შურისძიების თხრობა მდგეველი ქორეოგრაფი-ული თხრობი, რომლის მავარი სცენური გამომხატველობით ფორმას ვერ კიდე ეცხბის წყარონი“ იმეა. „ხანძართი“ ისევე, როგორც უფუნბე-ლივებანში“, ტრანისწი წინააღმდეგ ხალხის მხს უნდა მასობრივი მონო-ოვებდა წარმოიხდეს, ახალი, მწევა საოცარული იდებით ავტრდა, შოამ-მედივი და მტრეინობა გრძობების წარმოშობით სუკულტურული მამბო-ბილი მიხანსწეური ხატის გარბილება-განთავილება იქცა.

შემდეგში, როცა პანტომიმის „მთების გული“ და „ლარუნისა“ იქმნიბო-და, კიდევ უფრო ახლებურად ავტრდა მამბონიშობის ბაღეტ-პანტომიმის „ხანძარს“ ფინალური სენა, რამაც ასეთივე ძლიერი, მთხეივური ქორეოგრაფიული ფინალისათვის ადამით ქაბუიანთე. გამოქანდაკებული ფინალით მოთავდა „მთების გული“: იქვე ახრებდა ასევე, ტრანის ფო-დალის სახსლის გადაწევი-გადამბევი საყრდენი გლეხები ჩინად-ნებით ხელში მწეობრად დაწევიან და სამართლებული მიიანს. ასეთივე შაფერი, დინამორი კომპოზიციონი, სუკულტურული ჰოსპიტეობრივი და რიტმული ღვრდამბით მოთავდებდა მთელი „ლარუნისა“.

„ხანძარს“ და „სურათისა“ ბეგია საერთო, და ამინა ორი დიდი ხელთნების, მინდანიშობის და ქაბუიანის შემოქმედების სილადე. მაგ-რამ მამბო იდგანდა მავთოთ თვითმხედვად ინდივიდულობა, რომ ამით კიდევ უფრო მაღალდა ირთავს მანტრულ-სუბტიურული ერთობლობა.

გაიხსენებთ თურღვა გ. მარჯანიშვილის მიერ, პირველად ბაღეტის ოპერატორი, სპექტაკლი უდიდეს შეყანა. კომპოზიტორმა მ. ასათიანი და ბაღეტმანტრებსა გაიხინინა მხოლოდ 1930 წლის მებატრეს თავიანთ ბა-ღეტ „პარისის აღნი“ სიღღრა, ადგეუბენ მონღერლობა გუნდნი, და ამით მხოლოდ მერიდითი ვაზარდეს ცეცხლდობით ნაწელი ბაღეტის შემოქმე-

* სტიქიურებოლა თ. ვახუშტისილის მიერ ჩვენთვის გადმოცემულ სტიქიურებს ხელწერილიან. ჩვენს წინა წიგნშიც — „სურათისა“ და „მებატრისა“ დავალით გამოვიხდენთ საქ. თეატრალური მუხ-უბის ფუნდინს დაწერილი თ. ვახუშტისილის ხელწერილი „მოთვინე-ობრე“ მარჯანიშვილს“ (ყველა ციტრებულ ავტორი გამოთვალე-ობრე წინწლებით და ტრეიბით). ჩისთვისაც მადლობას უხდები ავტორს და მუხუბის თანამშრომლებს.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოირჩევა ქართველთა ნიჭითა და შურსუბიერებით არაჩვეულებრივად მოხილი და ცვადა ტანის ახმა და კროლი, რომელმაც სწორად ქართველთა ენითა და გრძობითა ამხმალა და აამბეჯა თავისი სურათი იერსაზე. დედა ქორღის ყოველი მობრძანა, ყოველი საბალეტო დღეით აზრის განასახ ესახებრებდა, სიტყვის ნაგებობას სწავდა და რეჟისორის მინასწავლებელს მკაფიოდ, ნათლად და ტრეკივდ შეეცალა ხიდა. იგი სახითვე აკმაყოფილებდა სინთეტური პრინციპის მარჯანიშვილის თეორიას და მიუღ ახასამბო კავშირებით გამკაცრულ სწორ ტრინობას აძლევდა, რომელზეც სემკე ტრეკლის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ მულდისა უწყობდა და ამით „ხანძარი“ ლამაზ სახანაზადა ზიდა და ღრმა აზრის მიმართ ბალეტად აქცევდა.

